ბაზის ტარიფში "საქბაზის" მოსკოვური ბინის ხარჯებიც შედის A4

ნადირობა ნარკომან პოლიციელებზე A7

ბაქოს ნავთობი, კავკასია და ისტორიის სპირალური განვითარება A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 5 ივლისი, 2002 წელი. №33

ფასი 50 თეთრი

## „საქართველოს პარლამენტი მაშინაა ჩემთვის ღირებული, როცა მე მის ღირსეულ წევრად ვითვლები„

სოფიკო ბუკია

**"თოხნა მივატოვე, შვილო, სამაჩაბლოდან აქ ჩამოვედი გურამ შარაძის დასაცავად, დიდი ამაგი აქვს ჩვენზე. მთელი სამაჩაბლო ფეხზე დადგება... ოღონდ ნაწვიმარია ახლა და ყანები კარგი მოსათოხნია, ამიტომ დღეს ვერ წამოვიდნენ. სამუშაოები მორჩება თუ არა, ყველანი აქ გაჩნდებიან,"** - გვეუბნება ქალბატონი ჟუჟუნა, რომელიც სამაჩაბლოდან პირდაპირ "რუსთავი-2"-ის შენობასთან მივიდა...

"რუსთავი-2"-ის ეზოში შეკრებილი ოცდაათამდე ადამიანი "ღამის კურიერის" იმ გადაცემამ გაანაწყენა, სადაც "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა **"გურამ შარაძის ლაფში ამოსვრა დააპირა".**

აიკრძალოს "რუსთავი-2"-ის ეთერის ბოროტად გამოყენება, დაიწყოს "თავისუფლების ინსტიტუტის" ლუსტრირება, შეწყდეს ცილისმწამებლური კამპანია გურამ შარაძის წინააღმდეგ, გამოცხადდეს მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად... ეს ის ძირითადი მოთხოვნებია, რასაც აქციის მონაწილენი აყენებდნენ.

აქციის მონაწილეებს მოგვიანებით თავად გურამ შარაძეც შეუერთდა. მის მოთხოვნათა შორის მთავარი ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღებაა: **"ჯერ კიდევ წინა მოწვევის პარლამენტში ვიბრძოდი ამ კანონისთვის... მაგრამ ისინი, ვინც პარლამენტში მართლა ჯაშუშები და აგენტები არიან, ხელს უშლიან ამ ინიციატივას,"** - აცხადებს შარაძე. "რუსთავი-2"-ის მიმართ შარაძეს პრეტენზიები არა აქვს. **"რუსთავი-2"-თან ჩემს დაპირისპირებას ბევრი ცდილობს, მაგრამ არ გამოუვათ. "რუსთავი-2"-ის ეთერის ბოროტად გამოყენების საშუალებას კი არავის მივცემ,"** - ასეთია მისი პოზიცია.

დეპუტატის მანდატის დატოვებას შარაძე ერთადერთ გონივრულ გადაწყვეტილებად მიიჩნევს: **"საქართველოს პარლამენტი მაშინაა ჩემთვის ღირებული, როცა მე მის ღირსეულ წევრად ვითვლები... არ მინდა, საკუთარი ქვეყნის პარლამენტში უცხო ქვეყნის ინტერესების დამცველად მთვლიდნენ."**

გურამ შარაძე პარლამენტის საგამოძიებო კომისიის და მისი ხელმძღვანელის, მიხეილ ოსაძის დასკვნებს მომავალ კვირამდე დაელოდება, მერე კი საარჩელს გაამზადებს და სასამართლოს კარებს მიადგება. **"იცოდნენ ლევან რამიშვილმა და "თავისუფლების ინსტიტუტმა", რომ ნასროლი ტყვია ბუმერანგივით დაუბრუნდებათ,"** - იმუქრება გურამ შარაძე.

თემის გაგრძელება A3 გვერდზე



აქციის მონაწილეებს წვიმამ მაინც შეუშალა ხელი

იური ლობოდინის ფოტო

## ეს მხოლოდ ჟურნალია, კინო მალე იქნება

გიორგი ასანიშვილი

რიგგარეშე სესიის გუშინდელი სხდომის საკმაოდ დიდი ნაწილი მიეძღვნა დავას, რომელიც "მოქალაქეთა კავშირის" ყოფილი და ამჟამინდელი წევრების ერთ დროს საერთო ქონების - ვაშლიჯვრის ოფისის კუთვნილებას და იმ "საფრთხეს" შეეხებოდა, რომელიც დღეს ამ ოფისს ემუქრება.

ფრაქცია "დემოკრატების" თავმჯდომარის გიორგი ბარამიძის მტკიცებით, ხელისუფლება ლტოლვილების პროვოცირებას აპირებს და მათ ვაშლიჯვრის ოფისში შეჭრისა და მისი დაკავებისკენ მოუწოდებს. ამის დასტურად ბარამიძეს მოჰყავს, "სმკ"-ს ამასწინანდელ ყრილობაზე, დელეგატებისთვის დარიგებული, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მასმედიასთან ურთიერთობის საკითხებში პრეზიდენტ შევარდნაძის მთავარი კონსულტანტის, გია ლომაძის ბროშურა, რომელიც ასეთ მოწოდებებს შეიცავს.

გიორგი ბარამიძის განცხადებას "ნაციონალი" ვანო მერაბიშვილიც გამოეხმაურა და გამოთქვა მოსაზრება, რომ უფრო უპრიანი იქნებოდა, თუ ლტოლვილები, ვაშლიჯვრის ოფისის ნაცვლად, სახელმწიფო კანცელარიის შენობას დაიკავებენ.

გუშინდელ სხდომაზე "დემოკრატები" და "ნაციონალები" ქვემო ქართლის გუბერნატორის პირადი დაცვის ყოფილი თანამშრომლის დაკავების ფაქტსაც შეეხნენ და სამართალდამცავი ორგანოებისგან საქმის ობიექტურად გამოძიება მოითხოვეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## პარლამენტმა მთავრობას ბრჭყალები დაანახა

თამარ ხორბალაძე

*საქართველოს პარლამენტმა გუშინ მთავრობას "ბრჭყალები დაანახა", თუმცა, დღის ბოლოს მას ეს ბრჭყალები უცბად დასცვივდა.*

რადგან საქართველოს რეგიონებში გამგებლების დანიშვნასთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს, გაფიცვებსა და შიმშილობებს პრეზიდენტისაგან რეაგირება, პრაქტიკულად, არ მოჰყვა, რამდენიმე დღის წინ პარლამენტმა გადაწყვიტა, სიტუაციის დაშოშმინებაში თავისი "მოკრძალებული წვლილი" შეეტანა.

უკვე გუშინ პარლამენტის რიგგარეშე სხდომა განიხილავდა თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის, ნავაძის ინიციატივას, რომელიც, გამგებლების დანიშვნის წესთან დაკავშირებით, სპეციალური განცხადების მიღებას გულისხმობდა. ამ განცხადებით პარლამენტს პრეზიდენტისთვის "მცირედი შენიშვნა" თუ თხოვნა უნდა წარედგინა:

**"შექმნილი ვითარებიდან გამოსასვლელად პარლამენტი მიიჩნევს, რომ საკრებულოს წევრთა უმრავლესობიდან გამგებლის კანდიდატურების შერჩევა-დანიშვნის დროს, პრეზიდენტმა საკრებულოს წევრთა აზრი უნდა გაითვალისწინოს",** - აღნიშნული გახლდათ ნავაძის მიერ შემუშავებულ განცხადების პროექტში.

ამ ინიციატივას ალტერნატიული ვარიანტი შეაგებეს "დღევანდელმა ოპოზიციამ" - ფრაქციებმა „დემოკრატები" და „მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისთვის". განცხადების მათ ვარიანტში პრეზიდენტის რწმუნებულის და სამხარეო სტრუქტურების გაუქმების საკითხი გახლდათ დასმული.

ყოველივე ამას პარლამენტში იმაზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ვიდრე, ალბათ, თავად ინიციატორები მოელოდნენ. გუბერნატორების ინსტიტუტის იდეა სასწრაფოდ აიტაცა თითქმის ყველა ფრაქციამ, შევარდნაძის ალიანსის სამი ფრაქციის გარდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ძველ საკრებულოს უფლებამოსილების ვადა აღარ გაუგრძელდება A3

ფილარმონია, შესაძლოა, გაიყიდოს A4

პრეზიდენტმა ბუშმა ამერიკული კანონები დაარღვია A4

ევროპაში "ფრანკენშტეინის საკვები" შეიზღუდება A5

პატარა მათხოვრებმა და ქურდებმა ზღვის ნაპირისკენ გადაინაცვლეს A6

გაქრა კიდევ ერთი უცხოელი A7

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 28 |
| ქუთაისი | 27 |
| ბათუმი | 25 |
| სოხუმი | 25 |
| ფოთი | 26 |
| თელავი | 27 |
| ზუგდიდი | 27 |
| გორი | 25 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2000 |
| ევრო | 2.1494 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3559 |
| რუბლი | 0.0698 |

## პოლიტიკური გამოფენა პოლიტიკოსების გარეშე

თამარ მჭედლიშვილი

*"არა-ჩვეულებრივი გამოფენა" - ასე დაარქვეს თეატრალურ სარდაფში გამართულ პოლიტიკური პლაკატებისა და კლიპების გამოფენას "საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის ასოციაციისა" და "ნიკოლო ემ ჯგუფის" წარმომადგენლებმა.*

"საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის ასოციაციის" პრეზიდენტმა მარიკა დარჩიამ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა: **"არჩევნების შემდეგ გავაკეთებთ ყველანი გამოკვლევებს, თუ რა გამომსახველობით ფორმებს მიმართა არჩევნების დროს ამა თუ იმ პოლიტიკურმა პარტიამ. ჩვენი მიზანია თვალი მივადევნოთ, როგორ ვვითარდებით, როგორ იხვეწება ურთიერთობა დამკვეთსა და კლიენტს შორის. პროექტში მონაწილეობას მიიღებენ, ასევე, ფსიქოლოგები, სოციოლოგები. დღევანდელი აქცია ერთდღიანია, მაგრამ მომავალში ასეთი აქციების ფორმატი გაიზრდება".**

"ნიკოლო ემ ჯგუფის" ხელმძღვანელი გიორგი ლამბაშიძე: **"ჩვენ ვამკვიდრებთ იმ აზრს, რომ საჭიროა ჩამოყალიბდეს ბაზარი. უნდა გავაცნობიეროთ, რომ არსებობენ ე.წ. "პიარშიკები", ფსიქოლოგები, სოციოლოგები, რომლებიც ქმნიან პოლიტიკურ "ბრენდის". ვფიქრობთ, რომ ეს ბაზარი ჩამოყალიბების სტადიაშია. დღევანდელი შეხვედრაც ამის მცდელობაა, გვინდა, სათანადო განწყობა შევუქმნათ როგორც პოლიტიკოსებს, ასევე ყველა სპეციალისტს, რათა ჩამოყალიბდეს პოლიტიკური ეთიკა, მივიღოთ კანონები პოლიტიკური რეკლამების თაობაზე, ჩამოყალიბდეს პოლიტიკური თამაშის წესები".**

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო პარტიების საარჩევნო პლაკატები, სარეკლამო კლიპები. გაიმართა საკმაოდ საინტერესო დისკუსია ელექტორატთან პოლიტიკოსების ურთიერთობის თაობაზე. თუმცა, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი თავად მთავარი მოქმედი გმირების – ჩვენი პოლიტელიტის წარმომადგენლების გარეშე მიმდინარეობდა. ასე რომ, მათთვის უცნობი დარჩა არჩევნებისთვის სპეციალურად შექმნილი ფოკუს-ჯგუფების გამოკვლევების შედეგები, ასევე ფსიქოლოგებისა თუ სოციოლოგების მიერ პოლიტიკური პლაკატების შეფასებები.

ისინი, ალბათ, მედიის საშუალებით გაიგებენ, რომ ყველაზე, თუ შეიძლება ასე ითქვას, წარმატებული პოლიტიკური კლიპი - უცნობის "მზეს ველოდები" აღმოჩნდა.



"არაჩვეულებრივი გამოფენა"

იური ლობოდინის ფოტო

## რუსი პარლამენტარები ჩრდილოეთ კავკასიაში სიტუაციის გამწვავებაზეც მიანიშნებენ

რუსიკო ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

მოსკოვში პოლიტიკური სეზონის დასრულება რუსეთის პარლამენტმა საბოლოო გაბრძოლებით - აფხაზეთის საკითხის განხილვით აღნიშნა. ზაფხულის არდადეგებზე წასვლის წინ, რუსი პარლამენტარების ერთმა ნაწილმა, დეპუტატ ვიქტორ ალქსნისის მეთაურობით, აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობაზე იმსჯელა. ამის პარალელურად, საერთაშორისო საქმეთა კომიტეტში რუსი სამხედროების მცირერიცხოვანი ჯგუფი მიიწვიეს და გენერალ-მაიორ ლეონიდ ივაშოვის საზოგადოებაში წარიმართა მსჯელობა, აფხაზეთში სამხედრო მოქმედებების მოსალოდნელ განახლებაზე. რუსი სამხედროები შეშფოთებას არ მალავენ ჩრდილოეთ კავკასიაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამწვავებით და, მათი აზრით, აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტის საკითხმა შეიძლება, დეტონატორის როლი შეასრულოს.

**- ვიმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ უნდა მოვიგერიოთ საქართველოს აგრესია, თუკი საქართველოს მეგობარი ქვეყნები, გაეროს უშიშროების საბჭოს ტრიბუნიდან, მხარს დაუჭერენ აფხაზთა მორიგ გენოციდს,** - განაცხადა "24საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში პარლამენტარმა **ვიქტორ ალქსნისმა.**

გაგრძელება A5 გვერდზე

## საქართველო, ამერიკა და რუსეთი პანკისში ერთობლივ ოპერაციას გეგმავენ

"პანკისში ასეთი ოპერაციის ჩატარება ყველა ქართველის სირცხვილი იქნება," აცხადებს ჩეჩნეთის წარმომადგენელი ხიზრი ალდამოვი

ზაზა წულაძე

*საქართველო, ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი აქტიურ კონსულტაციებს აწარმოებენ, თუ რა ფორმით მოხდება პანკისის ხეობაში ერთობლივი სამხედრო ოპერაციის ჩატარება. "ეს ინფორმაცია სინამდვილეს შეეფერება, შეერთებული შტატების შუამავლობით, საქართველოსა და რუსეთს შორის ასეთი მოლაპარაკებები ნამდვილად მიმდინარეობს," – აცნობა "24 საათს" მამუკა არეშიძემ.*

*ამგვარი სახის მოლაპარაკებების შესახებ ინფორმაციას საქართველოში ჩეჩნეთის წარმომადგენელი ხიზრი ალდამოვიც ფლობს. საქართველოს ოფიციალური სტრუქტურები კი ამ ინფორმაციას არც ადასტურებენ და არც უარყოფენ.*

**"კონსულტაციები, შეერთებული შტატების შუამდგომლობით, ნამდვილად მიმდინარეობს და მისი მიზანია გაირკვეს, რა ფორმით მოხდება რუსეთის მონაწილეობა ერთობლივ ოპერაციაში, ამაზე მეტის თქმა ამ ეტაპზე არ შემიძლია,"** – გვითხრა მამუკა არეშიძემ.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 გეოპოლიტიკა

B1 ჭაში B2 კულტურა B3 რეკლამა B4 TV პროგრამა B5 TV პროგრამა B6 სტილი B7 სპორტი B8 სხვადასხვა

**თბილისი.** სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი შალვა ფიჩხაძე აცხადებს, რომ საქართველო თანდათანობით აშშ-ს მთავარი პარტნიორი ხდება.მან აღნიშნა, რომ შეერთებულმა შტატებმა საქართველოსათვის მიმდინარე წელს დახმარების სახით 103 მილიონი აშშ დოლარი გაიღო, ასევე ახორციელებს 64 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების "წვრთნისა და აღჭურვის" უპრეცედენტო პროგრამას, რომლითაც ქართული ანტიტერორისტული ქვედანაყოფები მომზადდება.

"აშშ და ნატო საქართველოს სახით რეგიონში დასაყრდენს, დასავლეთის ინტერესების წარმომადგენელს ხედავენ, ამიტომაც დახმარებას უწევენ ტერორიზმთან ბრძოლასა და სატრანსპორტო პოტენციალის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში," - თქვა შალვა ფიჩხაძემ და დასძინა, რომ ზემოხსენებული პროგრამის განხორციელების ფაქტმა პანკისის ხეობაში მყოფ ტერორისტებს რეგიონის ნებაყოფლობით დატოვებისაკენ უბიძგა.

ფიჩხაძის თქმით, საქართველოსადმი აშშ-ს კეთილგანწყობილი დამოკიდებულება რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული, კერძოდ, თბილისის დასავლურ ღირებულებებზე ორიენტაციით, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობით, თავისუფალი სიტყვის პრინციპის დამკვიდრებითა და პოლიტიკური შეხედულებებით.

"მეორე მხრივ, აშშ და მისი პარტნიორები კასპიის ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროებისადმი მისადგომებს იღებენ, რასაც პოლიტიკური ინსტრუმენტის სახით არ გამოიყენებენ," - განაცხადა შალვა ფიჩხაძემ.

■ ■ ■

**თბილისი.** საოლქო სასამართლომ რუსთაველი ლეიბორისტებისა და კონსტიტუციური უფლებების დაცვის პარტიის სარჩელი, სადაც ისინი ორი გაუქმებული საარჩევნო უბნის აღდგენას ითხოვდნენ, უსაფუძვლობის გამო არ დააკმაყოფილა. ლეიბორისტების ერთ-ერთი ლიდერის, ზაზა ჯანიკაშვილის განცხადებით, სასამართლო ტენდენციური იყო, რადგან ისინი არც კი დაინტერესებულან მოსარჩელეების მიერ წარმოდგენილი მასალებით. მათ შორის, ადგილობრივი ტელევიზიის მიერ გადაღებული ვიდეომასალით, სადაც ჯანიკაშვილის თქმით, ნათლად ჩანს, რომ არჩევნები აღნიშნულ უბნებზე შეგნებულად ჩაშალეს.

■ ■ ■

**თბილისი.** 25 აპრილის მიწისძვრით დაზარალებული თბილისელების ბინების შესასყიდად, რაიონებში სიების შედგენა მიმდინარეობს. მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ზურაბ გუდავაძის განცხადებით, მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა, ვინ მიიღებს ბინას პირველ ეტაპზე. დღეისთვის ფონდში 1 მილიონ 940 ათასი ლარია მობილიზებული. ფონდს უკვე შეძენილი აქვს ბინების გარკვეული ნაწილი, შემდეგი ნაწილის შესყიდვას კი, იტალიის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის მიღების შემდეგ აპირებს.

■ ■ ■

**თბილისი.** შიდსისა კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის ცნობით, საქართველოში შიდსის ვირუსით ინფიცირების 7 ახალი შემთხვევა დაფიქსრდა. ინფიცირებულთაგან 5 მამაკაცია, 2 - ქალი. ამ დაავადებით საქართველოში უკვე 320 ადამიანია რეგისტრირებული, 278 კაცი და 42 ქალი. მათ შორის 224 ინტრავენური ნარკომანია, 77 - ჰეტეროსექსუალი, 11 - ჰომოსექსუალი და ბისექსუალი, 4 სისხლის გადასხმით დაავადდა, 2 შემთხვევაში ვირუსი დედიდან შვილზე გადავიდა, ორის დაავადების მიზეზი დაუდგენელია. დაავადებულთაგან 127 თბილისში ცხოვრობს, 51 - აჭარაში, 57 - სამეგრელოში, 24 - იმერეთში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ადგილობრივი ექსპერტების ვარაუდით, საქართველოში შიდსით, რეალურად, 1500-ზე მეტი ადამიანია ინფიცირებული.

■ ■ ■

**თბილისი.** ხვალ, 6 ივლისს, თბილისში დაიწყება და ორ-სამ დღეს გასტანს პანკისის ხეობაში მყოფი ჩეჩენი ლტოლვილების დამატებითი ხელახალი რეგისტრაცია. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წინასწარი მონაცემებით, ხელახალ რეგისტრაციას გაივლის200-მდე ლტოლვილი, რომელსაც ახმეტის რაიონიდან თბილისში მიმდინარე რეგისტრაციის გავლა ვერ მოახერხეს. მაშინ სამინისტრომ 3 800 ჩეჩენი ლტოლვილი აღრიცხა. საქართველოში გადმოსვლა ჩეჩენმა ლტოლვილებმა 1999 წელს დაიწყეს. საწყის პერიოდში მათი რიცხვი 8 ათასს აღწევდა. ჩეჩენი ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნების საკითხს ქართული მხარე რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ჯგუფის მიერ თბილისში დაგეგმილი სტუმრობისას განიხილავს.

■ ■ ■

**თბილისი.** შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტში საგამოცდო ციებ-ცხელებაა. ინსტიტუტში სტუდენტებს 14 სპეციალობაზე მიიღებენ.

როგორც ინსტიტუტში აცხადებენ, ტრადიციულად, ყველაზე დიდი კონკურსი დრამისა და კინოს სამსახიობო ფაკულტეტებზეა, ასევე, მუსიკალური თეატრის მსახიობის ფაკულტეტზე. რამდენიმე წელია, თეატრალურ ინსტიტუტში პრესტიჟული გახდა ტელე-რადიო გადაცემათა წამყვანის, ჟურნალისტისა და ხელოვნებათმცოდნის სპეციალობა.

საგამოცდო კომისიის წევრების თქმით, გასულ წლებთან შედარებით, წლეულს აბიტურიენტთა მომზადების დონე მაღალია. ადგილები კი შეზღუდულია და ინსტიტუტში პირველ კურსზე მხოლოდ 79 სტუდენტი ჩაირიცხება. პანტომიმის თეატრის სამსახიობო ფაკულტეტზე სწავლება ფასიანია და გადასახადი წელიწადში 200 დოლარს შეადგენს. სამსახიობო-სარეჟისორო ფაკულტეტის ფასიან განყოფილებაზე გადასახადი კი 400 დოლარია.

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საგზაო პოლიცია სპეცტანსაცმლის სიმცირეს უჩივის. სპეციალური ყვითელი ჟილეტები, რომლებიც საგზაო პოლიციელებს რამდენიმე წლის წინათ დაურიგდათ, ბევრ მათგანს უკვე აღარ აქვს, რადგან დროთა განმავლობაში ჟილეტები გაცვდა და დაიხა, ფინანსების სიმცირის გამო კი, პოლიციელთა ხელახალი შემოსვა ვერ ხერხდება.

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის მე-5 საპყრობილეში სხეულის დაზიანებებით გადაიყვანეს 28 წლის ნატო ბარბაქაძე.

მე-5 საპყრობილეში ექიმ-ექსპერტის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ბარბაქაძეს აღენიშნება მრავლობითი სისხლნაჟღენთი ორივე წინა მხარზე, შუბლზე და თვალბუდის არეში.

ნატო ბარბაქაძე ადამიანის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ბრალდებით დააკავეს.

მისი განმარტებით, სხეულის დაზიანებები დაკავებამდე, დანაშაულის ჩადენისას, ჩხუბის დროს მიიღო.

■ ■ ■

**თბილისი.** გერმანიის სასაზღვრო პოლიციის უფროსი უდო ბუხგოლდერი ხუთშაბათს თბილისს ეწვევა. იგი ხუთშაბათს საღამოს სასაზღვრო უწყების თავმჯდომარის მოადგილეს პოლიციის გენერალს დავით გულუას შეხვდება.

გერმანიის სასაზღვრო პოლიციის ექსპერტთა ჯგუფი სასაზღვრო დეპარტამენტის რეფორმირების რეკომენდაციებზე მუშაობს. ჯგუფის ვიზიტი 30 ივნისს დაიწყო და 17 ივლისამდე გასტანს.

გერმანელი ექსპერტები შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაზე მუშაობენ, რათა საქართველოს სასაზღვრო სამსახური უფრო ეფექტური მუშაობისათვის სამართალდამცველ უწყებად გარდაიქმნას.

■ ■ ■

**თბილისი.** მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ ხუთშაბათს, დახურულ პროცესზე, 3-თვიანი პატიმრობა შეუფარდა ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის ლევან მამალაძის დაცვის ყოფილ წევრს შოთა თინიკაშვილს, რომელიც 2 ივნისის რუსთავის თვითმმართველობის არჩევნებისას საარჩევნო ბიულეტენების გატაცებაშია ბრალდებული.

ორ ივნისს დილით, თბილისიდან რუსთავისაკენ მიმავალ მიკროავტობუსს, რომელსაც ადგილობრივი არჩევნებისათვის განკუთვნილი ბიულეტენები გადაჰქონდა, თავს დაესხა 30-40 შეიარაღებული პირი, რომლებმაც დაახლოებით 40 000 ბიულეტენი გაიტაცეს, რის გამოც არჩევნები ჩაიშალა.

პროცესზე, მოსამართლემ თინიკაშვილს რუსთავში არჩევნების ჩაშლის შედეგად მიყენებული ზარალის - 1 მილიონი ლარის მესამედის ბაჟის გადახდა და თავდებით გათავისუფლება შესთავაზა, ეჭვმიტანილმა ეს წინადადება არ მიიღო.

■ ■ ■

**თბილისი.** კვების, საყოფაცხოვრებო და კოსმეტიკური იმპორტირებული საქონელი 1 ნოემბრიდან საქართველოში ქართული ეტიკეტით შემოვა. ამასთან დაკავშირებით „მომხმარებელთა უფლებების შესახებ" კანონში ცვლილებები და დამატებები მომზადდა.

მხოლოდ ქართული ეტიკეტით მოხდება სამკურნალო საქონლის იმპორტიც, ოღონდ ეს 2003 წლის 1 იანვრიდან განხორციელდება. ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის არმაზ თავაძის განცხადებით, 1 ნოემბრამდე იმპორტიორებს დრო მიეცემათ, რათა მათ პროდუქციის მწარმოებელ ქარხნებსა და საწარმოებს ქართული ეტიკეტებით პროდუქციის გამოშვება შეუკვეთონ.

ნებისმიერი პროდუქციის დასახელება, სახელი, წარმოშობის ქვეყანა, ვარგისიანობის ვადა, მოცულობა, წონა, სტანდარტი ქართულად იქნება.

ცვლილებები შევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. 100 ლარიდან 1.000 ლარამდე ადმინისტრაციული ჯარიმებს ითვალისწინებს კოდექსი იმ პირთა მიმართ, ვინც 1 ნოემბრიდან ქართულ ენაზე გაფორმებული რეკვიზიტების გარეშე გამოშვებული პროდუქციის რეალიზებას მოახდენს.

მომხმარებელთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებები და დამატებები პირველი მოსმენით მიიღება პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე.

■ ■ ■

**ჭუბურხინჯი.** ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე, წინასწარი შეთანხმების მიუხედავად, 28 ივნისს გალის რაიონის სოფელ წარჩეში მომხდარი აფეთქების შესახებ არ უმსჯელიათ. ამ საკითხის განხილვა ოთხმხრივი საგამოძიებო ჯგუფის სხდომისთვის გადაიდო.

აფხაზურმა მხარემ აღნიშნა მხოლოდ ის, რომ წარჩეში მომხდარი აფეთქებები იყო „წმიდა წყლის კრიმინალური შემთხვევა, რაც ფულის გამოძალვის მიზნით განხორციელდა".

აფხაზების თქმით, მსგავსი პრეცედენტები ამ სოფელში არაერთხელ ყოფილა. ჭუბურხინჯის გასული შეხვედრებისგან განსხვავებით, წარჩეს აფეთქებებში ქართველი პარტიზანების მონაწილეობაზე აფხაზურ მხარეს მინიშნებაც არ გაუკეთებია.

რაც შეეხება გასულ ერთ კვირას კონფლიქტის ზონაში, მხარეებმა ვითარება სტაბილურად შეაფასეს.

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის უსაფრთხოების ზონის სამხრეთ სექტორში დაიწყო რუსეთის სამშვიდობო ძალების როტაცია, რომელიც განხორციელდება ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში დისლოცირებულ 529-ე ბატალიონში.

რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლის ალექსანდრ ევტეევის ინფორმაციით, როტაცია ერთ კვირაში დასრულდება.

როტაცია სამშვიდობო ძალების სხვადასხვა ნაწილებში წელიწადში ერთხელ მიმდინარეობს.

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია „დემოკრატის" ლიდერის გიორგი ბარამიძის თქმით, ხელისუფლება გაჭირვებული ადამიანების პროვოცირებით - დევნილების შენობაში შეჭრის გზით ვაშლიჯვარში "გაერთიანებული დემოკრატების" ოფისის აღებას და მათ გამოყრას აპირებს.

ბარამიძე აცხადებს, რომ არსებობს პრეზიდენტის კონსულტანტის გია ლომაძის ავტორობით შექმნილი ბროშურა, სადაც წერია, რომ ვაშლიჯვრის ოფისი დევნილებმა უნდა დაიკავონ.

„ხელისუფლება ძალადობას მიმართავს. ეს კი სერიოზულ დაპირისპირებას გამოიწვევს და მოვლენების ესკალაციის საფუძველი გახდება", — თქვა ბარამიძემ და პრეზიდენტს და ძალოვან სტრუქტურებს მოსალოდნელი პროვოკაციის თავიდან აცილება მოსთხოვა.

ფრაქცია „მოძრაობა დემოკრატიული რეფორმების" წევრმა ვანო მერაბიშვილმა დღევანდელ რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, რომ თუ ხელისუფლება „გაერთიანებულ დემოკრატებს" ოფისს წაართმევს, ამას მწვავე რეაქცია მოჰყვება.

„ჩვენ ვიცით, რომელი შენობა უნდა „ავილოთ", რომ ქვეყანაში არსებული პრობლემები მოგვარდეს", — თქვა მერაბიშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ მერაბიშვილს მიკროფონი გამოურთო და კოლეგებს მსგავსი განცხადებებისსგან თავშეკავება კატეგორიულად მოსთხოვა.

■ ■ ■

**თბილისი.** აბაშაში მიმდინარე საპროტესტო აქციების გამო, სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ბონდო ჯიქიას მისივე განცხადების საფუძველზე თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას სახელმწიფო კანცელარიაში არ ადასტურებენ და აცხადებენ, რომ ჯიქია თავისი მოვალეობის შესრულებას კვლავაც აგრძელებს.

აბაშელები ჯიქიას ხელისუფლებასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის დაპირისპირების გაღვივებაში ადანაშაულებენ და აბაშის ახლად დანიშნული გამგებლის სოსო ჭანტურიასა და პრეზიდენტის რწმუნებულის თანამდებობიდან გათავისუფლებას ითხოვენ.

აბაშაში მოშიმშილეთა ხუთკაციან აქცია მეათე დღეა გრძელდება. როგორც „მედია-ნიუსს" სახელმწიფო კანცელარიის რეგიონული სამსახურის სამეგრელოს კოორდინატორმა ლადო ჯღარკავამ უთხრა, სოსო ჭანტურიას აბაშის საკრებულოს 16 წევრიდან 13 მხარდამჭერი ჰყავს, ხოლო „მოშიმშილეები მის მოწინააღმდეგეთა მცირე ჯგუფს შეადგენენ, რაც ჭანტურიას თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი ვერ გახდება".

■ ■ ■

**რუსთავი.** რუსთავი ერთადერთი ქალაქია საქართველოში, რომელსაც დღეს ბუნებრივი აირი მიეწოდება. "რუსთავგაზი", რომლის ანგარიშებიც საბიუჯეტო დავალიანების გამო დაყადაღებულია, მოსახლეობას გაზის შესაძლო გათიშვის თაობაზე უკვე აფრთხილებს. "რუსთავგაზი" "საქგაზის" შვილობილი კომპანიაა. გუშინ ქალაქის მერი მერაბ ტყეშელაშვილი "საქგაზსა" და "იტერას" დაუპირისპირდა. მისი თქმით, თუ აქამდე "რუსთავგაზის" აქციების 45 პროცენტი ქალაქს ეკუთვნოდა, ახალა გაირკვა, რომ მას მხოლოდ 4,5 პროცენტილა აქვს დარჩენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალაქის მესვეურებს კომპანიის დოკუმენტაციის ნახვაც კი აღარ შეუძლიათ. "ეს არის წინასწარგამიზნული ქმედებები, რომელსაც ხელი შეუწყეს სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციონერებმა, იმ მოხელეებმა ვისაც არაფრად მიაჩნია ხალხი. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მორჩეს მათი თარეში და მათი ბატონობის ხანა."

■ ■ ■

**ჭიათურა.** გუშინ მშრომელთა პროფესიულმა კავშირმა „სოლიდარობამ" სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის" პატარიძის სახელობის მაღაროს ყოფილი დირექტორის, ამირან მაჩიტაძის მხარდამჭერი აქცია გამართა და მისი ძველ თანამდებობაზე დაბრუნება მოითხოვა.

მაღაროელები მაჩიტაძის დირექტორის თანამდებობიდან მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე ჩამოქვეითებას აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ მისი თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანება, რომელსაც ხელს სს „ჭიათურმანგანუმის" დირექტორი როლანდ გოცაძე აწერს, „ყოვლად უკანონო და დაუსაბუთებელია".

როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, მათი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გაფიცვას გააგრძელებენ, ხოლო ხვალიდან კი მაღაროში შიმშილობას დაიწყებენ.

გაფიცულებს სოლიდარობას უცხადებენ მაღაროს სხვა მუშებიც, აგრეთვე ზესტაფონის „ფეროშენადნობი" ქარხნის მუშა-მოსამსახურეები, ჭიათურის, ზესტაფონის, თერჯოლის ენერგეტიკოსები და თბილისის ტრანსპორტის პროფკავშირი.

სასურველი შედეგების მიუღწევლობის შემთხვევაში, „ჭიათურმანგანუმის" მაღაროელების საპროტესტო აქციას აღნიშნული საწარმოების მუშებიც შეუერთდებიან.

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის სპეცსამსახურებს ხელში ჩაუვარდათ აუდიოკასეტები, რომლებზეც ჩაწერილია ჩეჩნეთის პრეზიდენტის ასლან მასხადოვის მოწოდებები ტერორისტული აქტების განსახორციელებლად ფულის შეგროვების თაობაზე. ჩრდილოეთ კავკასიაში ანტიტერორისტული ოპერაციის რეგიონული ოპერატიული შტაბის წარმომადგენელმა ილია შაბალკინმა განაცხადა, რომ ეს ჩანაწერები მოწმობს "მასხადოვის მიერ ჩეჩნეთში ბანდიტიზმის დაკანონებას". აუდიოკასეტაზე ჩეჩნეთის პრეზიდენტი თავის ხელქვეითებს მდიდარი ჩეჩენი ბიზნესმენების რეკეტისაკენ მოუწოდებს. ეს ფული, მასხადოვის განცხადებით, შეიარაღებული ფორმირებების შესანახადაა საჭირო. ჩეჩნეთში ფულის აკრეფის ეს ფორმა "საპრეზიდენტო გადასახადის" სახელითაა ცნობილი.

■ ■ ■

**მოსკოვი.** გუშინ რუსეთის დედაქალაქში ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე მუშაობა დაიწყო რუსულ-ქართული კომისიის მეხუთე სხდომამ.

სამთავრობათაშორისო კომისიის წინა სხდომა თბილისში 2000 წლის დეკემბერში გაიმართა. თითქმის ორწლიანი „შესვენება", მოსკოვში საქართველოს საელჩოს ერთ-ერთი თანამშრომლის თქმით, „საკადრო სააკითხების მოუწესრიგებლობით" იყო გამოწვეული.

რუსეთის დელეგაციას მეთაურობს მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრი ილია კლებანოვი, ქართულს — სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე.

მიმდინარე სხდომაზე დაგეგმილია რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის სამართლებრივი ბაზის სრულყოფის პრობლემები. მხარეები განიხილავენ აგრეთვე, ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებს ენერგეტიკისა და გაზის მრეწველობის სფეროში, აგრეთვე, სავარაუდოდ, ღონისძიებებს ფალსიფიცირებული პროდუქციის (ღვინო, მინერალური წყლები) მოცულობის შესამცირებლად.

სხდომის დასასრულს განზრახულია ორი ერთობლივი დოკუმენტის ხელმოწერა: შეთანხმებას ტურიზმის სფეროში რუსეთ-საქართველოს თანამშრომლობის შესახებ და სავაჭროეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამას ჩრდილოეთ ოსეთსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონს შორის.

■ ■ ■

**მოსკოვი.** მოსკოვის გარეუბანში, ვნუკოვოს დასახლებაში დააკავეს ყაჩაღურ თავდასხმაში ეჭვმიტანილი საქართველოს ორი მოქალაქე.

მოსკოვის შს მთავარი სამმართველოს განცხადებით, ოთხშაბათს ბოროტმოქმედებმა დანის მუქარით მოსკოვის მაცხოვრებელს წაართვეს მობილური ტელეფონი და ათასი რუბლი, ერთი საათის შემდეგ კი ისინი მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს.

წართმეული ფული და ტელეფონი ამოღებულია. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

■ ■ ■

**გერმანია.** ორშაბათს სამხრეთ გერმანიის თავზე ორი თვითმფრინავის შეჯახების შედეგად დაღუპულთა ნათესავები გუშინ ბაშკირეთის დედაქალაქ უფიდან გერმანიაში ჩავიდნენ და ტრაგედიის ადგილი მოინახულეს. გერმანიის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დაღუპულთა ნათესავებს "ფსიქოლოგიურ დახმარებას" გაუწევენ და არც ერთი მათგანი მსხვერპლთა ამოცნობაში მონაწილეობას არ მიიღებს. დაღუპულთა ნათესავებს მხოლოდ მსხვერპლთა ფოტოსურათების ჩამოტანა სთხოვეს. ტრაგედიაში 71 ადამიანი დაიღუპა, რომელთა უმრავლესობა ბავშვი იყო. შვეიცარიის სადისპეტჩერო სამსახურმა აღიარა, რომ კრიტიკული ვითარებების გამაფრთხილებელი სისტემა შეჯახების მომენტში გამორთული იყო პროფილაქტიკური რემონტის ჩასატარებლად.

■ ■ ■

**ბარსელონა.** 6-13 ივლისს ბარსელონაში შიდსის დაავადებისადმი მიძღვნილი მე-14 საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებენ: მსოფლიო ჯანდაცვის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრების, ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების წამყვანი სპეციალისტები და თავად შიდსით ინფიცირებულები. კონფერენციაზე შიდსის დარგში მსოფლიო მასშტაბით მიღწეულ სამეცნიერო-პრაქტიკულ და სამკურნალო შედეგებზე იმსჯელებენ. საქართველოს მხრიდან ღონისძიებაში შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის დირექტორი, თენგიზ ცერცვაძე მიიღებს.

*მედია-ნიუსი, პრაიმ-ნიუსი.*

# „მათ საშემოდგომოდ რაღაც აქვთ ჩაფიქრებული,, - გვაფრთხილებს მამალაძე



*"გეუბნებით, მათ საშემოდგომოდ რაღაც აქვთ ჩაფიქრებული"*

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

სოფიკო ბუკია

პარლამენტის სხდომაზე სახელმწიფო რწმუნებულის ინსტიტუტს შეუტიეს. ამის გამო ქვემო ქართლის გუბერნატორს, ლევან მამალაძეს დმანისიდან საგანგებოდ თბილისში ჩამოსვლა და პრესკონფერენციის მიმართვა მოუხდა. **"საპარლამენტო ინტრიგის"** შინაარსი მამალაძეს თბილისელმა მეგობრებმა დმანისში დააწიეს, როცა ის იქაურ მოსახლეობას **"თვითმმართველობის დამკვიდრებაში"** ეხმარებოდა და დმანისელი **"პედაგოგების საშვებულებო თანხებზე"** ზრუნავდა.

**"დესტაბილიზაციის მსურველთა მიერ საგანგებოდ შემუშავებულ"** ამ საპარლამენტო ინიციატივას, ქვემო ქართლის გუბერნატორი საშემოდგომო არეულობის მოსამზადებელ პირველ ეტაპად მიიჩნევს. **"მომზადდა ახალი პროვოკაცია, ახალი ტალღა აგორდა... ჩვენ დმანისში სოციალურ საკითხებზე ზრუნვას მოგვწყვიტეს. უნდათ, ზაფხულში, რაც შეიძლება, მეტი სოციალური პრობლემა დაგროვდეს, რომელსაც შემდეგ საშემოდგომოდ წარმატებით გამოიყენებენ ხალხის ქუჩაში გამოსაყვანად,"** - იწინასწარმეტყველა დღევანდელ პრესკონფერენციაზე მამალაძემ და დასძინა, რომ ეს მოვლენები ღიად ფიქსირდება მასმედიაში. **"გახსოვთ, არჩევნებამდე პრესით გამოდიოდნენ იგივე ძალები და აცხადებდნენ, რუსთავში არჩევნები ჩაიშლებაო? ასეც მოხდა. ახლა ბევრი შემოდგომას, ხელისუფლების შეცვლას და ა.შ. ახსენებს... გეუბნებით, მათ საშემოდგომოდ რაღაც აქვთ ჩაფიქრებული,"** - აფრთხილებს ჟურნალისტებს მამალაძე. რწმუნებულის ინსტიტუტის გაუქმებას იგი ქვეყნისთვის ტრაგედიად მიიჩნევს, რადგან, ასეთ შემთხვევაში, ვერ მოხერხდება საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რეფორმირება, რაც, გუბერნატორის აზრით, ერთობ მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის.

რუსთავის ბიულეტენების გატაცებაში ეჭვმიტანილის, მამალაძის დაცვის ყოფილი წევრის, შოთა თინიკაშვილის დაკავებაშიც ქვემო ქართლის გუბერნატორი ასევე "დესტაბილიზაციის მსურველი ძალების" ხელწერას ცნობს. იგი ამ საქმეში სამართალდამცავების მონაწილეობასაც არ გამორიცხავს, თუმცა დაკონკრეტებისგან თავს იკავებს. მამალაძე რუსთავის ინციდენტზე საუბრისას, რუსთავის ამჟამინდელ მერზე, მერაბ ტყეშელაშვილზეც მიანიშნებს. იგი ითხოვს, ძირფესვიანად გამოძიებულ იქნას ეს შემთხვევა, რომელიც ჩრდილს აყენებს პარტიის ღირსეული წევრის რეპუტაციას, რომელიც ამ შემთხვევაში სრულიად უდანაშაულოა. მამალაძის თქმით, თინიკაშვილი ჯერ კიდევ 1995 წელს ეხმარებოდა პარტიას, შეიარაღებულ ბანდებს ებრძოდა და მისი ერთადერთი დანაშაული ისაა, რომ იგი მამალაძის ერთგულია. **"თუ არჩევნების გამყალბებლებზე იერიშის მიტანა უნდათ, ხათუნა გოგორიშვილით დაიწყონ,"** - ურჩევს გუბერნატორი სამართალდამცავებს. მამალაძის თანაგუნდელი ბელა კვარაცხელია პარლამენტში ერთ საინტერესო ინიციატივას გეგმავს: ის აპირებს, შესთავაზოს პარლამენტარებს, სანუკვარი იმუნიტეტები დათმონ, რათა სამართალდამცავებს საშუალება მიეცეთ, გაარკვიონ, ბოლოს და ბოლოს, ვინ აყალბებს არჩევნებს საქართველოში. მამალაძე არ არის წინააღმდეგი, ეს ექსპერიმენტი ჯერ მისმა ფრაქციამ გამოსცადოს.

რაც შეეხება "გაერთიანებული დემოკრატების" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოსდა "მოქალაქეთა კავშირის" წარმომადგენლები ლტოლვილებს ვაშლიჯვრის ოფისში შეჭრას და იქ ოჯახური ბუდეების მოწყობას ურჩევენ, მამალაძეს ეცინება და აცხადებს: **"არ გამიკვირდება, თუ დამაბრალებენ, მამალაძე თბილისიდან ბომბეიმდე გვირაბს თხრისო..."**

მამალაძე აცხადებს, რომ პარლამენტში "დესტაბილიზაციის მსურველ ძალათა" მიერ რწმუნებულის ინსტიტუტის წინააღმდეგ აგორებული ავანტიურისტული კამპანია ამით არ დასრულდება. სულ მალე, მამალაძის წინასწარმეტყველების მიხედვით, აღნიშნული ძალები მათთვის არასასურველ მინისტრებს შეუტევენ, მერე კი პრეზიდენტზე გადავლენ.

**"პრეზიდენტი ქვეყნის სტაბილურობის გარანტია. სტაბილურობას კი შეუძლია, გაუღვივოს იმედი იმ გაჭირვებულ ადამიანს, რომელიც 15-ლარიან პენსიას ელოდება..."** - ასკვნის მამალაძე.

# საქართველო, ამერიკა და რუსეთი პანკისში ერთობლივ ოპერაციას გეგმავენ

"პანკისში ასეთი ოპერაციის ჩატარება ყველა ქართველის სირცხვილი იქნება," აცხადებს ჩეჩნეთის წარმომადგენელი ხიზრი ალდამოვი

პირველი გვერდიდან

კარგად ინფორმირებულმა წყარომ "24 საათს" აცნობა, რომ კონსულტაციებზე რუსეთის პოზიცია არ შეცვლილა. მოსკოვი საქართველოს კვლავ სთავაზობს, ხეობაში გამაგრებული, ჩეჩენი საველე მეთაურის, რუსლან გელაევის რაზმზე და სხვა ჯგუფებზე იერიში რუსულ-ქართულმა სპეცდანიშნულების ერთობლივმა რაზმმა მიიტანოს. სანაცვლოდ, მოსკოვი სავიზო რეჟიმის გაუქმებას და გაზის ბლოკადის მოხსნას გვპირდება. მოსკოვი ამ პრობლემის მოგვარებას ასევე უკავშირებს ორ ქვეყანას შორის ჩარჩოხელშეკრულების გაფორმებას. საქართველო, ამ ეტაპზე, ოპერაციაში მხოლოდ რუსი დამკვირვებლების მონაწილეობაზეა თანახმა. შეერთებული შტატები კი, ყოველნაირად ცდილობს, თბილისსა და მოსკოვს შორის კონფრონტაციის შერბილებას.

**"ასეთი მოლაპარაკებების შესახებ დეტალური ინფორმაცია არ მაქვს. არ გამოვრიცხავ, რომ ასეთი სახის კონსულტაციები ნამდვილად მიმდინარეობდეს, თუმცა, ეს დიდი ხნით ვერ დაიმალება. პანკისის პრობლემა უნდა მოგვარდეს, ეს სამივე ქვეყნის, უპირველეს ყოვლისა კი, საქართველოს ინტერესშია. ბუნებრივია, ჩვენ არ უნდა დავთანხმდეთ იმ წინადადებებს, რასაც აქამდე რუსეთი გვთავაზობდა. ხეობის არასასურველი ელემენტებისგან გაწმენდა საკუთარი ძალებით უნდა შევძლოთ. წინააღმდეგი არ ვარ, ამ პროცესს 10-15 რუსი დამკვირვებელი დაესწროს, "** – გვითხრა საპარლამენტო ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერმა გიორგი ბარამიძემ.

გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი რანგის დიპლომატმა, რომელმაც თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ **"შეერთებულმა შტატებმა, შეიძლება, შეაჩეროს საქართველოში "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა, იმ შემთხვევაში, თუ პანკისის პრობლემა უახლოეს მომავალში არ მოგვარდება".**

პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი ასეთი სახის განცხადებას საქართველოზე "თავისებურ ზეწოლას" უწოდებს: **"ასეთი და სხვა სახის ზეწოლით, საქართველოს საზოგადოებრივ აზრს თანდათანობით ამზადებენ, რომ პანკისის ხეობის პრობლემა, ერთობლივი ოპერაციის ჩატარების გარეშე ვერ მოგვარდება. იმ შემთხვევაში, თუ საუბარი წარიმართება ქართული სტრუქტურების ოპერაციაზე, რომელშიც რუსეთის სპეცდანიშნულების რაზმი ჩაერთვება, მის დაგეგმვაში კი აშშ-ს ინსტრუქტორები მიიღებენ მონაწილეობას და ამერიკულ იარაღსა და ტექნიკას გამოიყენებენ, ეს ფაქტორები ემოციურ ფონს შეასუსტებს, რაც სულ თან სდევს ამ საკითხის განხილვას. აშშ თავის ჯარისკაცებს პანკისში არ გააგზავნის, თუმცა, ასეთ ოპერაციაში მათი ფორმალური მონაწილეობა, კავკასიის სამხედრო ქმედებებში საქართველოს ჩათრევის შესაძლებლობის მინიმიზაციას გამოიწვევს,"** – მიაჩნია კლიმიაშვილს.

პანკისის პრობლემის გამო "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის შეჩერებას გამორიცხავს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი. **"არა მგონია, რომ ასეთი რამ მოხდეს. დღეს ამის საშიშროება არ არსებობს,"** – გვითხრა ბათიაშვილმა.

პანკისის ხეობაში სიტუაციის ასეთი მიმართულებით განვითარება ყველაზე მეტად საქართველოში ჩეჩნეთის წარმომადგენელს, ხიზრი ალდამოვს აღელვებს. **"მე მაქვს ინფორმაცია, რომ ასეთი სახის მოლაპარაკებები ნამდვილად მიმდინარეობს. თუმცა, საქართველოს პოზიცია, ჯერჯერობით, ისეთივეა, როგორიც ადრე იყო. რუსები პანკისში ფეხს ვერ შეადგამენ. ქართველმა ერმა და პრეზიდენტმა შევარდნაძემ ეს არ უნდა დაუშვან. პანკისში არც გელაევია და არც ბენ ლადენი. თუ ეს მოხდა, ეს მხოლოდ იქ მყოფი ჩეჩენი ლტოლვილების პრობლემა კი არა, პირველ რიგში, ქართველების სირცხვილი იქნება, რომლებსაც სამი სოფლისთვის ვერ მოუვლიათ. დამიჯერეთ, რუსი თუ იქ შევა, ისე დარჩება, როგორც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დარჩა,"** – ამბობს ალდამოვი.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ზესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჭოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

# ეს მხოლოდ ჟურნალია, კინო მალე იქნება

"გვაიმედებენ" პარლამენტარები

პირველი გვერდიდან

ჟვანიასა და სააკაშვილის გუნდების წარმომადგენელთა ზემოთ აღნიშნულმა განცხადებებმა, პრეზიდენტის მხარდამჭერ ფრაქციებში მძაფრი რეაქცია გამოიწვია. "ალიანსის" თავმჯდომარის, ირაკლი გოგავას მტკიცებით, აბსურდია, თითქოს ვაშლიჯვრის ოფისის დასაკავებლად ლტოლვილების წაქეზება მათი მხრიდან მოდიოდეს. ბრალდებით აღშფოთებულმა პროშევარდნაძისტულმა საპარლამენტო ფრაქციებმა ბოლოს გადაწყვიტეს, რჩევისთვის იურისტებს მიმართონ და "ნამოქალაქარებს" ეს ოფისი საერთოდ დაატოვებინონ.

ირაკლი გოგავამ კიდევ ერთი კონტრშეტევაც გაახორციელა: გასული წლის ოქტომბერ-ნოემბრის მღელვარე პერიოდი გაიხსენა, გამოთქვა ვარაუდი, რომ მაშინ სახელმწიფო გადატრიალება მზადდებოდა და შესაბამისი ორგანოებისგან მოითხოვა, ამ თემას კიდევ ერთხელ დაუბრუნდნენ.

რაც შეეხება ლევან მამალაძის დაცვის ყოფილი წევრის დაკავების ფაქტს, პროსახელისუფლებო ძალებმა ამაში პროკურატურის დაინტერესება დაინახეს და ამის კვალობაზე, კიდევ ერთხელ წამოტივტივდა ერთ დროს "ახლების" მიერ აგორებული "ოჯახური დუეტის" - ბადრი ბიწაძისა და ნინო ბურჯანაძის მიმართ გამოთქმული პრეტენზიები.

ამის საპასუხოდ, ოპონენტები, თავის მხრივ, მეორე ოჯახს "ესტუმრნენ" და აღნიშნეს, რომ, ბიწაძე-ბურჯანაძის წყვილისგან განსხვავებით, ზაზა შენგელია-სესილი გოგიბერიძის ტანდემი მათზე მინდობილ



*პარლამენტარები წვრილმან კინკლაობაში გაიბლანდნენ.* გოგიტა ბუხაიძის ფოტო

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეებს სათანადოდ ვერ უძღვება.

ასეთ პირადულ, წვრილმან საკითხებზე დისკუსიაში გაილია გუშინ საპარლამენტო ცხოვრების თითქმის მთელი დღე. დეპუტატებს მხოლოდ გვიან საღამოს გაახსენდათ, რომ ამ ქვეყანაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხებიც არსებობს და კამათი კიდევ უფრო სადავიდარაბო თემატიკის ირგვლივ განაგრძეს - გამგებლების არჩევითობა და პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტის გაუქმება მოინდომეს...

ასე რომ, ახლო მომავალში საკანონმდებლო ორგანოში დაძაბულობის განმუხტვაზე ფიქრიც კი სასაცილოა. პირიქით: "ეს მხოლოდ ჟურნალია. კინო მალე იქნება," - "გვაიმედებენ" პარლამენტარები გიორგი ბარამიძე და კოტე კემულარია.

# გურამ შარაძე დეპუტატის მანდატს ტოვებს

თუმცა, ჭერჭერობით, ისევ პარლამენტარად რჩება

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტარ გურამ შარაძის თქმით, ის შეურაცხყოფილია იმ ბრალდებებით, რომლებიც "რუსთავი-2"-ის ეთერში მას "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა ლევან რამიშვილმა წაუყენა და, პროტესტის ნიშნად, სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერებას ითხოვს.

**"თუ ცილისწამებასთან გვაქვს საქმე, დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს, ხოლო თუ ბრალდებები სიმართლეს შეესაბამება, უფლება არა მაქვს, საქართველოს პარლამენტის წევრი ვიყო,"** - აცხადებს გურამ შარაძე და თავის სადეპუტატო მანდატს პარლამენტის თავმჯდომარეს აბარებს.

იმის გარკვევა, საბჭოთა პერიოდში თანამშრომლობდა თუ არა შარაძე "კაგებესთან" და საზღვარგარეთ მისი ხშირი და ხანგრძლივი მივლინებები ამით იყო თუ არა განპირობებული, თანამდებობის პირების ქმედებათა კანონიერების შემსწავლელ, პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიას (თავმჯდომარე მიხეილ ოსაძე) დაევალა. გურამ შარაძე კი მხოლოდ იმ შემთხვევაში აპირებს თავისი საპარლამენტო მოღვაწეობის გაგრძელებას, თუ კომისია ზემოთ ნახსენებ ბრალეულობას არ დაადასტურებს.

საინტერესოა, რომ შარაძის მისამართით ანალოგიური ვარაუდი, ლევან რამიშვილზე ადრე, პარლამენტარმა კობა დავითაშვილმა გამოთქვა, მაგრამ მაშინ შარაძის მხრიდან რეაქცია ასეთი მძაფრი არ ყოფილა.

**"ეს ჩემს წისქვილზე ასხამს წყალს. გამოდის, რომ მაშინ კობამაც უნდა აგოს პასუხი,"** - ერთი გასროლით ორი მოწინააღმდეგის "ლიკვიდაცია" განუზრახავს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეებისა და საზღვარგარეთ არსებულ ეროვნულ ფასეულობათა დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეს, - **"როდესაც გაირკვევა, რომ მართალი ვარ, გიჟი უნდა ვიყო, პარლამენტში რომ არ დავბრუნდე,"** - აცხადებს შარაძე.

ამასთან, როგორც ირკვევა, დეპუტატის "გასროლა" "თვითმკვლელობით" სულაც არ დასრულებულა. საპროცედურო საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე როსტომ დოლიძე განმარტავს, რომ შარაძე პარლამენტის წევრად ითვლება მანამ, ვიდრე საკანონმდებლო ორგანო შესაბამის გადაწყვეტილებას არ მიიღებს და მის განცხადებას არ დააკმაყოფილებს. მანამდე ეს საკითხი თავად საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა უნდა შეისწავლოს და სათანადო დასკვნა გამოიტანოს. ყოველ შემთხვევაში, ფორმალურად, გურამ შარაძე კვლავ რჩება პარლამენტის წევრად.

მიუხედავად ამისა, მის მიერ გაკეთებულ განცხადებას პარლამენტში საკმაოდ დიდი რეზონანსი ჰქონდა. დეპუტატებმა არ დაიზარეს კოლეგისთვის მხარდაჭერის გამოხატვა და მისი გამხნევება.

**"პარლამენტში არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც გურამ შარაძის, როგორც დეპუტატის, აქტიურობის გარეშე ძნელად წარმომიდგენია,"** - აცხადებს პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი.

თავისი კოლეგების მსგავსად, ელენე თევდორაძეც უკმაყოფილოა იმით, რომ უდანაშაულობის პრეზუმპცია ქვეყანაში ხშირად ირღვევა და ადამიანებს დაუსაბუთებელ ბრალდებებს უყენებენ; თუმცა, იგი გურამ შარაძის მიერ არჩეული პროტესტის ფორმას მაინც იწუნებს. **"თუ პირდაპირ ეთერში კითხვის სახით დასმული ვარაუდი ბატონმა გურამმა შეურაცხყოფად მიიღო, მანდატის დატოვება მაინც არ არის ის გზა, რომლითაც ის საზოგადოებას თავის სიმართლეს დაუმტკიცებს. პირიქით, ეს უფრო ბადებს კითხვის ნიშნებს,"** - დასძენს თევდორაძე.

მისგან განსხვავებით, პარლამენტარ ნოდარ გრიგალაშვილს მიაჩნია, რომ, როდესაც ადამიანი შეურაცხყოფილია და საკუთარ ღირსებას იცავს, პროტესტის გამოხატვის ნებისმიერი საშუალება გამართლებულია.

**"წინათ ამის გამო დუელებიც კი იმართებოდა,"** - რაინდულ გზაზე აყენებს შარაძეს ფრაქცია "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის" წევრი და იზიარებს თევდორაძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მანდატის დატოვება, თავისთავად, არაფერს არკვევს. **"რადგან საკითხი ასე გახმაურდა, შესაძლოა, ეს შარაძისთვის უფრო წამგებიანიც კი აღმოჩნდეს. ტელეეთერში დაისვა მხოლოდ კითხვა, თუ როგორ ახერხებდა შარაძე საზღვარგარეთ ხშირად გასვლას და, აქედან გამომდინარე, გამოითქვა ეჭვი, ხომ არ თანამშრომლობდა იგი "კაგებესთან", მაგრამ ყოველივე ამას პირდაპირი ბრალდების ბეჭედი დასმული არ ჰქონია,"** - აცხადებს გრიგალაშვილი.

პარლამენტში გუშინ ატეხილი ხმაური, საეჭვოა, დიდხანს გაგრძელდეს. მიღებული არ არის ლუსტრაციის კანონი და, ამდენად, აგენტობის დადგენა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. საეჭვოა ისიც, რომ პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ საკითხს ნათელი მოჰფინოს. მით უმეტეს, პარლამენტი, ფაქტობრივად, უკვე არდადეგებზეა და შარაძის აგენტობის გარკვევა, მინიმუმ, შემოდგომამდე გადაიწევს. მანამდე კი მანდატჩაბარებულ დეპუტატს პარლამენტის კარს არავინ ჩაურაზავს - უნდა მას ეს, თუ არა, შარაძე, ჯერჯერობით, ისევ საკანონმდებლო კორპუსის სრულუფლებიან წევრად რჩება.

# პარლამენტმა მთავრობას ბრჭყალები დაანახა

პირველი გვერდიდან

"აღორძინება" კი უფრო შორსაც წავიდა - მისმა ლიდერმა ჯემალ გოგიტიძემ პარლამენტს წარუდგინა თავისი ფრაქციის მიერ მომზადებული პროექტი, რომელიც „აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის, სტრუქტურებისა და წესის შესახებ" კანონიდან რწმუნებულის ინსტიტუტის შესახებ მუხლის ამოღებას ითვალისწინებდა.

„აღორძინების" ინიციატივას, თავის მხრივ, მხარი დაუჭირეს ფრაქციებმა: „დემოკრატმა" და „მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის" და საკითხის კენჭისყრაზე დასმა კატეგორიულად მოითხოვეს.

მაგრამ პარლამენტმა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ამჯერადაც ვერ მოახერხა.

გუშინ აჟიტირებულ პარლამენტართათვის "ცივი წყლის" გადასხმა პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ იკისრა (რაც მთავრობამ და გუბერნატორებმა, ვფიქრობთ, უდაოდ უნდა დაუფასონ). სპიკერმა განაცხადა, რომ, აღნიშნული საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი სპონტანურად გადაწყვეტა არ შეიძლება.

შედეგად, გუშინდელ სხდომაზე ამ საკითხზე კენჭისყრა აღარ გამართულა. მისი განხილვა მომავალი საგანგებო სხდომისთვის გადაიდო.

ვერ გეტყვით, იყო თუ არა ეს ინიციატივა თავიდანვე გათვლილი მსგავს შედეგზე, მაგრამ, ფაქტია, რომ საკითხის გადადება, რეალურად, მის ჩასაგდებად გაწირვას ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, მთავრობას და გუბერნატორებს მიეცათ დრო, რათა შეთანხმებები და გარიგებები პარლამენტის ცალკეულ ძალებთან აწარმოონ და, გარკვეული დათმობების ხარჯზე, სასურველ შედეგს მიაღწიონ.

# ძველ საკრებულოს უფლებამოსილების ვადა აღარ გაუგრძელდება

თამარ მჭედლიშვილი

**პარლამენტი თვითმმართველობის შესახებ კანონში ცვლილებების პროექტს აღარ განიხილავს. შესაბამისად, დღის წესრიგიდან მოხსნილია თბილისის ძველი მოწვევის საკრებულოსთვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების საკითხიც. პარლამენტის გუშინდელი სხდომის დაწყების წინ, ამ იდეის ავტორმა, პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა ლა თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარემ ნუგზარ ნავაძემ, "24 საათს" განუცხადა, რომ პროექტმა აზრთა ძალიან დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია.**

სხვათა შორის, პარლამენტს ჯერ საბოლოოდ არ გადაუწყვეტია, როგორი რეაგირება მოახდინოს თბილისში შექმნილ სიტუაციაზე. თუმცა, თითქმის ყველა ფრაქციის წარმომადგენელს მიაჩნია, რომ კანონში ამ კონკრეტული ცვლილების შეტანით პარლამენტი უკვე პასუხისმგებლობას თავის თავზე აიღებს.

ფრაქცია "დემოკრატის" წევრის რომან კუსიანის აზრით (იგი რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტს საპარლამენტო თანამდებობების ხელახალ გადანაწილებამდე ხელმძღვანელობდა), **"პარლამენტმა უნდა მოითხოვოს შექმნილი ვითარების დაუყონებლივ გამოსწორება. ხოლო იმაზე, რაც მოხდა, პასუხისმგებლობა უნდა აიღონ საარჩევნო კომისიებმა და იმ პარტიებმა, რომლებმაც საუბნო საარჩევნო კომისიები დააკომპლექტეს. პარლმენტმა კანონში ცვლილებები არ უნდა შეიტანოს. ამ მხრივ, იგი სრულყოფილია. ძველ საკრებულოებს უფლებამოსილების ვადა 20 ივნისამდე ჰქონდა გაგრძელებული. ეს დრო საკმარისი უნდა ყოფილიყო არჩევნების შედეგების საბოლოო შეჯამებისა და ახალი საკრებულოს ასამოქმედებლად. თუმცა, სასამართლოსა და ხელისუფლების ჩარევის გამო, პროცესები შეჩერდა. ბიულეტენების გახსნა ხელს არ აძლევს იმ ოთხ პარტიასაც, რომელსაც კომისიებში თავმჯდომარეები ჰყავდათ. მათი ინტერესები ხელისუფლების ინტერესებს ემთხვევა. რაც შეეხება მერიას, ვანო ზოდელავა ნეიტრალიტეტს ინარჩუნებს. ერთი სიტყვით, ცვლილებების შეტანა კანონში ნიშნავს, რომ პარლამენტმა მთელ საქართველოში არჩევნების შედეგები გააბათილოს და ისევ ძველმა საკრებულოებმა იფუნქციონიროს."**

ფრაქცია "თანადგომის" წევრის გელა კვარაცხელია კი ამბობს, რომ **"სპეციალური გადაწყვეტილება და ცვლილებები კანონში მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიგვეღო, თუ შექმნილი ვითარება კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. რაც შეეხება იმის მცდელობას, რომ რამენაირად მოხერხდეს სამართალმემკვიდრეობის საკითხების დარეგულირება, ამას არასწორად ვაფასებ. ვფიქრობ, რომ ძალზე ცუდი პრაქტიკაა საკანონმდებლო აქტის მორგება კონკრეტულ ვითარებასა და სიტუაციაზე."**

კვლავ გაურკვეველია, როდის შეიმუშავებს ცენტრალური საარჩევნო კომისია ბიულეტენების გადათვლის წესს. სავარაუდოდ, მისი მიღება უკვე დღეს უნდა დასრულდეს, მაგრამ პროექტი კვლავაც არ არის მზად. ამ ფონზე სულ უფრო მძიმე ბრალდებები გაისმის ქალაქის მერის, ვანო ზოდელავას, მისამართით. მას რამდენიმე პარტია უკვე ამ პროცესებში ფარულ მონაწილედ ასახელებს.

გაზეთ "24 საათთან" საუბრისას თავად ქალაქის მერი ამბობს:

**"ასეთ განცხადებებზე კომენტარს არ ვაკეთებ. საკრებულო მერიას, პირიქით, უადვილებს საქმიანობას. ჩვენ პასუხისმგებლობას ვინაწილებთ. ეს ბრალდება აბსურდულია."**

## მიმდინარე წლის 29 ივნისს ქ. თბილისში გამართული საქართველოს მოსამართლეთა მესამე კონფერენციის მონაწილეთა მიერ მიღებული მიმართვა.

## საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიმართვა

მოსამართლეთა კონფერენცია, სასამართლო ხელისუფლების დისკრედიტაციის მორიგ მცდელობებთან დაკავშირებით, აცხადებს შემდეგს:

სასამართლო ხელისუფლება აღიარებს კანონის უზენაესობას და ხმამაღლა აცხადებს, რომ ყოველი გადაწყვეტილების (თუნდაც, არაპოპულარულის) გამოტანისას მოსამართლე არის და იქნება დამოუკიდებელი და შეუვალი. მისი აზრი არ შეიცვლება პოლიტიკური, სოციალური, მხარის ინტერესის, საზოგადოებრივი ზემოქმედების ან სხვაგვარი ურთიერთობის ზეგავლენის გამო, ანდა კრიტიკის შიშით. ყოველი მცდელობა მართლმსაჯულების ღირსების, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის ხელყოფისა წარუმატებელი იქნება. სასამართლო არ ჩაებმება იმ პოლიტიკურ დებატებსა და ბინძურ კამპანიაში, რაც შეურაცხყოფს მოსამართლის პრესტიჟსა და ავტორიტეტს. ყოველი მოსამართლე საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის დროს, როგორც კანონის, მოსამართლის ფიცისა და მოვალეობის ერთგული, არის და იქნება კანონისა და სასამართლის უზენაესობის გარანტი, რაც უდავოდ განამტკიცებს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, შეუვალობის, სამართლიანობის, სიწმინდისა და მიუკერძოებლობისადმი. მოსამართლეთა კონფერენცია მიმართავს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მოიპოვონ და გაავრცელონ ობიექტური ინფორმაცია მართლმსაჯულების განხორციელებისა და სასამართლოს საქმიანობის შესახებ. პატივისცემით მოეპყრონ სასამართლოს პრესტიჟს, ავტორიტეტს და ეთიკური ნორმების დაცვით გამოიტანონ საზოგადოების სამსჯავროზე კონკრეტულ სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული წინააღმდეგობრივი პოზიციები და შეხედულებანი.

### ბიზნესის ამბები

## მსოფლიო ავსტრალიურ ღვინოს ამჯობინებს

მსოფლიოში ავსტრალიურ ღვინოზე მოთხოვნა იზრდება. შარშან ამ ქვეყნიდან ღვინის ექსპორტი 24 პროცენტით გაიზარდა და სავაჭრო ბრუნვამ ორ მილიარდ ავსტრალიურ დოლარს (დაახლოებით 1,1 მილიარდი ამერიკული დოლარი) მიაღწია. ავსტრალიის საზღვრებს გარეთ მწვანე კონტინენტზე დამზადებული ღვინო 417 მილიონმა ადამიანმა დააჭაშნიკა. განსაკუთრებულ მოწონებას წითელი ღვინოები იმსახურებენ.

ჯერ კიდევ სამი წლის წინათ, ავსტრალიიდან ექსპოტრირებული ღვინის მოცულობა სამჯერ ნაკლები იყო. 20 წლის წინათ კი ქვეყანას ექსპორტზე მხოლოდ 13 მილიონი ავსტრალიური დოლარის ღირებულების ღვინო გაჰქონდა.

კიდევ ერთი დეტალი. ექსპორტის მატების ფონზე, ავსტრალიის ტერიტორიაზე ადგილობრივი ღვინოების გაყიდვა მცირდება.

დღეისათვის ავსტრალიას, საფრანგეთის, იტალიისა და ესპანეთის შემდეგ, მსოფლიოში ღვინის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის მეოთხე ადგილი უკავია.

## „გაზპრომი" ჩინეთში გაზსადენს აშენებს

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წამყვანმა სანავთობო კომპანიამ Petrochina-მ ხელი მოაწერა კონტრაქტს კონსორციუმთან, რომლის მთავარი მონაწილეა ინგლისურ-ჰოლანდიური ენერგეტიკული ჯგუფი Shell-ი. კონსორციუმის შექმნის მიზანი ტრანსჩინური გაზსადენის მშენებლობაა.

გაზსადენი ოთხი ათასი კილომეტრი იქნება და ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე პროვინციებს ქალაქ შანხაისთან დააკავშირებს. პროექტის ღირებულება 20 მილიარდი დოლარია.

გაზსადენის მშენებლობა 2004 წელს უნდა დასრულდეს. მასში ყოველწლიურად 12 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი გაივლის.

აღსანიშნავია, რომ Petrochina-ში წილი აქვს ბრიტანულ ენერგოგიგანტ BP-ს, რომელიც გაზსადენის პროექტის წილის 50 პროცენტის მფლობელია. სხვა წილები ასეა განაწილებული: Shell-ი – 15 პროცენტი, ExxonMobil-ი – 15 პროცენტი, ამდენივეს აკონტროლებს "გაზპრომი". პროექტის ხუთ პროცენტს უმსხვილესი ჩინური ნავთობკომპანია Sinopec-ი ფლობს.

## Vivendi Universal-ს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

ფრანგული მედიაგიგანტის Vivendi Universal-ის ხელმძღვანელი გახდა ფარმაცევტული კომპანია Aventis-ის ვიცე-პრეზიდენტი ჟან-რენე ფურტუ.

მან ამ პოსტზე შეცვალა ჟან-მარი მესიე, რომელმაც თანამდებობა კომპანიის დირექტორთა საბჭოს ცალკეულ წევრთა მოთხოვნის შედეგად დატოვა. ჟან-მარი მესიეს მმართველობის ბოლო პერიოდში კომპანიამ 14 მილიარდი დოლარის ზარალი განიცადა. Vivendi Universal-ის ახალი ხელმძღვანელი ცნობილია იმით, რომ 1990-იან წლებში წარმატებით გაახორციელა ფრანგული ქიმიური კომპანიის Rhone-Poulenc-ის რესტრუქტურიზაცია.

Vivendi Universal-ის მედია-იმპერიაში შედიან შემდეგი კომპანიები: Cegetel Telecom-ი, ინტერნეტ-პორტალი Vizzavi-ი, ტელეარხი Canal Plus-ი, Universal Music Group-ი, Universal Studios-ი და, ასევე, წყლით მომარაგების კომპანია.

## Volkswagen-ი უკრაინაში 200 მილიონ დოლარს აბანდებს

Volkswagen-ი უკრაინაში წარმოების გაზრდას აპირებს. ამჟამად ქალაქ უჟგოროდში აწყობენ Skoda Fabia-ს, ქალაქ ჩოპში კი – Octavia-ს. უკრაინაში ავტომობილების რეალიზაციისთვის ორი წლის განმავლობაში გათვალისწინებულია Skoda-ს 50 ავტოცენტრის გახსნა.

თუმცა, გერმანული ავტოგიგანტის გეგმები ამით არ ამოიწურება. "ენტევე.რუ"-ს ცნობით, Volkswagen-ი ამუშავებს ახალ ამბიციურ პროექტს, რომელიც უკრაინის ავტომრეწველობაში 200 მილიონი დოლარის ინვესტირებას ითვალისწინებს. ამ ფულით ჩოპში ახალი ქარხანა უნდა აშენდეს. ახალ საწარმოში 2002 წლის ბოლომდე დაიწყებენ Volkswagen-ის პოპულარული მოდელების გამოშვებას, რომლებიც უკრაინასა და დსთ-ს სხვა ქვეყნებში გაიყიდება.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 29 ივნისი – 5 ივლისის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6557 | 0.6402 | 0.0055 |
| US$ | 1.5252 | | 0.9764 | 0.0083 |
| €uro | 1.562 | 1.0241 | | 0.0085 |
| ¥en | 183.28 | 120.22 | 117.4 | |

### 2002 წლის 5 ივლისიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1494 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3559 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4685 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2000 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3665 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1831 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0698 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4513 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3783 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1091 ლარი |

სატელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი
ჯორჯიან რისარჩი
ჩვენი ტელეფონები: 25-35-48; (899) 51-19-94

# გაზის ტარიფში „საქგაზის" მოსკოვური ბინის ხარჯებიც შედის

კონტროლის პალატა სემეკისა და ყველა სხვა მარეგულირებელი კომისიის შემოწმების მოთხოვნით გამოდის

გვანცა კვინიკაძე

*ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიასა და კონტროლის პალატას შორის მტყუან-მართლის გარკვევის პროცესი გრძელდება. სემეკი უარყოფს კონტროლის პალატის ბრალდებებს, "საქგაზისთვის" დადგენილი ბუნებრივი აირის ტარიფში ამ ორგანიზაციის მოსკოვური ოფისის ღირებულების (400 ათასი ლარი) შეტანის შესახებ და აცხადებს, რომ მისი ქმედება ყოველთვის ტარიფის შემცირებისკენ იყო მიმართული. ამ აზრს კატეგორიულად უარყოფს კონტროლის პალატა, რომლის ხელმძღვანელებიც სიტყვის უკან წაღებას ნამდვილად არ აპირებენ.*

მართალია, გუშინ სემეკ-ში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ არ სურთ, ეს შეხვედრა კონფრონტაციის გაგრძელებად ჩაეთვალოთ, მაგრამ კონტროლის პალატასთან დაპირისპირების მომენტს თავი მაინც ვერ აარიდეს. სემეკის ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის, **გულიკო ბედოშვილის** განცხადებით, სემეკისთვის წაყენებული პრეტენზიები უსაფუძვლოა, რადგან 1999 წელს "საქგაზის" ტარიფში მოსკოვში შეძენილი ოფისის ღირებულება კი არა, მისი მომსახურების ხარჯები შევიდა, რამაც ერთი კუბური მეტრი გაზის ტარიფის 0.022 პროცენტი და, შესაბამისად, წლის განმავლობაში, დაახლოებით, 28 ათასი ლარი შეადგინა. სემეკის გათვლებით, "საქგაზის" ხარჯები გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ არა ეს სამოთახიანი ბინა, რომელსაც კომპანია მივლინებების დროს თავისი თანამშრომლების საცხოვრებლად იყენებდა. საერთოდაც, ბედოშვილის თქმით, საქართველოს კანონმდებლობა არ უკრძალავს კომპანიებს უცხო ქვეყნებში ოფისების შეძენას და ფლობას.

სემეკის ბუნებრივი აირის ტარიფის გაზრდაში დადანაშაულება ამ უწყების წარმომადგენლებს აბსურდულად მიაჩნიათ, რადგან, მათი განცხადებით, 1999 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ბუნებრივი აირი სემეკის რეგულირების სფეროში შევიდა, გაზზე ტარიფი პერმანენტულად კლებულობს. ბედოშვილის თქმით, ამას სემეკი, ძირითადად, სწორედ "საქგაზის" ხარჯების შემცირებით ახერხებს.

კონტროლის პალატის მესამე დეპარტამენტის ხელმძღვანელს, **კახა კოღუაშვილს** სემეკის მიერ მოყვანილი არგუმენტები არც თუ ისე დამაჯერებლად მიაჩნია. მისი განცხადებით, სემეკის თავმჯდომარემ პარლამენტის საკომიტეტო მოსმენაზე თავად აღიარა ის, რომ "საქგაზის" ტარიფში შევიდა მოსკოვის ოფისის ღირებულებაც და მისი შენახვის ხარჯებიც. გარდა ამისა, კოღუაშვილი დეზინფორმაციას უწოდებს სემეკის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ შსს-მ, უსაფუძვლობის გამო, შეწყვიტა სემეკთან დაკავშირებული საქმის ძიება. მესამე დეპარტამენტის ხელმძღვანელის განცხადებით, ძიება შეწყდა თეცისთვის ტარიფის შემცირების მომენტთან დაკავშირებით, ხოლო სხვა საკითხებს რაც შეეხება, "საქგაზის" ზოგიერთი ხელმძღვანელის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც კია აღძრული.

ამ ორ უწყებას შორის დაძაბულობის კლების პერსპექტივა ჯერჯერობით არ ჩანს. ახალი კანონი "დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" მაკონტროლებელ ორგანოებს (მათ შორის, კონტროლის პალატასაც) მათ შემოწმებას უკრძალავს. თუ მარეგულირებელი ორგანოს მიერ წარდგენილ ყოველწლიურ ანგარიშში ვინმეს რაიმე საეჭვოდ მოეჩვენება, სიტუაციის გარკვევა მხოლოდ სასამართლოში შეეძლება. ახალი კანონმდებლობით მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობის შემოწმების უფლება მხოლოდ პარლამენტის მიერ შერჩეულ საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიას ექნება. კონტროლის პალატას, რა თქმა უნდა, მოუწევს, ამ ახალ წესებს დაემორჩილოს, თუმცა, ძველი ურთიერთობების ბოლომდე გარკვევაზე უარის თქმას არ აპირებს.



*გულიკო ბედოშვილი და პაატა ვარდოსანიძე*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

# ფილარმონია, შესაძლოა, გაიყიდოს

დიდი საკონცერტო დარბაზისთვის კულტურისა და ქონების მართვის სამინისტროები ერთმანეთს ეცილებიან

სოფო კვინტრაძე

*რამდენიმე თვეა, რაც ფილარმონია კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში აღარ არის. შპს "ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი", რომელიც კერძო სამართლის იურიდიული პირია, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, დარგობრივი სამინისტროდან ქონების მართვის სამინისტროს მართვაში გადავიდა. ფილარმონიის ასპროცენტიანი წილი სახელმწიფოს ეკუთვნის. ქონების მართვის სამინისტროს დასკვნის მიხედვით, ფილარმონიამ 1999 და 2000 წლები ზარალით დაამთავრა. თუ გავითვალისწინებთ ქონების მართვის მინისტრის, სოლომონ პავლიაშვილის პოლიტიკას წამგებიანი ობიექტების მასიურ პრივატიზებასთან დაკავშირებით, შესაძლოა, ფილარმონია სამინისტროს საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაშიც მოხვდეს. თუმცა, მანამდე სამინისტრომ ფილარმონიის მენეჯმენტის საქმიანობა უნდა შეისწავლოს.*

**"სამინისტროში მუშაობს კომისია, რომელიც იკვლევს ზარალის მიზეზებს, რამდენად სწორად იყო დაგეგმილი მენეჯმენტის პოლიტიკა, იყო თუ არა ზარალის მიზეზები ობიექტური. საქართველოში, მოგეხსენებათ, შოუ-ბიზნესი დიდად არ არის განვითარებული. შესაბამისად, საკონცერტო დარბაზი ხშირად არ არის დატვირთული,"** - აცხადებს ქონების მართვის სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და მართვის დეპარტამენტის უფროსი პაატა ჭავჭანიძე.

ვიდრე ფილარმონიის პრივატიზების საკითხი გაირკვეოდეს, კულტურის სამინისტრო დიდი საკონცერტო დარბაზის დაბრუნებას ცდილობს. სამინისტროში მიიჩნევენ, რომ კულტურის ისეთი სტრატეგიული ობიექტი, როგორიც ფილარმონიაა, სახელმწიფოს დაქვემდებარებაში უნდა იყოს, რათა გარკვეული კულტურული პოლიტიკის გახორციელება მოხდეს.

**"ჩვენი დიდი სურვილია, რომ ფილარმონია ისევ კულტურის სამინისტროს მართვაში გადმოვიდეს, რადგანაც იგი, ფაქტობრივად, ერთადერთი დიდი საკონცერტო დარბაზია საქართველოში და სტრატეგიული მნიშვნელობა ეკისრება ქვეყნის კულტურული ცხოვრების განვითარებაში. ჩემთვის გაუგებარია პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყველაფერი კერძო უნდა გახდეს. თქვენ შეგიძლიათ ნახოთ სხვა დარბაზები, რომლებიც სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არიან და შეადაროთ მათი მდგომარეობა ფილარმონიის მდგომარეობას. მათ სახელმწიფო ეხმარება და ისინი გაცილებით უკეთეს პირობებში მუშაობენ. ფილარმონიის ხელმძღვანელობასაც სჭირდება სახელმწიფოს დახმარება, სხვანაირად ძალიან გაუჭირდებათ,"** - მიიჩნევს კულტურის სამინისტროს ხელოვნებისა და მუზეუმების დეპარტამენტის უფროსი ზურაბ ოიკაშვილი.

ქონების მართვის სამინისტროში კი აცხადებენ, რომ ფილარმონიის გადასვლა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ფილარმონია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გახდება. პაატა ჭავჭანიძის განცხადებით, ეს უკუპროცესი იქნება, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს პოლიტიკას ობიექტთა განსახელმწიფოებრიობის შესახებ.

# პრეზიდენტმა ბუშმა ამერიკული კანონები დაარღვია

თორნიკე შარაშენიძე
„ბი-ბი-სისა" და „ფაინენშელ თაიმსის" მასალების მიხედვით

როგორ შეიძლება კერძო კომპანიებსა და ორგანიზაციებს მოვთხოვოთ წესიერება, როცა თავად ქვეყნის პრეზიდენტი არღვევს კანონს. "ენრონის," "უორლდკომის," "ანდერსენისა" თუ "ჯენერალ ელექტრიკის" შემდეგ ხათაბალაში უმცროსი ჯორჯ ბუში გაეხვა. თეთრი სახლი მწუხარებით იუწყება და აღიარებს, რომ კომპანიის დირექტორის თანამდებობაზე ყოფნისას, ბუშმა კანონის დარღვევით გაყიდა მის ხელთ არსებული აქციები. მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფოს პირველი პირი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ქარტეხილი დაატეხა თავს თაღლით კომპანიებს და მათი თავკაცების ციხეებში ჩაყრა მოითხოვა, ახლა თავად აღმოჩნდა კანონდამრღვევისა და საციხოდ გამზადებული დამნაშავის როლში.

პრეზიდენტის გუნდი აცხადებს, რომ ქვეყნის ხელმძღვანელს თავად არაფერი დაუშავებია და ყველაფერი ჩინოვნიკებისა და კლერკების ბრალია, რომლებმაც არასწორად გააფორმეს დოკუმენტაცია და ახლა, მათ ნაცვლად, ჩირქი ქვეყნის პირველ პირს მოეცხო. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, დაახლოებით იგივე შეუძლიათ მოიმიზეზონ "ენრონისა" თუ "უორლდკომის" შეფებმა, რომელთა პასუხისმგებლობის საკითხსაც ბუში ასე კატეგორიულად აყენებდა.

საქმე ეხება ტეხასის სანავთობო კომპანია "ჰარქენ ენერჯის," რომლის დირექტორადაც ბუში 80-იანების ბოლოს მუშაობდა. 1990 წელს მომავალმა პრეზიდენტმა მოულოდნელად თავიდან მოიშორა თავისი აქციები, სულ მალე კი კომპანიამ მოსალოდნელი სერიოზული წაგებებისა და სხვა არასახარბიელო პროგნოზების შესახებ განაცხადა, რისი გამოისობითაც აქციების კურსი მკვეთრად დაეცა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბუში კომპანიის დირექტორი გახლდათ. გარდა ამისა, იგი "ჰარქენ ენერჯის" აუდიტორული კომიტეტის წევრიც იყო. ყოველივე აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ მომავალმა პრეზიდენტმა კარგად უწყოდა, რა მოგებებს ელოდა კომპანია და რა ბედი ეწეოდა მის აქციებს. კაცმა რომ თქვას, საკუთრივ, ცოდნა ცოდვა არაა და თუკი აქციებს კანონის დაცვით გაყიდი, შარს ვერავინ მოგდებს. მაგრამ ამ შემთხვევაში აქციების გაყიდვა ერთობ ნაჩქარევად და წესდების დარღვევით მოხდა.

ბუში აქამდე კატეგორიულად აცხადებდა, რომ მან ყველა საბუთი კანონის მოთხოვნის მიხედვით გააფორმა, მაგრამ თეთრი სახლი ახლა აღიარებს, რომ ერთ-ერთი საბუთი მაინც გვიან იქნა გაფორმებული. თუმცა, თეთრი სახლი იქვე დაჟინებით იმეორებს, რომ ეს საკანცელარიო შეცდომა იყო და პრეზიდენტი არაფერ შუაშია.

მაგრამ ამგვარი ახსნა-განმარტება ნამდვილად არ დააკმაყოფილებს რიგით ამერიკელ მოქალაქეს, რომლის ცნობიერებაშიც ბუშის მმართველობა უკვე ისედაც ასოცირდება კორპორაციულ გაკოტრებებსა და თაღლითობებთან. ამერიკულ საზოგადოებას უკვე აქვს იმის მწარე გამოცდილება, რომ პრეზიდენტი შეიძლება ცრუობდეს (გავიხსენოთ კლინტონისა და ლევინსკის სკანდალი) და რომ შემდგომი გამოძიება, როგორც წესი, უარეს და უარეს ცოდვებს ხდის ფარდას.

მონიკა ლევინსკისთან დაკავშირებულ სექს-სკანდალს კომპანიებთან და ეკონომიკასთან არაფერი ჰქონდა საერთო, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იმ ინციდენტმა საგრძნობლად დასცა დოუ ჯონსის და აშშ-ს სხვა წამყვანი ინდექსები. ეს არცაა გასაკვირი, თუკი გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე სამყაროში ყველაფერი ნდობასა სტაბილურობაზეა აგებული და როცა ქვეყნის პრეზიდენტი იტყუება, ნდობასა და სტაბილურობას გვარიანი ზიანი ადგება. რა მოხდება ახლა, თუკი გაირკვევა, რომ პრეზიდენტი ცრუობს არა ქალთან, არამედ ბიზნესთან დაკავშირებით?

## Microsoft-ი მსოფლიოს უდიდესი კომპანიაა

კომპანია Microsoft-ი 2002 წლის ივნისში მსოფლიოს უდიდესი კომპანია გახდა საბაზრო კაპიტალიზაციის კრიტერიუმით. ბილ გეიტსის კომპანიამ პირველობა General Electric-ს ჩამოართვა.

Bloomberg-ის რეიტინგის მიხედვით, მსოფლიოს უდიდესი კომპანიების ათეულში, დასახელებული ორი კორპორაციის გარდა, შევიდნენ ნავთობ-გაზმომპოვებელი კომპანიები Exxon Mobil-ი და BP-ი, საბანკო კორპორაცია Citigroup Inc-ი, სადაზღვევო კომპანია American International Group Inc-ი, ასევე ორი ფარმაცევტული გიგანტი Pfizer Inc.-ი და Johnson & Johnson-ი. მსოფლიოში უდიდესი სავაჭრო კომპანია Wal-Mart Stores-ი, Bloomberg-ის რეიტინგით, მეოთხე ადგილზე გავიდა.

ათი საუკეთესო კომპანიის ჯამური კაპიტალიზაცია 310 მილიარდ დოლარს შეადგენს. ამასთან, ისეთი კორპორაციები, როგორებიცაა: Exxon Mobil-ი, Microsoft-ი და General Electric-ი მსოფლიოს უდიდეს კომპანიათა სიას უკვე ხუთი წელია, არ ტოვებენ.

1999 წლის მიწურულს, მაღალი ტექნოლოგიების ბაზარზე პიკის დროს საუკეთესო ათეულის შვიდი კომპანია ტელეკომუნიკაციისა და მაღალი ტექნოლოგიების სფეროს მიეკუთვნებოდა. მათ შორის იყვნენ: Cisco Systems Inc.-ი, Nokia Oyj-ი, Lucent Technologies Inc.-ი, Intel-ი, Nippon Telegraph & Telephone Corp.-ი და Deutsche Telekom AG-ი. ამჟამად, საუკეთესო ათეული ყველა ამ კომპანიამ დატოვა.

# პალესტინური ინტრიგები არაფატის გამარჯვებით მთავრდება

გიორგი ხელაშვილი

*ჯორჯ ბუშის მიერ იასირ არაფატის გადაყენების მოთხოვნამ თავად არაფატის პოლიტიკურ გაძლიერებას შეუწყო ხელი. რეფორმების საბაბით, არაფატმა პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისაგან მთავრობის წმენდა დაიწყო.*

ახლო აღმოსავლეთის პრობლემა ამერიკის პრეზიდენტების მუდმივი თავის ტკივილია. ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარება ამერიკის ყოველი ახალი ადმინისტრაციის გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს და თითოეული პრეზიდენტიც დიპლომატიურ გამოცდილებას სწორედ ებრაელებთან და პალესტინელ არაბებთან პოლიტიკურ ჭიდილში იღებს.

ბუნებრივია, გამონაკლისი არც ჯორჯ ბუში აღმოჩნდა.

ზოგადად, ბუშის საგარეო პოლიტიკას ხშირად აკრიტიკებენ, მაგრამ ბუშის კრიტიკოსებს იშვიათად უვარდებათ ხელთ მისი საგარეო პოლიტიკური შეცდომების დამამტკიცებელი უეჭველი საბუთები. ბუშის ახალი საგარეო პოლიტიკა, 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, იმდენად გლობალური პრობლემატიკით გამოირჩევა, რომ მისი სისწორის შესაფასებლად რამდენიმე წლის გავლა მაინცაა საჭირო.

აი, ახლო აღმოსავლეთის პრობლემა კი უკვე იმდენად ძველი და "კარგად დაღეჭილია", რომ ამერიკის ადმინისტრაციის მიერ დაშვებული თითოეული საგარეო პოლიტიკური შეცდომა მაშინვე იჩენს თავს. ასეთი იყო წინა კვირას პრეზიდენტ ბუშის მიერ პალესტინელების საყურადღებოდ გაკეთებული განცხადება, რომ პალესტინური სახელმწიფოს შექმნა მხოლოდ იასირ არაფატის გადადგომის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი. ბუშის ჩანაფიქრით, ამ განცხადებას არაფატის პოზიციები უნდა შეესუსტებინა.

თეთრი სახლის ოფიციალური პირების ცნობით, პრეზიდენტ ბუშის განცხადება პალესტინელი ტერორისტების მიერ განხორციელებულ აფეთქებებზე დაუყოვნებელი რეაქცია იყო, რომელიც აშკარად მოუმზადებელი აღმოჩნდა.

ბუშის განცხადებამ არაფატს საშუალება მისცა, ამერიკის პრეზიდენტი დემოკრატიის შეზღუდვაში დაედანაშაულებინა. მართლაც, არაფატი ხომ დემოკრატიულად არჩეული ლიდერია, რომლის გადაყენებაც მხოლოდ იმ ხალხს შეუძლია, რომელმაც იგი აირჩია. მეტიც, ბუშის თავდასხმამ არაფატის მხარეს დააყენა არაბი და ევროპელი ლიდერები, რომ აღარაფერი ვთქვათ თავად პალესტინის მოსახლეობაზე. პალესტინელებმა ბუშის მიერ არაფატის კრიტიკა აღიქვეს, როგორც აშშ-ს მხრიდან ისრაელის მიმართ პირდაპირი მხარდაჭერა, იასირ არაფატი კი ლამის წამებულის შარავანდედით შემოსეს. ბუშის კრიტიკა იმდენად ასცდა მიზანს, რომ ისრაელის ე. წ. "მშვიდობიანმა პარტიამაც" კი კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა.

არაფატმა, რომელიც პოლიტიკური ინტრიგების დიდოსტატად ითვლება, კარგად გამოიყენა შექმნილი მდგომარეობა და პალესტინის მთავრობის წმენდას შეუდგა. იმის მომიზეზებით, რომ ამერიკელებიცა და ებრაელებიც, პირველ რიგში, პალესტინის უსაფრთხოების სტრუქტურების რეფორმას მოითხოვენ, არაფატმა ორი გავლენიანი გენერალი – პალესტინის პოლიციის უფროსი და ე. წ. წინასწარი მოქმედების უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გადააყენა. ორივე მათგანი ახალგაზრდაა და მჭიდროდაა დაკავშირებული შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან.

ერთი შეხედვით, არაფატმა პოლიტიკური რაუნდი მოიგო, მაგრამ ორი ახალგაზრდა სამხედრო მეთაურის გადაყენების ბრძანებას მოულოდნელი შედეგები მოჰყვა. როგორც პოლიციის უფროსმა, გენერალმა ღაზი ჯაბალმა, ასევე უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა ჯიბრაილ რაჯუბმა უარი განაცხადეს თავიანთი თანამდებობების დატოვებაზე - ოფიციალური საბუთის არარსებობის მოტივით.

მოგვიანებით ჯაბალმა განაცხადა, რომ მზად იყო გადამდგარიყო, მაგრამ მომავალ არჩევნებში არაფატს დაუპირისპირდებოდა. რაჯუბი კი ამგვარი განცხადების გაკეთებასაც არ ჩქარობს და მოვლენების განვითარებას ელოდება.

იმისთვის, რომ ბოლომდე გავერკვეთ ამ ინტრიგებში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ პალესტინის უსაფრთხოების სისტემა საკმაოდ დანაწევრებული და იერარქიას მოკლებულია. მაგალითად, ჯიბრაილ რაჯუბს ჰყავს ძალიან კარგად შეიარაღებული 4000 ათასი მებრძოლი, რომლებიც თავის დროზე ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დახმარებით გაიწვრთნენ. ისინი უარს ამბობენ, რაჯუბის გარდა, რომელიმე სხვა მეთაურს დაემორჩილონ.

პალესტინას სისხლის ღვრა ნამდვილად არ აკლია, მაგრამ თავად პალესტინელების მიერ ერთმანეთთან


*იასირ არაფატი* REUTERS

ფართომასშტაბიანი დაპირისპირება, ალბათ, საბოლოოდ დაასამარებს რეგიონში მშვიდობის დამყარების პერსპექტივებს.

იანვარში პალესტინის ადმინისტრაციის მეთაურის ახალი არჩევნები შედგება. იასირ არაფატმა უკვე განაცხადა, რომ ის ერთ-ერთი კანდიდატი იქნება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მას ამ არჩევნებში ალტერნატივა არ ეყოლება და იოლადაც გახდება პრეზიდენტი. ამრიგად, პრეზიდენტ ბუშის ჩანაფიქრი, რომ არაფატი ხელისუფლებიდან მოეშორებინა და მის მაგივრად უფრო ახალგაზრდა და დემოკრატიული ლიდერი მოეყვანა მთავრობაში, თითქმის უიმედო გამოდგა. არაფატი რომც დამარცხდეს, მას დემოკრატიული ლიდერი მაინც არ შეცვლის. მის ყველაზე რეალურ მეტოქეებად კი არაფატის პარტია "ფათჰის" ერთ-ერთი რეგიონული ხელმძღვანელი მარვან ბარღუთი (რომელიც ისრაელის ციხეში იხდის სასჯელს) და "ჰამასის" უსინათლო სულიერი ლიდერი აჰმედ იასინი მიიჩნევიან. ორივე მათგანი გაცილებით უფრო რადიკალურად ეწინააღმდეგება ამერიკასაც და ისრაელსაც, ვიდრე არაფატი.

არაფატის მიერ ორი ახალგაზრდა გენერლის მოშორების შემდეგ, ამერიკელების გავლენა პალესტინის შიდა პოლიტიკაზე კიდევ უფრო შემცირდება, ისრაელის მიერ პალესტინური ტერიტორიების ოკუპაცია კი, შეუძლებელია, უსასრულოდ გაგრძელდეს. პრეზიდენტ ბუშს კი კიდევ ბევრის სწავლა მოუწევს მანამ, სანამ ისეთ ფაქიზ პრობლემას, როგორიც პალესტინა-ისრაელის კონფლიქტია, სათანადოდ მოუვლის.

# რუსი პარლამენტარები ჩრდილოეთ კავკასიაში სიტუაციის გამწვავებაზეც მიანიშნებენ

პირველი გვერდიდან

დეპუტატმა სოხუმიდან მოსული წერილიც გვაჩვენა, რომელსაც ხელს თვითონ არძინბა აწერს და სადაც აფხაზი პარლამენტარები რუს კოლეგებს აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობას სთხოვენ. "ხანგრძლივი დროის მანძილზე საქართველო აფხაზეთის მიმართ ატარებს საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებული გენოციდის პოლიტიკას – ცდილობს რა აღადგინოს აფხაზეთში საკუთარი იურისდიქცია. ოფიციალური თბილისი აფხაზეთში ფართომასშტაბიან სამხედრო მოქმედებებს გეგმავს," – ნათქვამია ამ წერილში და სოხუმის რეჟიმი რუსეთის სახელმწიფო დუმას დახმარებას სთხოვს.

ამ ეტაპზე სათათბიროს დახმარება მხოლოდ სიტყვით შეუძლია, რადგანაც კრემლში უკვე ითქვა და პარლამენტარებიც შეეგუენ იმ აზრს, რომ, პუტინის სიტყვებით, გამორიცხული არ იქნება ერთობლივი ანტიტერორისტული ოპერაცია პანკისის ხეობაში. როგორც ჩანს, აფხაზებსა და რუსეთის პარლამენტში საკმაოდ წარმომადგენლობით აფხაზურ ლობის სერიოზული სიგნალი აქვთ აფხაზეთის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების განახლებაზე. რუსეთის გენერალიტეტს კი, მხოლოდ საკუთარი ჯარისკაცების ბედი არ აღელვებს: **"საკურორტო სეზონი ჩაშლილია, აფხაზეთის პანსიონატებში მეუღლეებსა და ბავშვებს ვეღარ ვგზავნით და ეს უკვე სერიოზული სიგნალია",** - განუცხადებია დახურულ შეხვედრაზე გენერალ ივაშოვს.

ჩვენი ინფორმაციით, უახლოეს მომავალში სოხუმი სერიოზულად დაიწყებს რუსეთის შემადგენლობაში ასოცირებულ წევრად მიღებაზე სახალხო რეფერენდუმისთვის მზადებას. როგორც ჩანს, პარლამენტში გამართული ბოლო შეხვედრაც ამ მიზანს ემსახურებოდა. რეფერენდუმის სამართლებრივი ბაზის მომზადებაში კი, როგორც ირკვევა, არძინბას რეჟიმს სათათბიროს ექსპერტებიც დაეხმარებიან. ამას რუსეთის მხარე საკუთარი სახელმწიფოს სამხრეთი საზღვრების საიმედოდ გამყარების სურვილით ხსნის. თუ ომი განახლდა, რუსეთი აფხაზეთში უკვე საკუთარ მოქალაქეებს დაიცავს, მათი რიცხვი კი დღითიდღე იზრდება.

დეპუტატი ალქსნისი ჩვენთან საუბარში ამტკიცებს,რომ **"აფხაზეთს იყენებენ -შევარდნაძეცა და პუტინიც შეთანხმებულად მოქმედებენ, ეს კი დიდი კავკასიური ომის დაწყების სერიოზული საფრთხეა. სხვათა შორის, ამაზე მიანიშნებდა იგორ გიორგაძეც თავის ინტერვიუში, მაგრამ, როგორც ჩანს, თბილისში პატრიოტობა სხვანაირად ესმით. არ მესმის, რატომ არ უწევენ ანგარიშს საქართველოს პოლიტიკური პარტიები კავკასიურ ომში ჩრდილოკავკასიური ხალხების მონაწილეობას. ეს ხომ ქრისტიანულ საქართველოს სერიოზული გართულებებით ემუქრება?"** - კითხულობს ალქსნისი და განაგრძობს:

**"ინფორმაცია იმაზე, რომ თბილისი სოხუმში შეჭრას აპირებს, ჩვენ დიდი ხანია გვაქვს. შევარდნაძემ თავისი დაქირავებულები პანკისიდან აფხაზეთში ჯერ კიდევ შარშან აგვისტოში გადაისროლა. ისინი რუსეთის დაზვერვამ აღმოაჩინა. უნდა ითქვას, რომ ამტკელის ტბასთან განვითარებულ მოვლენებს ღრმა ფესვები აქვს. აფხაზეთის შეიარაღებული ძალების მიერ მაშინ განადგურებული ბოევიკების რაზმი უზრუნველყოფდა იარაღისა და ნარკოტიკების ტრანზიტს სვანეთსა და პანკისში და ამზადებდა ტერორისტთა შეჭრას კოდორის ხეობასა და ყარაჩაი-ჩერქეზეთში. სექტემბერში რუსეთის პარლამენტი ამაზე აფრთხილებდა სოხუმს. მაშინ რომ აფხაზებს გაეროსა და ეუთოსათვის მიემართათ, ან - რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის, სისხლისღვრას თავიდან ავიცილებდით. ახლა, ერთი წლის მერეც, თბილისი, უკვე მოსკოვთან შეთანხმებით, მორიგ დესტაბილიზაციას გეგმავს"**

როგორც ირკვევა, რუს პარლამენტართა ერთმა ჯგუფმა უკვე წერილი გაუგზავნა პრეზიდენტსა და პრემიერს, სიტუაციაში გარკვევის მოთხოვნით. უფრო მეტიც, დეპუტატები საერთაშორისო საქმეთა კომიტეტიდან კატეგორიულად ითხოვენ საკუთარ სადეპუტატო მოთხოვნაზე სწრაფ რეაგირებას, რადგანაც, დიმიტრი როგოზინის თანაშემწის თქმით, **"ვითარება შეიძლება სამხრეთ ოსეთსა და აჭარაშიც აირიოს, და რადგანაც იქ რუსი სამხედროები იმყოფებიან, რომელთა მოღვაწეობის ათი წლისთავიც რამდენიმე დღის წინ მოსკოვში საზეიმოდ აღვნიშნეთ, არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთი იქ დამატებით კონტიგენტს შეიყვანს, საკუთარი მოქალაქეების დაცვის მიზნით."**

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრები ამ დღეებში სოხუმში აპირებენ გაფრენას, ადგილზე ვითარების შესასწავლად.

**"ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ დღეს რუსეთი, საკუთარი პრეზიდენტის წყალობით, შევარდნაძის სურვილების შემსრულებელია და ისე იქცევა, როგორც შევარდნაძემ ჩაიფიქრა,"**- აცხადებს ვიქტორ ალქსნისი.

# ევროპაში "ფრანკენშტეინის საკვები" შეიზღუდება

გიორგი ხელაშვილი

*ევროპის პარლამენტის გადაწყვეტილებით, გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვები პროდუქტები აუცილებლად სპეციალური იარლიყით მოინიშნება.*

ევროპასა და შეერთებულ შტატებს შორის ბოლო თვეებში მიმდინარე სავაჭრო ბატალიები, როგორც ჩანს, კიდევ უფრო გამწვავდება. ევროპის პარლამენტის გადაწყვეტილებით, მალე ყველა ის საკვები პროდუქტი, რომელიც გენეტიკურად მოდიფიცირებულია, სპეციალური იარლიყით მოინიშნება და ისე მიეწოდება მომხმარებელს. ეს, უპირველეს ყოვლისა, ამერიკიდან შემოტანილ სოფლის მეურნეობის პროდუქციას შეეხება.

ევროპელების მიერ გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქციის წინააღმდეგ დაწყებული კამპანია დაემთხვა "სავაჭრო ომს" შეერთებულ შტატებსა და ევროპას შორის, რომელიც მარტში ამერიკელების მიერ ფოლადის იმპორტზე ტარიფების გაზრდას უკავშირდება. ახალი "სავაჭრო ომის" მთავარი საკითხი ამერიკიდან ევროპაში შესული გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვები პროდუქტების შეზღუდვა იქნება. არ არის გამორიცხული, რომ ამის გამო ამერიკელებმა ევროკავშირს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში უჩივლონ.

კრიტიკოსები ამგვარ პროდუქტებს "ფრანკენშტეინის საკვებს" უწოდებენ, რადგან ისინი გენეტიკური ინჟინერიის მეშვეობითაა შექმნილი და, როგორც გარემოს დამცველები ამტკიცებენ, ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების მხრივ, საგრძნობლად განსხვავდება ნატურალური პროდუქტებისაგან. სამაგიეროდ, მისი მწარმოებელი დიდი საერთაშორისო (პირველ რიგში, ამერიკული) კომპანიები უდიდეს მოგებას ნახულობენ: გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვების შექმნა ხომ გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ბუნებრივი საკვების წარმოება.

1998 წლის შემდეგ ევროპის სახელმწიფოები თავს იკავებდნენ გენეტიკურად მოდიფიცირებულ საკვებზე იარლიყების დაკვრისაგან, რათა ამერიკელებთან ურთიერთობა არ გაემწვავებინათ. დღეს კი ევროპარლამენტი თამამად ალაპარაკდა ამ გადაწყვეტილების მიღებაზე.

წინასწარი კანონის მიხედვით, რომელიც ევროპარლამენტმა გუშინწინ მიიღო, იარლიყი დაეკვრება ყველანაირ საკვებ პროდუქტს, რომლის შემადგენლობაშიც გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქცია 0.5 პროცენტზე მეტია. თავიდან ფიქრობდნენ ეს მაჩვენებელი 1 პროცენტით განესაზღვრათ, მაგრამ უფრო მკაცრი გადაწყვეტილება მიიღეს. ექსპერტების შეფასებით, ევროპის ბაზარზე, დაახლოებით, 300 ათასი სახეობის საკვები პროდუქცია გენეტიკურად მოდიფიცირებული სიმინდის ან სოიოსაგან მიღებულ ორგანულ ელემენტებს შეიცავს.

ამ კატეგორიაში შედის როგორც ადამიანის საკვები პროდუქტები, ისე ცხოველების საკვებად განკუთვნილი პროდუქცია. თუ ევროპარლამენტი და ევროპული ქვეყნების მთავრობები გადაწყვეტილებას საბოლოოდ მიიღებენ, მაშინ ათობით ათასი სახეობის საკვები პროდუქტი – უალკოჰოლო სასმელი, პურეული და საკონდიტრო ნაწარმი – განსაკუთრებული იარლიყით მოინიშნება, რომელიც მიუთითებს, რომ ეს პროდუქტი გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვები მასალითაა შექმნილი.

მეორეს მხრივ, ევროპარლამენტმა ვერ მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ამგვარივე იარლიყი დაეკრათ იმ პროდუქციაზე, რომელიც გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტებით გამოზრდილი ცხოველური ნაწარმითაა დამზადებული. ამიტომ, ამ კატეგორიაში ვერ მოხვდება კვერცხი, რძე და ხორცი.

ამერიკის სოფლის მეურნეობაში გენეტიკური ინჟინერია მეტად გავრცელებულია. გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქციის წილი, შესაბამისად, მაღალია როგორც შიდა მოხმარებაში, ასევე ექსპორტშიც. სწორედ ამიტომაც, ამერიკის ფერმერთა გაერთიანებასთან დაკავშირებული პოლიტიკური ლობი ენერგიულად ამოქმედდა, რათა ევროპარლამენტის გადაწყვეტილება შეეჩერებინა, მაგრამ ამაოდ. ამერიკელი მწარმოებლები კარგად ხვდებიან, რომ თუ მათი გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვები პროდუქცია სპეციალური იარლიყებით მოინიშნა, მისი მოხმარება ევროპაში მკვეთრად შეიზღუდება, რაც ევროპასა და ამერიკას შორის ვაჭრობას ყოველწლიურად, დაახლოებით, 4 მილიარდი დოლარით შეამცირებს.

სწორედ ამან გაალიზიანა გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტების მწარმოებელი დიდი ამერიკული კომპანიები (როგორიცაა, მაგალითად, "მონსანტო"), რომლებიც ყველაფერს იღონებენ, რათა ხელი შეუშალონ ახალი ევროპული კანონმდებლობის ძალაში შესვლას.

თავის მხრივ, ევროპელი გარემოს დამცველები და "მწვანეები" გამარჯვებას ზეიმობენ. განსაკუთრებით გახარებულნი არიან ევროპარლამენტის წევრი "მწვანეები". ერთ-ერთმა მათგანმა, ჯილ ევანსმა, გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქციის მონიშვნის გადაწყვეტილება "მომხმარებელთა უდიდეს გამარჯვებად" შეაფასა.

ევროპარლამენტის პირველი მოსმენით მიღებული კანონი ახლა ევროპის 15 ქვეყნის მთავრობებმა უნდა განიხილონ და დაამტკიცონ. წლის ბოლომდე ევროპარლამენტი ამ გადაწყვეტილების საბოლოოდ მიღებას აპირებს. თუმცა, ჯერ არავინ იცის, თუ როგორ განვითარდება მოვლენები და ვინ მოიპოვებს გამარჯვებას – გარემოს დამცველები თუ სქელჯიბიანი მეწარმეები.

ერთი რამ აუცილებლად უნდა ითქვას: სამყაროს ყველაზე ცივილიზებულ ნაწილში – ევროპაშიც კი – ევროპარლამენტის პროგრესული გადაწყვეტილების მისაღებად ამერიკასთან "სავაჭრო ომი" გახდა საჭირო. თავისთავად ისმის რიტორიკული კითხვა – მოხდებოდა თუ არა "ფრანკენშტეინის საკვების" შეზღუდვა იმ შემთხვევაშიც, ეს რომ ამერიკელების საწინააღმდეგო სავაჭრო პოლიტიკის იარაღი არ გამხდარიყო?


REUTERS

## საერთაშორისო ამბები

### გაერო-ერაყის მოლაპარაკებები

ხუთშაბათს ვენაში ერაყსა და გაერო-ს შორის დაიწყო მოლაპარაკებები ერაყში გაერო-ს ინსპექტორების შეშვების საკითხზე. გაერო-ს წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ მოლაპარაკებების შედეგად გაერო-ს ინსპექტორების მოღვაწეობა კვლავ განახლდება. ერაყი ინსპექტორების ქვეყანაში შეშვების პირობად გაერო-ს სანქციების მოხსნასა და სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ აშშ-ს მუქარაზე რეაგირებას მოითხოვს. გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების თანახმად კი, სანქციების მოხსნა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაერო-ს ინსპექტორები წარმოადგენენ დასკვნას, რომ ერაყის ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი განადგურებულია, ისევე, როგორც შორი მანძილის რაკეტებიც. ინსპექტორების ერაყში დაბრუნება უშიშროების საბჭოს, განსაკუთრებით კი, მისი წევრის აშშ-ს, მთავარი მოთხოვნაა. ბუში ჰუსეინს დაემუქრა, რომ თუ იგი ინსპექტორებს არ შეუშვებს და მათ ნორმალურად მუშაობის საშუალებას არ მისცემს, დიდი პრობლემები შეექმნება.

მოლაპარაკებები ვენაში ორი დღე გაგრძელდება. მარტიდან ეს უკვე მესამე შეხვედრაა. მაისში გამართული შეხვედრის შემდეგ ანანმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებებში გარკვეული წინსვლა შეიმჩნევა და გამოთქვა იმედი, რომ შემდეგ შეხვედრაზე ერაყს "კარგი ახალი ამბები" ექნება. ერაყელთა დელეგაციას ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი ნაჯ საბრი ხელმძღვანელობს. რაც შეეხება გაერო-ს, მოლაპარაკებებში თვით გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი იღებს მონაწილეობას. საბრიმ ჯერ კიდევ პირველი შეხვედრის დროს წარუდგინა გაერო-ს წარმომადგენლებს 19-პუნქტიანი კითხვარი, რომელიც საკამათო საკითხებს ეხება. ანანმა ეს კითხვარი უშიშროების საბჭოს გაუგზავნა და მათზე კომენტარი მოთხოვა. კითხვარის სამხედრო ნაწილს გაერო-ს სამხედრო ექსპერტებმა გასცეს პასუხი, ხოლო პოლიტიკური ნაწილის კომენტირებაზე უშიშროების საბჭომ თავი შეიკავა. ამგვარად, კოფი ანანი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თვითონვე ცდილობს ამ კითხვებზე პასუხის გაცემას. ამიტომაც, მიმდინარე შეხვედრის ნაყოფიერებაში ბევრს ეჭვი ეპარება, რადგან კოფი ანანი ერთპიროვნულად ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას. (Associated Press)

### ავიაკატასტროფა ცენტრალურ აფრიკაში

ხუთშაბათს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქის, ბანგუის ერთ-ერთ უბანში ჩამოვარდა სუდანის ავიახაზების სატვირთო თვითმფრინავი. თვითმხილველების ინფორმაციით, დაახლოებით, 20 ადამიანი დაიღუპა. თვითმფრინავი ბანგუის მთავარი აეროპორტის მახლობლად, მჭიდროდ დასახლებულ უბანში ჩამოვარდა. რეგიონული საჰაერო სამსახურის, "ასეცნა"-ს ინფორმაციით, თვითმფრინავის დანიშნულების პუნქტი კონგოს რესპუბლიკის დედაქალაქი ბრაზავილი იყო, მაგრამ ტექნიკური პრობლემების გამო პილოტი თვითმფრინავის ბანგუის აეროპორტში დასმას შეეცადა. (Reuters)

### აშშ უკან იხევს

აშშ-მ განაცხადა, რომ 15 ივლისამდე არ გაახორციელებს თავის მუქარას ბოსნიაში გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციის შეწყვეტის თაობაზე. აშშ-მ გაერო-სგან ამერიკელი მშვიდობისმყოფელებისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსგან იმუნიტეტი მოითხოვა, რაზეც გაერო არ თანხმდება. ოთხშაბათს გაერო-ს უშიშროების საბჭოში კენჭი უყარეს ბოსნიაში გაერო-ს სამშვიდობო მისიისთვის მანდატის 15 ივლისამდე გაგრძელებას. მომავალი ორი კვირის განმავლობაში კი უშიშროების საბჭოს წევრებმა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ირგვლივ არსებული უთანხმოება უნდა მოაგვარონ. (Associated Press)

# გარანტირებული დეფიციტი

## ქართველ პენსიონერებს ფულს ყველაზე "მშიერ" თვეებში უგვიანებენ

მაკა ჭაიანი

საქართველოს ღარიბი მოსახლეობისთვის ზამთარი ყველაზე რთულად გადასატანი სეზონია. იანვარი და თებერვალი "მშიერი" თვეებია მათთვისაც კი, ვინც თავს უფლებას აძლევს, ახალ წელს "ღირსეულად" შეხვდეს. დანარჩენებს განსაკუთრებით უჭირთ. ზამთარში ფული საჭიროა ყველაფრისთვის: საკვებისთვის, რომლის ზაფხულში მოგროვება ვერ შეძლეს, საწვავისთვის - გაყინვას რომ გადაურჩნენ, შუქისთვის, ცივ და მოსაწყენ საღამოს სიბნელეში რომ არ ისხდნენ და ა.შ. მოკლედ, წელიწადის ამ დროს თითოეული თეთრი დასათვლელია, არადა, პენსიონერებს, რომელთა უმრავლესობას სხვა შემოსავალი არა აქვთ, პენსიას სწორედ ამ თვეებში უგვიანებენ - როგორც ირკვევა, დაფინანსების ლიმიტურობის წყალობით.

პენსიების დასარიგებლად საპენსიო ფონდს თვეში 18 მილიონი ლარი სჭირდება. საკუთარი შემოსავლებით ამდენის მოგროვებას ფონდი ვერ ახერხებს, ამიტომ ბიუჯეტი მას თვეში 4 მილიონ ლარს ტრანსფერის სახით აძლევს. იგივე ბიუჯეტი საგადასახადო სამსახურს საშუალებას აძლევს, იანვარში სოციალური გადასახადის ნაწილი - 12 მილიონი ლარი ამოიღოს, თებერვალში - 12,5 მილიონი ლარი, მარტში - 13 მილიონი და ასე შემდეგ. ვიდრე ეს ციფრი 14 მილიონს გაუტოლდება და გაუსწრებს (იმისთვის, რომ ჯამში გეგმა მოთხოვნას შეესაბამებოდეს), საპენსიო ფონდს 2-2,5-მილიონიანი დეფიციტი ექმნება. ეს მაშინ, როცა საგადასახადო გეგმას ასრულებს. წინააღმდეგ შემთხვევაში დეფიციტი დაგეგმილზე გაცილებით მეტია.

**"წლევანდელ საპენსიო დავალიანებაში გეგმურმა დეფიციტმაც შეიტანა წვლილი.** - ამბობს საპენსიო ფონდის თავმჯდომარე ირაკლი კოპლატაძე. - **გასული წლის ბოლოს გაჩენილ ვალს, რომელიც 12 მილიონ ლარს შეადგენდა, 2002 წლის პირველი კვარტლის ვალიც დაემატა. პრობლემას ქმნის ისიც, რომ წინა თვის ტრანსფერს მომავალი თვის პირველ დეკადაში ვიღებთ. წინა წლებისგან განსხვავებით, იგი 100 პროცენტით მოდის, მაგრამ ერთი თვე დაგვიანება აქაც იქმნება."** ეს იმას ნიშნავს, რომ ზამთრის თვეების პენსიების დარიგებას უფრო სერიოზული პრობლემა ექმნება, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. შემოსავლების წინასწარ დაგეგმილი დეფიციტი და დაფინანსების, ფაქტობრივად, თებერვალში დაწყება ამის ნათელი დასტურია.

ფინანსთა სამინისტროში, სადაც ბიუჯეტი იგეგმება და შემოსავლების კონტროლი ხორციელდება, ამას ასეთ ახსნას უძებნიან. ვასილ გიგოლაშვილი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე: **"საქმე ის არის, რომ შემოსავლების ამოღება გარკვეული სეზონურობით ხასიათდება. წლის დასაწყისზე ძალიან მძიმე თვეები მოდის. იანვარში არ არის აქტიური მუშაობა, თებერვალი მოკლე თვეა... ეს ორი თვე და, საერთოდ, პირველი კვარტალი, პრობლემურია. ამ დროს თანხების მობილიზება მცირე ოდენობით ხდება. ამიტომ წლის პირველ თვეებში ფონდისთვის მეტი ტრანსფერის გამოყოფა გვიხდება. მიუხედავად ამისა, პრობლემები მაინც იქმნება, რადგან შემოსავლების ის რაოდენობაც არ გროვდება, რაც წლის პირველ ნაწილშია დაგეგმილი."**

ფინანსთა მინისტრის მოადგილის ბოლო მტკიცებას საპენსიო ფონდში არ ეთანხმებიან. ფონდის თავმჯდომარის მოადგილე დავით გოდერძიშვილი აცხადებს, რომ ფინანსთა სამინისტროს მხოლოდ 2000 წლის ბიუჯეტით ევალებოდა, დეფიციტის წარმოქმნისას, საპენსიო ფონდისთვის დამატებითი თანხების გამოყოფა. 2001 წლისა და წლევანდელ ბიუჯეტებში მსგავსი მუხლი აღარ ჩაუწერიათ. ეტყობა, სახელმწიფომ საჭიროდ აღარ ჩათვალა, ტრანსფერი წლის დასაწყისში მაინც გაეზარდა და პენსიონერებისთვის ამოსუნთქვის საშუალება მიეცა. მეტიც, ამ ფონზე ბიუჯეტმა ფონდს საგადასახადო სამსახურების წყალობით წარმოქმნილი 12-მილიონიანი დავალიანების საკუთარი შემოსავლებით დაფარვა დაავალა. როგორ - არ დაუკონკრეტებია.



# პრიორიტეტულნი და იგნორირებულნი

## "ჩვენი რაიონი ორი პრეზიდენტის სამშობლოა - შევარდნაძის და ჟორჟენაძის. ორივე ლანჩხუთელი პედაგოგების გაზრდილია. სხვები აღარ გავზარდოთ?"

თამარ მაისურაძე

ქართველი პედაგოგები, ჩვენი პარლამენტის მერე, პირველები არიან, ვინც ფინანსთა ახალ მინისტრზე იერიში მიიტანეს. გუშინ ფინანსთა სამინისტროს წინ გამართულ აქციაზე პედაგოგები დავალიანებული ხელფასების სასწრაფოდ ანაზღაურებას ითხოვდნენ. აქციას, რომელიც განათლების მუშაკთა პროფკავშირების თაოსნობით გაიმართა, საქართველოს 40 რაიონიდან ჩამოსული მასწავლებლები ესწრებოდნენ. ზოგიერთი მათგანი 17 და 20 თვის დავალიანებულ ხელფასს ითხოვდა, ზოგიც - 2-3 თვისას. შეკრებილნი ფინანსთა მინისტრთან შეხვედრას კატეგორიულად ითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში პროტესტის უკიდურესი ზომებით იმუქრებოდნენ. პროფკავშირების თავმჯდომარის მანანა კობახიძის თქმით, მათ ერთი თვის წინათ იგივე მოთხოვნით ემოციური წერილით მიუმართავთ ფინანსთა ახალი მინისტრისთვის. **"ჩვენს წერილზე მინისტრის მხრიდან არავითარი რეაგირება არ ყოფილა. ჩვენს კანონში კი წერია, რომ გვაქვს საპროტესტო აქციების მოწყობის უფლება და ამ უფლებას გამოვიყენებთ,"** – გვითხრა მან და დაუმატა: **"იმ შემთხვევაში, თუ კვლავ იგნორირებულნი ვიქნებით, შეიკრიბება ჩვენი საბჭო, რომელიც გადაწყვეტს, თუ რა ფორმით გამოვხატავთ პროტესტს. ეს შეიძლება იყოს არშემდგარი 1 სექტემბერი, გაფიცვები და აქციები სექტემბერში, 4 ოქტომბერს მასწავლებლის დღეს მოეწყოს საპროტესტო აქცია. თუ საჭირო იქნება, უფრო რადიკალურ ზომებსაც მივიღებთ."**




*საპროტესტო აქციაზე* — მარიკა ამურველაშვილის ფოტო

სამინისტროდან ხმა გამოვიდა, ფინანსთა მინისტრი სახელმწიფო მინისტრთან ერთად გაზის საკითხის მოსაგვარებლად მოსკოვში გაფრენილა. მასწავლებლებთან შესახვედრად კი მისი მოადგილე ზურაბ სოსელია ემზადებაო. აქციის წევრებისგან სოსელიასთან შესახვედრად სასწრაფოდ შეირჩა 30 მასწავლებელი. როგორც ჩანს, სამინისტროს წარმომადგენლებისთვის შეხვედრაზე ჟურნალისტების დასწრება არასასურველი იყო. **"ჟურნალისტები თუ არ დაესწრებიან, მაშინ ჩვენც წავალთ",** – არ ცხრებოდნენ სამინისტროს შენობაში ძლივს შესული მასწავლებლები. საბოლოოდ მათმა "მუქარამ" გაჭრა და ჟურნალისტებს შეხვედრაზე დასწრების უფლება მოგვცეს. მრგვალ მაგიდასთან შეკრებილები მინისტრის მოადგილეს სათითაოდ უყვებოდნენ თავიანთ გაჭირვებაზე. სოსელიაც მოთმინებით იწერდა შენიშვნებს. **"დავალიანებული ხელფასების დაფარვა ივნისიდან უნდა დაწყებულიყო. გვიპასუხეთ, რაშია საქმე? რა ვქნათ, დავანებოთ მუშაობას თავი?"** – შეუტიეს მინისტრის მოადგილეს მასწავლებლებმა. **"უვიცი და უსწავლელი ხალხი უნდათ ჰყავდეთ, თავის ჭკუაზე რომ მართონ,"** –ცხარობდა ერთ-ერთი. თერჯოლის რაიონის ერთ-ერთი მასწავლებლის აზრით, ეს პროცესი ხელოვნურად არის შექმნილი, რათა მასწავლებლებს ხელფასის გაზრდაზე პრეტენზია აღარ გაუჩნდეთ. **"ჩვენი რაიონი ორი პრეზიდენტის სამშობლოა - შევარდნაძის და ჟორჟენაძის. ორივე ლანჩხუთელი პედაგოგების გაზრდილია. სხვები აღარ გავზარდოთ?"** – იკითხა ლანჩხუთის რაიონის პედაგოგმა. მასწავლებლების მუქარას მუქარა მოჰყვებოდა. ახმეტის რაიონიც გაყინულ ხელფასებს ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში სექტემბრიდან სწავლის დაწყებაზე უარს აცხადებს. ამასვე აპირებენ სხვა რაიონების მასწავლებლებიც.

პრეტენზიების მოსმენის შემდეგ პედაგოგის გრძნობამ თავად მინისტრის მოადგილეშიც გაიღვიძა. **"პედაგოგები ამ ქვეყანას, პირველ რიგში, ჰუმანიტარულ დახმარებას უწევთ. მე ვიცი, ეს რაც არის - 12 წლის განმავლობაში სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ვიყავი. ვიცი, რა ნერვების წყვეტის, დაძაბულობისა და ღამეების თენების ფასად გიჯდებათ მუშაობა,"** – განაცხადა მან.

ზურაბ სოსელიამ მასწავლებლები ვერაფრით დააიმედა, მხოლოდ ის უთხრა, **"სახელმწიფოსთვის კვლავ პრიორიტეტულები რჩებითო."** რაც შეეხება დავალიანებული ხელფასების გასტუმრებას (რაც 25 მილიონ ლარს შეადგენს), სოსელიას თქმით, ეს პროცესი დაიწყება, მაგრამ როდის, არავინ იცის.

**"სექტემბრამდე თუ არ დაიწყება ძველი ვალების გადახდა, ვნახოთ, როგორი 1 სექტემბერი იქნება სახელმწიფოში",** – გვითხრა შეხვედრის დასასრულს მანანა კობახიძემ.

# მთის და ზღვის საკურორტო საგზურები უფასოდ

ეთერ მამულაშვილი

სოციალურად დაუცველი და განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეებისთვის, წლეულს, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 1200-მდე უფასო საკურორტო საგზური გამოყო. აქედან 658 საგზური ზღვის და 439 მთის კურორტებზეა გათვლილი. აღსანიშნავია, რომ, გარდა დასვენებისა, საგზურები სამკურნალო რეაბილიტაციასაც მოიცავს. საკურორტო დასვენება-მკურნალობა 12 დღეს შეადგენს. ეს საგზურები მხოლოდ კანონით განსაზღვრული კონტინგენტისთვის არის გათვალისწინებული. ესენი არიან: მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები, შეიარაღებული ძალების ვეტერანები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები, ჩერნობილში დაინვალიდებულები, 9 აპრილს დაღუპულთა ოჯახის წევრები, ინვალიდი ბავშვები, 9 აპრილს დაინვალიდებულები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახის წევრები, მრავალშვილიანი ოჯახის ბავშვები და სოციალურად დაუცველი ფენები სამედიცინო ჩვენების მიხედვით.

**"იმის გამო, რომ დასვენების მსურველი ბევრია, საგზურები კი ცოტა, გადავწყვიტეთ მკაცრად განგვესაზღვრა საგზურის მიმღებთა კონტინგენტი. საგზურებს მხოლოდ იმათზე გავანაწილებთ, ვისაც ექიმის დანიშნულებით და შესაბამისი მომართვით, ზღვის ან მთის კურორტზე მკურნალობა ესაჭიროება",** - განუცხადა "24 საათს" შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ვასილ ჭეიშვილმა. მსგავს მომართვას, საჭიროების შემთხვევაში, კურორტოლოგიის ინსტიტუტი გასცემს. აქ მისულ პაციენტებს ექიმები უტარებენ სპეციალურ გასინჯვა-გამოკვლევას, რომელიც მოქალაქეებისთვის უფასოა. თუკი ავადმყოფის მდგომარეობა საკურორტო მკურნალობას ექვემდებარება, გამოკვლევის შემდეგ, ექიმები სათანადო ცნობას გასცემენ.

პაციენტებს, რომელთაც აღენიშნებათ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ცერებრალური პათოლოგიები, ნერვული სისტემის მოშლა და რაქიტის თანდაყოლილი ნიშნები, ექიმების რეკომენდაციით, ზღვის კურორტის საგზურს მისცემენ. ბრონქიალური ასთმის, ბრონქიტების, კუჭ-ნაწლავისა და კენჭოვანი დაავადებების შემთხვევაში კი, ავადმყოფები მიიღებენ მთის კურორტის საგზურებს.

საკურორტო საგზურების მსურველებმა, ექიმის ცნობასთან ერთად, განცხადებით უნდა მიმართონ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. განცხადებების მიღების ბოლო ვადა 15 ივლისია. დამსვენებელთა პირველი ნაკადის გაგზავნა 20 ივლისიდან დაიწყება.

# პატარა მათხოვრებმა და ქურდებმა ზღვის ნაპირისკენ გადაინაცვლეს

ქეთი ქადაგიშვილი

უზედამხედველო ბავშვთა პროფილაქტიკისა და ორიენტაციის ცენტრში (ყოფილი არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებელი) უპატრონო ბავშვთა ყველაზე მძიმე კატეგორია ხვდება. ყველა მათგანი ტოქსიკომანია. პატარების ჯანმრთელობას ამ სენის კვალი ჯერ არ ემჩნევა, მაგრამ, როგორც ექიმები ვარაუდობენ, მათი უმრავლესობა ციროზისთვის არის განწირული. ამასთან, სიცივე და უკუდურესი გაჭირვება მათ ფიზიკურ მდგომარეობას სერიოზულ დაღს ასვამს. ცენტრში მყოფ ერთ არასრულწლოვანს ბავშვთა მეორე რესპუბლიკურ საავადმყოფოში ახლახან თირკმლის ოპერაცია გაუკეთეს და ერთს კიდევ უკეთებენ. ცხოვრების პირობები და ტოქსიკომანია მათ გონებრივ განვითარებაზეც არანაკლებ მოქმედებს - ანბანის შესასწავლად მთელი წელიწადი სჭირდებათ.

ეს ყველაფერი ჩვენმა ხელისუფლებამ, კარგა ხანია, იცის. ბოლო დროს ამ ბავშვების დასახმარებლად ცოტა რამ გაკეთდა კიდეც. ახლა ცენტრში ბავშვებს უფრო დიდი ხნით ტოვებენ, დღეში ექვსჯერ აჭმევენ და საგარეო ტანისამოსსაც აძლევენ, მაგრამ ამ ბავშვებს რომ გამოელაპარაკებით, ვერ იგრძნობთ, რომ მათზე ვინმე ზრუნავს. თითქმის ყველა მათგანი ქუჩაში სამათხოვროდ პირველად მშობელმა გამოიყვანა. მშობლები მათ ხშირად ბავშვთა სახლშიც აკითხავენ და ქუჩაში ფულის საშოვნელად მიჰყავთ. "ძეგვის ბავშვთა სახლიდან დედას ძალით მივყავდი და ქუჩაში მამათხოვრებდა. ბავშვთა სახლის მომვლელებს ჩემი დაცვა არც უცდიათ," – ეს გოგონა ცენტრში ერთი წლის წინათ მიიყვანეს და ბავშვთა სახლში დაბრუნებაზე ფიქრიც აღარ უნდა. ბავშვთა სახლებს ეს პატარები ისევ ცენტრში ყოფნას არჩევენ, რადგან აქ მათ არავინ აკავებს. ცენტრში მყოფი ბავშვებიდან ორს კოჯრის ბავშვთა სახლში უპირებენ გაგზავნას, მაგრამ პატარები იმუქრებიან, თუ იქ გაგვიშვებთ, გავიპარებით და აღარც აქ დავბრუნდებითო. ცენტრიდან, ძირითადად, მეძავი არასრულწლოვანები გარბიან. "მათი დაკავება შეუძლებელია. არადა, უმეტესობას ვენერიული დაავადება სჭირს. ახლახან ქალაქის მეორე ვენდისპანსერში ათაშანგით დაავადებულ 10 გოგონას ვუმკურნალეთ. თითოეულის მკურნალობაზე 450 ლარი დაიხარჯა, მაგრამ რა გამოვიდა, ეს ბავშვები დღეს ისევ ცირკთან დგანან", - ამბობს ცენტრის ხელმძღვანელი ციცო კიკალიშვილი.

ბავშვთა პროფილაქტიკისა და ორიენტაციის ცენტრში ამჟამად 15 ბავშვი ჰყავთ. საერთოდ, უფრო მეტია ხოლმე, მაგრამ ზაფხულობით უზედამხედველო არასრულწლოვანები თბილისიდან აჭარაში მიდიან, ამ დროს მათხოვრობა და ქურდობა ზღვის პირას უფრო სარფიანია. ასე რომ, პროფილაქტიკისა და ორიენტაციის ცენტრის კონტინგენტი ბათუმის მიმღებ-გამანაწილებელში გადაინაცვლებს.



*ზღვაზე გამგზავრებამდე...* — მარიკა ამურველაშვილის ფოტო

# ნადირობა ნარკომან პოლიციელებზე

სოფიკო ჩხაიძე

**ორი დღის წინ ფონიჭალასთან ნარკომანებითა და ნარკოტიკებით სავსე მანქანაში პოლიციელის, თანაც საკმაოდ მაღალჩინოსნის, აღმოჩენა საზოგადოებაში ფართოდ გახმაურდა. მარნეულის ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან მებრძოლი ქვეგანყოფილების უფროსის მურთაზ შეროზიას დაპატიმრება, თბილისში ცნობილ ნარკომანებთან და კანონიერ ქურდთან ერთად, გარკვეულწილად, იმის მაჩვენებლად შეიძლება აღვიქვათ, რომ შს ორგანოების ხელმძღვანელობა თავის რიგებში დანაშაულის აღმოფხვრას ცდილობს. მაგრამ არის კიდევ ერთი მომენტი: პოლიციელის ფორმით შენიღბულ დამნაშავეებსა თუ დანაშაულის ხელშემწყობებს თითო-ოროლა კაცის დაპატიმრებით ვერ შეებრძოლები. არადა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ნარკომანის და ნარკოტიკების გამსაღებლებთან ალიანსში მყოფი პოლიციელების გამოაშკარავება არც ისე ხშირად ხდება. რაც შეეხება უშუალოდ ფონიჭალასთან დაკავებულებს, პოლიციას წინასწარ სცოდნია, რომ ხელში კოლეგა ჩაუვარდებოდა.**

"ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გარკვეულ პირებს მოჰქონდათ ნარკოტიკები და მათთან ერთად იყო პოლიციელიც, გვქონდა. არ დავაზუსტებ, ნამდვილად ვიცოდით თუ არა, პოლიციელთაგან კონკრეტულად ვინ იჯდა მანქანაში. დაკავება ჩვეულებრივი ოპერატიული ღონისძიების სახით ჩატარდა. საგზაო პოლიციამ გააჩერა მანქანა და შემდეგ ჩაერივნენ საქმეში ოპერატიული მუშაკები. წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ამის არც დრო ჰქონდათ და არც საშუალება. ვიცოდით, რომ პოლიციელის დაკავება მოგვიწევდა, ამიტომ ოპერაციას ესწრებოდნენ პირადი შემადგენლობის ინსპექციის თანამშრომლებიც,"— **გვითხრა შს სამინისტროს ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის ბიუროს ხელმძღვანელმა ალეკო ტაბატაძემ.**

— **ბატონო ალეკო, ის, რომ პოლიციელის დაკავება ნარკომანიის ფაქტზე მხოლოდ ერთეული ფაქტია და ასეთი რამ ხშირად არ ხდება, აჩენს ეჭვის, რომ ეს ღონისძიება საჩვენებელ ხასიათს ატარებდა და შეროზია პოლიციის ახალი იმიჯის შექმნას შეეწირა.**

— ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი მსჯელობისგან. უბრალოდ, ჩვენთვის თუ გახდება ცნობილი, რომ პოლიციის რომელიმე თანამდებობის პირი ალიანსშია ნარკოტიკების გამსაღებელთან, ვერავინ გაბედავს მისთვის ხელის დაფარებას.

— **ხშირ შემთხვევაში ხომ ხდება, რომ პოლიციის ინფორმატორი სწორედ ნარკოტიკების გამსაღებელია, არადა სწორედ ნარკობარიგის სახლიდან გამომავალ კლიენტებს უსაფრდებიან პოლიციელები, თვით ნარკოტიკების გამსაღებელი კი მათი მფარველობით სარგებლობს?**

— ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. პოლიციელი, რომელიც ამას აკეთებს, თავად არის პასუხისგებაში მისაცემი.

— **რა თქმა უნდა, მაგრამ საქმე სწორედ ის გახლავთ, რომ ასეთი რამ ხშირად ხდება.**

— შეიძლება ხდება, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ რეაგირება ამას მაშინვე მოჰყვება. და თუ არ იქნება მხილებული დანაშაული, დანაშაულში შემჩნეული პოლიციელი სამსახურს მაინც დატოვებს.

— **ამ ექვსი თვის, თუნდაც 2001 წლის მანძილზე რამდენი პოლიციელია მხილებული მსგავს დანაშაულში?**

— ახლა ზუსტი მონაცემები ხელთ არ მაქვს, მაგრამ 5-6 რომ იყოს, განა ცოტაა?

— **ძალიან ცოტაა, თუ კონკრეტული შემთხვევების გარდა გავითვალისწინებთ იმას, რასაც ხშირად იმეორებენ პოლიციის მაღალჩინოსნები — რომ პოლიცია საზოგადოების შემადგენელი ნაწილია და, შესაბამისად, იმავე მანკიერებებს ატარებს, რასაც საზოგადოება. აქედან გამომდინარე, რამდენად სარწმუნოა, რომ პოლიციის 30 ათასიან შემადგენლობაში მხოლოდ ხუთი ნარკომანი აღმოჩნდა.**

— გეთანხმებით და ახლა არა მარტო ჩვენი ბიურო, არამედ სპეციალური სამსახურები მუშაობენ პოლიციელთა შორის ნარკომანიის და ნარკობიზნესის მხარდაჭერის ფაქტების გამოვლენაზე. მაქსიმალურად იქნებიან მხილებულნი ნარკოტიკების მომხმარებლები და ამის შესახებ საქმის კურსში ჩავაყენებთ საზოგადოებას. აქ დასამალი არაფერია და მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ძალზე გააქტიურდება ბრძოლა ასეთი პოლიციელების წინააღმდეგ. მეტიც, ჩვენ კონკრეტული ღონისძიებები გვაქვს დაგეგმილი. რა და როგორი ფორმით, ამას გადავწყვეტთ. ვფიქრობ, რომ ნარკომანი თანამშრომლების გაძევება პოლიციიდან ჩვენს ინტერესებში შედის. ნარკოტიკების მომხმარებელი და დანაშაულის სამყაროსთან ალიანსში მყოფი პოლიციელი ისევ და ისევ პოლიციის იმიჯს ვნებს.



ალეკო ტაბატაძე

იური ლობოდინის ფოტო

— **თქვენთვის თუ არის ცნობილი ის ფაქტი, რომ სოსო ალავიძის დროს ქალაქის პოლიციის სამმართველოში ჩატარებულმა შემოწმებამ ძალიან ცუდი შედეგები აჩვენა?**

— მე მაშინ ამ სამსახურში არ ვმუშაობდი, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ვის შესახებაც არსებობდა ნარკოლოგიურის დასკვნა, ყველა გათავისუფლებულია სამსახურიდან.

სხვათა შორის, მაშინ ბევრმა გაიმართლა თავი იმით, რომ ძლიერ ტკივილგამაყუჩებელ საშუალებებს იღებდა და ამიტომ მისცა შემოწმებამ ნარკოტიკზე დადებითი რეაქცია. ბევრმა ამით მართლაც მოახერხა თავის გამართლება, ზოგიერთი, ვისზეც უტყუარი ინფორმაცია არსებობდა, გავათავისუფლეთ. შემდგომში მსგავსი თავისმართლებების ასაცილებლად მთელი შემადგენლობისთვის მიცემულია მითითება, რომ აღირიცხოს ყველა ის პოლიციელი, ვისაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ძლიერმოქმედი ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების გამოყენება უხდება. ცხადია, ამას უნდა ახლდეს შესაბამისი სამედიცინო ცნობა. მორიგი შემოწმების შემთხვევაში ეს იქნება გათვალისწინებული. შემოწმება კი ჩატარდება. რა თქმა უნდა, არ ვიტყვი, როდის. ეს მოულოდნელად მოხდება და იქნება მაქსიმალურად გამჭვირვალე.

**ალეკო ტაბატაძის თქმით, უახლოეს მომავალში კიდევ უნდა ველოდოთ დამნაშავე პოლიციელთა გამოვლენას, მანამდე კი მურთაზ შეროზიას ბრალი უკვე წაუყენეს. მას ბრალად ედება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3ა პუნქტით გათვალისწინებული დანაშაული — დიდი ოდენობით ნარკოტიკის შენახვა, გადაზიდვა და მოხმარება.**

# გაქრა კიდევ ერთი უცხოელი

სოფიკო ჩხაიძე

გატაცებული პიტერ შოუს ძებნაში გართულ სამართალდამცველებს კიდევ ერთი უცხოელი, ამჯერად გერმანიის მოქალაქე დაეკარგათ. ბერლინელი კლაუს დროეგე საქართველოში უკვე 5 წელია მოღვაწეობს. 1995 წელს მან თანამემამულესთან და ქართველ პარტნიორთან ერთად დააფუძნა საერთაშორისო გადაზიდვების ფირმა LTT.

ორშაბათის შემდეგ კი კლაუს დროეგე აღარავის უნახავს.

მისი მეგობრების თქმით, მათ ნასვამი გერმანელი ბარნოვის ქუჩაზე მდებარე ოფისამდე ღამის 12-ის ნახევარზე მიაცილეს. ოფისის ორ ოთახში დროეგე ცხოვრობდა. დილით იგი ოფისში აღარ გამოსულა. მთელი დღის გაუჩინარების შემდეგ, თანამშრომლებმა საქმის კურსში ჩააყენეს სამართალდამცველები. მთაწმინდა-კრწანისის პროკურორმა თენგიზ მარჯანიშვილმა უცხოელის გაქრობის შესახებ 2 ივლისს შეიტყო. ჩატარდა დროეგეს საცხოვრებელი ბინის დათვალიერება. დროეგეს დაკარგვის შესახებ აცნობეს საქართველოში გერმანიის ელჩსაც.

როგორც თენგიზ მარჯანიშვილმა გვითხრა: **"მეზობლებს საეჭვო ხმაური არ გაუგონიათ. სააბაზანოში შეინიშნება წითელი ფერის შხეფები; აგრეთვე, პირსაბანზეც ხელის წითელი კვალია დარჩენილი. ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ სააბაზანოს იატაკი მორეცხილი იყო. სინჯები ექსპერტიზისთვის აღებულია. მალე შევიტყობთ, რა არის ეს წითელი ლაქები. ამჟამად გამოძიება 18-მდე ვერსიას განიხილავს. მათ შორისაა სხვადასხვა მოტივით მკვლელობა, ან გატაცება. არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ დროეგე რამდენიმე დღეში გამოჩნდეს. თუმცა, თუ ეს არ მოხდა, შეშფოთების საფუძველი ნამდვილად გვექნება. ზედიზედ ორი უცხოელის დაკარგვას, შეიძლება, საერთო მიზეზი ჰქონდეს."**

მთაწმინდა-კრწანისის პროკურატურას საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აქვს აღძრული. მარჯანიშვილის განმარტებით, მკვლელობაში ჯერ დარწმუნებულნი არ არიან, მაგრამ ასე ამჯობინეს საგამოძიებო მოქმედებების სრულად ჩატარების უზრუნველსაყოფად.

უცხოელის დაკარგვის განზრახ მკვლელობად შეფასება სასაცილოდ არ ჰყოფნით პოლიციაში. მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის სამმართველოს უფროსს, პაატა ჟღენტს, ერთი წუთითაც არ ეპარება ეჭვი, რომ სულ მალე კლაუს დროეგე ცოცხალი და საღსალამათი გამოჩნდება.

**"LTT-ს ფილიალები ჰქონდა ბაქოში, ერევანში, თუ არ ვცდები, თურქეთშიც. დროეგეს აქეთ-იქით სიარული ხშირად უწევდა. დარწმუნებული ვარ, ახლაც საქმეზეა წასული და რამდენიმე დღეში გამოჩნდება,"**— გვითხრა პაატა ჟღენტმა.

პოლიციის ამგვარი რეაქცია გასაკვირი სულაც არ არის. მით უფრო, რომ კიდევ ერთი უცხოელის გატაცება ან მკვლელობა ცუდად აისახება შს ორგანოების ხელმძღვანელობის მომავალზე.

სხვათა შორის, პროკურატურისა და პოლიციის მოსაზრებები არც კლაუს დროეგეს ვინაობის თაობაზე ემთხვევა ერთმანეთს. თუ პოლიციას მისი ბიზნესი სუფთად და მოწესრიგებულად ეჩვენება, პროკურატურას სხვა მონაცემები გააჩნია. კერძოდ, კლაუს დროეგე მუდმივად სასამართლო დავებში იყო ჩართული და მომჩივანიც ყოველთვის ბევრი ჰყავდა. გარდა ამისა, ყოფილა ასეთი შემთხვევაც: სეიფიდან, რომლის გასაღებიც მხოლოდ მას ჰქონდა და ერთ მშვენიერ დღეს მისი დაკარგვის შესახებ განაცხადა, საკმაოდ დიდი ოდენობით ფული — 2720 დოლარი და 1200 ლარი დაკარგულა.

# სიდედრის მკვლელს ეძებენ

ხათუნა ჯანგირაშვილი

*გუშინ, გამთენიისას, დავით გერგედავას ოჯახში შესულ მეზობლებსა და პოლიციელებს საშინელი სურათი დახვდათ.*

შუაღამისას გერგედავების ოჯახში საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ოჯახში ცეცხლსასროლი იარაღით მისულმა, ყაჩაღობისთვის ძებნილმა სიძემ, მისმა ძმამ და მათმა მეგობარმა ცოლ-ქმარი წამებით სიკვდილის პირას მიიყვანეს. დავით გერგედავას ქალიშვილის მეუღლემ, გიორგი კალანდაძემ, სიდედრ-სიმამრს საზღვარგარეთ გასამგზავრებელი ფული მოსთხოვა. უარის მიღების გამო, "სტუმრებმა" ჯერ იარაღის მუქარით სცადეს მოთხოვნილი თანხის ხელში ჩაგდება, შემდეგ კი დაუნდობლად და გამეტებით სცემეს ცოლ-ქმარი.

გიორგი კალანდაძემ, ძმასთან ერთად, სიდედრი სამზარეულოში გაიყვანა, სასტიკად აწამა, ბოლოს კი ტაბურეტი ჩაარტყა თავში; რის შედეგადაც დავით გერგედავას მეუღლე ადგილზევე გარდაიცვალა.

თავდამსხმელებს დავით გერგედავაც უკვე გარდაცვლილი ეგონათ. თუმცა, თავის დაზღვევის მიზნით, იგი გაკოჭეს, პირზე სკოჩი ააფარეს და იატაკზე დაგდებული დატოვეს. თავდამსხმელებმა ოჯახიდან 49 500 დოლარი, ვიდეოკამერა გაიტაცეს და მიიმალნენ.

მოგვიანებით, გაკოჭილი, ნაცემნაწამები დავით გერგედავა გონს მოვიდა, აივანთან როგორღაც მიბობღდა და ღმუილი დაიწყო. იგი ამჟამად რესპუბლიკურ საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში იმყოფება.

როგორც გაირკვა, გერგედავებს ქალიშვილის მეუღლესთან წარსულში არანაირი კონფლიქტი არ ჰქონიათ. ბინა, რომელშიც დამყაჩაღებელი სიძე ცხოვრობდა, სიდედრ-სიმამრის ნაჩუქარი ყოფილა.

თავდამსხმელების კვალს პოლიციამ, ჯერჯერობით, ვერ მიაგნო. გიორგი და მამუკა კალანდაძეებთან ერთად მყოფი პიროვნების ვინაობაც დაუდგენელია. თუმცა, როგორც გლდანი-ნაძალადევის პროკურორმა ლენა კაპანაძემ გვითხრა, ყველანაირი ზომებია მიღებული, რათა საკუთარ ოჯახზე თავდამსხმელმა სიძემ, მისმა ძმამ და მეგობარმა ქალაქიდან გასვლა ვერ მოახერხონ. **"შორს ვერ წავლენ, აუცილებლად დავიჭერთ,"** - იმედი აქვს პროკურორს

# პატარკაციშვილის ბრალეულობისა საქართველოს მთავრობას არ სჯერა

სოფიკო ჩხაიძე

გუშინ მოსკოვში უნდა განახლებულიყო ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სისხლის სამართლის საქმე — "აეროფლოტის" ყოფილი ხელმძღვანელების დანაშაულთა სასამართლო განხილვა.

ამ საქმეში ფიგურირებს ჩვენი თანამემამულე და საქართველოში წარმატებული ბიზნესმენის სახელის მქონე ბადრი პატარკაციშვილი. რუსეთის სამართალდამცველ ორგანოებს პატარკაციშვილის ძებნაც კი აქვთ გამოცხადებული, თუმცა, საქართველოს მთავრობა მის გადაცემაზე უარს ამბობს. ოფიციალური მოტივი ქართული კანონმდებლობაა, რომლის თანახმადაც საქართველოს მოქალაქეს ხელისუფლება სხვა ქვეყნის სამართალდამცველებს არ გადასცემს. მისი ბრალის დამადასტურებელი მასალების არსებობის შემთხვევაში, მას ქართული სასამართლო ასამართლებს.

შესაბამისად, მოსკოვის სასამართლოს წინაშე 7 განსასჯელი წარდგება, მათ შორის პატარკაციშვილისა და ბერეზოვსკის ახლო მეგობარი, "აეროფლოტის" გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე ფინანსურ საკითხებში, ნიკოლაი გლუშკოვი. სხვათა შორის, სწორედ გლუშკოვის გაქცევის მცდელობის ორგანიზებაშია ეჭვმიტანილი ბადრი პატარკაციშვილი.

გლუშკოვსა და "აეროფლოტის" გენდირექტორის მოადგილეს ალექსანდრ კრასნენკერს, ავიოკომპანიის ყოფილ მთავარ ბუღალტერს ლიდია კრიჟევსკაიას, სააქციო საზოგადოების "გაერთიანებული ფინანსური კორპორაციის" გენერალურ დირექტორს რომან შეინინს გენერალური პროკურატურა ადანაშაულებს თაღლითობის გზით "აეროფლოტის" კუთვნილი ქონების დატაცებაში. გენპროკურატურის მონაცემებით, განსასჯელთა მიერ კომპანიისთვის მიყენებული ზარალი 252 მილიონ დოლარს აღწევს. თვით ავიაკომპანიამ განსასჯელებს 214 მილიონი რუბლის ოდენობის სამოქალაქო სარჩელი წარუდგინა. გარდა ამისა, გამოძიება გლუშკოვს ბრალად უყენებს უკანონოდ მოპოვებული ფულის გათეთრებას; ამასთანავე იგი, კრასნენკერთან და კრიჟევსკაიასთან ერთად, საზღვარგარეთიდან არ აბრუნებდა სავალუტო სახსრებს.

გამოძიების დასკვნით ეტაპზე კი გლუშკოვს დაემატა ბრალდება გაქცევის მცდელობისთვის. მისთვის გაქცევაში დახმარების გაწევა ბრალდებათ OPT-ს დაცვის ყოფილ უფროსსა და თავად გლუშკოვის თანაშემწეებს. ორგანიზება, როგორც ითქვა, ბადრი პატარკაციშვილს მიეწერება.

სისხლის სამართლის საქმე "აეროფლოტიდან" თანხების მიტაცების ფაქტზე 1998 წელს აღიძრა, როგორც ამბობენ, იმ იმედით, რომ გამოძიება ადვილად მივიდოდა ბერეზოვსკიმდე და პატარკაციშვილამდე. თუმცა, გამოძიების პროცესში აღმოჩნდა, რომ მათი მხრიდან "აეროფლოტის" მფარველობა დოკუმენტურად არ არის გაფორმებული. გამოძიება თითქმის დარწმუნებულია, რომ მიტაცებული თანხების დიდი ნაწილი სწორედ მათ ანგარიშებზე ირიცხებოდა.

სისხლის სამართლის საქმე 127 ტომს ითვლის და ამ ტომებში დაწვრილებითაა აღწერილი ის, რომ ავიაკომპანიის უცხოური წარმომადგენლობებიდან ფული შვიცარიული კერძო კომპანიის "ანდავას" ანგარიშზე ირიცხებოდა. შემდეგ "აეროფლოტი" კრედიტს იღებდა ასევე შვეიცარიული "ფორუსიდან". გამოძიების მტკიცებით, 1996-1999 წლებში "აეროფლოტსა" და შვეიცარიულ კომპანიებს ("ანდავასა" და "ფორუსს") შორის დადებული ხელშეკრულებების შესრულების საბაბით, ავიაკომპანიამ 67,8 მილიონი დოლარის ზარალი ნახა — ეს მხოლოდ უსაფუძვლო ვექსილების პროცენტებისა და არარსებული ვალების ჯარიმების გადახდით. გარდა ამისა, "ანდავასა" და "ფორუსის" ანგარიშებზე, "ცენტრობანკის" ლიცენზიის არქონის მიუხედავად, გადარიცხულია: 252,4 მილიონი დოლარი და საზღვარგარეთის ავიაკომპანიების მიერ რუსეთის ცის გადალახვისთვის გადახდილი 117,3 მილიონი. შვიდივე განსასჯელი



ან თანხების გადარიცხვის მითითებებს იძლეოდა, ან ხელს აწერდა ფინანსურ დოკუმენტებს.

მეგობართაგან განსხვავებით, ბერეზოვსკი ლონდონში მშვიდად წერს სკანდალურ წიგნებს, პატარკაციშვილი კი საქართველოს მაღალ საზოგადოებაში გაერია. იგი უძრავი ქონებისა და მასმედიის საშუალებების შესყიდვის მიღმა ქველმოქმედის სახელს იხვეჭს. სულ ახლახან გახდა ცნობილი, რომ მან ურეკში ვანო ჩხარტიშვილის კუთვნილი ოთხსართულიანი ვილა შეიძინა, თუმცა ამით დაკმაყოფილებას არ აპირებს და აწარმოებს მოლაპარაკებებს ოზურგეთის ხელმძღვანელობასთან კურორტის კეთილმოწყობაში მსხვილი ინვესტიციების ჩადების თაობაზე. ამასთან უკვე დაწყებულია სამუშაოები ურეკის წყალმომარაგების და ელექტროენერგიით უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად.

რაც შეეხება "აეროფლოტის" თემას, თავად პატარკაციშვილი მიიჩნევს, რომ "აეროფლოტის" საქმის ძიება სწორედ მისი და ბერეზოვსკის გამო წამოიწყეს და, რადგან ავიაკომპანიასთან მათი კავშირის დამადასტურებელ საბუთებს ვერ მიაგნეს, გლუშკოვის, მათი უახლოესი მეგობრის, დაპატიმრებით სცადეს მათზე ზეწოლის განხორციელება. ამის მიზანი კი, პატარკაციშვილის თქმით, OPT-ს აქციების ხელში ჩაგდება გახლდათ.

# კანონდამცველთა კულუარული ვერსია ნატახტარის საქმეზე

ინგა ალავიძე

*გენერალური პროკურატურის საგამოძიებო აპარატმა, რომელიც ნატახტრის საქმეს იძიებს, გუშინ კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტი შაქრო კალაშოვი დაკითხა.*

*კალაშოვი უწყების მიღებისთანავე, თარჯიმნისა და ადვოკატის თანხლებით, გამოცხადდა პროკურატურაში და გამომძიებლისთვის ჩვენების მიცემა არ დაზარებია.*

ე.წ. კანონიერი ქურდი სამართალდამცველებმა კვლავ მოწმის სტატუსით დაკითხეს. კალაშოვმა, ფაქტობრივად, ძველი ჩვენება გაიმეორა; ანუ კვლავ უარყო შემოტანილ იარაღთან კავშირი. ასევე უარყო მასთან დაცვის უფროსად სიმონ მჭედლიძის მუშაობის ამბავი, მეტიც - ნაცნობობაც კი.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფი ამჟამად ემზადება პარტიზანული დაჯგუფების - "ტყის ძმების" ლიდერის დათო შენგელიას დასაკითხად. ერთადერთი, რაც ამ საგამოძიებო მოქმედებას აყოვნებს, დაპატიმრებული იარაღისთვის ჩატარებული ექსპერტიზის პასუხის დაგვიანებაა. ერთი სიტყვით, გამოძიებას უნდა შენგელიას მომზადებული დახვდეს, რათა პარტიზანთა თავკაცის ჩვენებას კონტრშეკითხვები შეაგებოს.

ნატახტრის საგუშაგოზე დაკავებული იარაღი, ჯერჯერობით, კვლავ შსს-ს საწყობშია შენახული. ექსპერტებმა სამხედრო ტექნიკის ექსპერტიზის ჩატარება მოახერხეს, მაგრამ ვერ შეძლეს იარაღის სრული იდენტიფიკაცია, ძვირადღირებული უცხოური იარაღის ტიპის დაუდგენლობის გამო.

კანონდამცველებმა ასევე ვერ დაადგინეს იმ ავტომანქანის მფლობელი, რომლითაც იარაღის ტრანსპორტირება ხდებოდა. დაკითხულმა შაქრო კალაშოვმა კატეგორიულად უარყო "ჯიპის" მეპატრონეობა. სიმონ მჭედლიძემ კი განაცხადა: "მანქანის მფლობელის ვინაობა ჩემთვის ცნობილი არ არის, იგი იარაღის ჩამოსატანად მათხოვეს." ვინ ათხოვა, მას არ დაუკონკრეტებია. პირმა, რომელიც არსებული დოკუმენტაციით მანქანის მესაკუთრეა, გამოძიებას განუცხადა, რომ მანქანა ცოტა ხნის წინ გაყიდა. ძვირადღირებული "ჯიპი", რომელიც გენერალური პროკურატურის ავტოფარეხშია გაჩერებული, სავარაუდოდ, პროკურატურის კუთვნილებაში გადავა, თუ გარკვეული პერიოდის მანძილზე მას მფლობელი არ გამოუჩნდა.

სამართალდამცველებმა ნატახტრის საქმეზე ოფიციალურად სამი ვერსია გაავრცელეს. თუმცა კანონდამცველთა კულუარული ვერსიით, რომლის შესახებაც ხმამაღლა საუბარს ყველა ერიდება, იარაღი კანონიერი ქურდის, შაქრო კალაშოვის, კუთვნილება გახლდათ და სხვა ქვეყანაში გაჰქონდათ გასაყიდად. ნატახტართან დაპატიმრებული იარაღის საბაზრო ფასი, ზოგიერთი შეფასებით, 800 ათასი დოლარია.

# მაიამიში სადამ ჰუსეინის შვილობილი დააკავეს

ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამიში იმიგრაციული წესების დარღვევის გამო დააკავეს ირანის ლიდერის სადამ ჰუსეინის შვილობილი და ძალიან ახლობელი მუჰამედ სააფი.

იგი ლოს-ანჯელესიდან ჩამოსვლისთანავე აიყვანეს სასტუმრო "კომფორტში". სააფს ახლა უკვე გაერთიანებული ანტიტერორისტული დაჯგუფების წარმომადგენლები დაკითხავენ.

ცნობილი გახდა, რომ ამერიკაში დაპატიმრებულ სადამ ჰუსეინის შვილობილს პილოტების მოსამზადებელ სამდღიან სემინარში, რომელიც მაიამიში რეგულარულად ტარდება, მონაწილეობა ჰქონდა გადაწყვეტილი.

35 წლის სააფი ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდის მაცხოვრებელია. იგი ახალი ზელანდიის ავიოკომპანიის ტექნიკოს-თანამშრომელი გახლავთ. წინასწარი შეტყობინება იყო მიღებული მისი მაიამიში ჩასვლის შესახებ.

სულ მოკლე ხანში დაკავებულს გადაიყვანენ პატიმართა დროებითი დაკავების ცენტრში. იგი FBI-ს, იმიგრაციის და ნატურალიზაციის სამსახურების მეთვალყურეობის ქვეშ იქნება.

როგორც ამბობენ, ამერიკის მთავრობას მყარი საფუძველი გააჩნია იმის დასამტკიცებლად, რომ მუჰამედ სააფი ნამდვილად სადამ ჰუსეინის შვილობილია. მას დაპატიმრებისას არ აღმოაჩნდა საზაფხულო მოსამზადებელი კურსების გავლისათვის აუცილებელი ვიზა. დაკავებულის დაკითხვის შემდეგ მოხდება ამერიკიდან მისი დეპორტაცია.

ამერიკაში სავიზო რეჟიმი უცხოელი სტუდენტებისთვის, რომელთაც სურვილი აქვთ გაიარონ მოსამზადებელი საზაფხულო კურსები მაიამიში, 11 სექტემბრის შემდეგ შემოიღეს. როგორც აღმოჩნდა, ალ-ქაიდას მკვლელ-ტერორისტთა ნაწილი თვითმფრინავის მართვას სწორედ ფლორიდის საზაფხულო სკოლაში დაეუფლა.

მოთხრობები ნავთობ-მრეწველობის ისტორიიდან

# ბაქოს ნავთობი, კავკასია და ისტორიის სპირალური განვითარება

ლიანა ჯერვალიძე
კასპიისპირეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიული და პოლიტიკური ასპექტების მკვლევარი


ჯორჯ ბისელი


ჯონ როკფელერი


ჰენრი დეტერდინგი


მარკუს სამუელი

კასპიის ზღვა მსოფლიო ოკეანის დონეზე 29 მეტრით დაბლა მდებარეობს. ოდესღაც, ანუ წინაისტორიულ ხანაში იგი გაცილებით დიდ სივრცეზე ყოფილა გადაჭიმული და ოკეანის დონეს არ ჩამოუვარდებოდა, ამასთან ერთად ორი გზითაც ყოფილა დაკავშირებული მსოფლიო ოკეანესთან. პირველი თურმე ჩრდილოეთ კავკასიაზე გადიოდა და შავ ზღვას უკავშირდებოდა, მეორე კი ურალის გასწვრივ, ჩრდილო ყინულოვან ოკეანემდე მიემართებოდა.

შემთხვევითი არ არის, რომ წინაისტორიულ ხანაში არსებული ამ ორი სავარაუდო არხის გასწვრივ გადის ევროპისა და აზიის გამყოფი საზღვარიც. კასპიის ზღვა ორი არხით ყოფილა დაკავშირებული არალის ზღვასთანაც. სწორედ ამ სავარაუდო არხების ზოლში არის განთავსებული მნიშვნელოვანი ენერგორესურსები. ჩრდილოეთ კავკასიაზე გამავალი არხის ზოლში ცნობილია გროზნოსა და მაიკოპის საბადოები, ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანისაკენ მიმავალი არხის ზოლში - ურალის საბადოები (თათრეთი და ბაშკირეთი), რომლებიც მნიშვნელოვანწილად ამოწურულია. თურქმენეთისა და აღმოსავლეთ ყაზახეთის უდაბნოებში მოძიებული რესურსებიც ამ ორი არხისა და უძველესი პერიოდის არალის ზღვის საზღვრებს ემთხვევა.

ამჟამინდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, აფშერონის მიდამოებში ცეცხლოვანი ნივთიერების არსებობის შესახებ უხსოვარი დროიდან იცოდნენ. ბევრი ისტორიკოსი და ექსპერტი ძველი სპარსული ზოროასტრული რელიგიის, ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელებას სწორედ ამ ცეცხლოვანი ნივთიერების არსებობას უკავშირებს. სწორედ მისი არსებობით იყო განპირობებული მეზობელი თუ შორეული ქვეყნების ინტერესი ამ ტერიტორიის მიმართ, რამაც უახლოეს ეპოქაში - XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული დღემდე - უდიდესი როლი შეასრულა არა მხოლოდ აზერბაიჯანის, არამედ მთლიანად რეგიონის დრამატიზმით აღსავსე ისტორიაში.

ბრიტანული წყაროების ცნობით, ბრიტანეთის აღმავლობის გზაზე მდგარი იმპერიის ხელისუფალთ 1568-1574 წლებში ხუთი მისია მიუვლენიათ კავკასია-ცენტრალური აზიის შესწავლის მიზნით. ამ მისიებიდან ერთ-ერთში მონაწილეობა მიუღიათ ჯეფრი დაკეტსა და ტომას ბანისტერს, რომლებიც ამჟამინდელი ბაქოს ტერიტორიაზე არსებულ იმ დროინდელ ვითარებას აღწერენ. ისინი ადასტურებენ, რომ "ამ ქალაქში მოიპოვება უცნაური ნივთიერება, რომელიც მიწიდან ამოჩქეფს დიდი რაოდენობით და რომელსაც სახლების გასათბობად ხმარობენ. ეს ნივთიერება შავია და მას "ნეფტე"-ს უწოდებენ." ეს ნაწყვეტი მოჰყავს აზერბაიჯანის საერთაშორისო ნავთობის კორპორაციის ყოფილ პრეზიდენტს, ტერი ადამსს თავის ნარკვევში - "უკან წარსულისაკენ. ბრიტანეთი. ბაქოს ნავთობი და ისტორიის სპირალური განვითარება."

მიუხედავად ამისა, ნავთობის მრეწველობის განვითარება დაიწყო ბაქოდან და კასპიისპირეთიდან შორს, ოკეანის გადაღმა - ამერიკის შეერთებულ შტატებში, XIX ს-ის შუა ხანებში.

## ნავთობმრეწველობის დასაწყისი, როკფელერის იმპერიის შექმნა

დასავლეთში ნავთობისა და გაზის ქიმიური თვისებების შესახებ არაფერი იცოდნენ XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. ყველაფერი აშშ-ში დაიწყო და როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ამ შემთხვევაშიც ნავთობის ინდუსტრიას სათავე დაუდო სრულიად შემთხვევითმა პიროვნებამ, ვინმე ჯორჯ ბისელმა, რომელიც ძველი ბერძნულისა და ლათინურის მასწავლებელი იყო.

ჯორჯ ბისელი, თავისი ხასიათის თვისებებიდან გამომდინარე, უაღრესად განათლებული და ცნობისმოყვარე ყოფილა. მას 1853 წელს, დედის მოსანახულებლად ჰანოვერში მგზავრობის დროს, დარტმუთის კოლეჯშიც შეუვლია. იქ ერთ-ერთ კოლეგას მისთვის უჩვენებია ახლომახლო მიწის ზედაპირზე ამოსული შავი სითხე, რომელსაც ის ბოთლში ინახავდა. ეს იყო პენსილვანიური ნავთობი, რომელმაც სათავე დაუდო ტექნოლოგიურ რევოლუციას აშშ-სა და მთელ მსოფლიოში. მანამდე კი ბისელს ნავთობის მცირე სინჯი თან წაუღია მისი ქიმიური თვისებების დადგენის მიზნით.

იმ დროისათვის ამ ნივთიერებას ბევრ გამაჯანსაღებელ თვისებას მიაწერდნენ. იგი აფთიაქებშიც იყიდებოდა, როგორც თავისა და კბილის ტკივილის, სმენის დაქვეითების, კუჭის აშლილობის, ჭიისა და რევმატიზმის საწინააღმდეგო უებარი საშუალება.

ჯორჯ ბისელმა იცოდა ამ ნივთიერების ალებადობის შესახებ და აზრად მოუვიდა, მისი თვისებების შესწავლის მიზნით, ქიმიური ანალიზი ჩაეტარებინა. იგი საკუთარი ძალებით ამას ვერანაირად ვერ მოახერხებდა და ამიტომ გადაწყვიტა, იელის უნივერსიტეტის პროფესორისთვის - სილიმანისათვის მიემართა. იელის უნივერსიტეტი სამეცნიერო აზროვნების სამჭედლოდ ითვლებოდა იმ დროის ამერიკაში, ყოველ შემთხვევაში, მასზე უკეთესი არ არსებობდა. სილიმანის მიერ ჩატარებულმა ანალიზმა დაადასტურა ნავთობის, როგორც საპოხი საშუალების, ისე მისი ალებადობის თვისებები.

არ გასულა დიდი ხანი, რომ პოლკოვნიკმა დრეიკმა ნავთობის საკმაო რაოდენობით მოპოვება და გადამუშავება დაიწყო. ამერიკაში ნავთობის მოპოვების ნამდვილი ბუმი ატყდა, თუმცა, მან კარგად ჩამოყალიბებული ბიზნესის სახე მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც ჯონ როკფელერმა 1865 წელს კლივლენდში (ოჰაიო), ნავთობის გადამამუშავებელ მცირე ქარხანაში თავისი პარტნიორების წილები შეისყიდა, რომლებსაც ისინი ერთად ფლობდნენ. ეს იყო არა მხოლოდ როკფელერების იმპერიის, არამედ, საერთოდ, ფართო მასშტაბიანი ნავთობის ბიზნესის დასაწყისი.

მართლაც, 1870 წელს როკფელერმა შექმნა "სტანდარდ ოილ კომპანი," მოგვიანებით იგი "სტანდარდ ოილ ტრასტად" გადაიქცა. "სტანდარდ ოილ ტრასტი" იყო მსოფლიო ნავთობ-ბიზნესის ლიდერი და კასპიისპირეთის ნავთობის ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტი ჯერ ევროპაში, შემდეგ შორეულ აღმოსავლეთში.

მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, "სტანდარდ ოილმა" აგრესიული მოქმედებით დაიპყრო ჯერ აშშ-ს შიდა ბაზარი და შემდეგ დიდი მოცულობით ექსპორტზე გადავიდა. როკფელერს ეკუთვნოდა მრავალი საინჟინრო-ტექნიკური ხასიათის ინოვაცია, რომელთა შორის იყო 1870 წელს დაწყებული მსოფლიოში პირველი 110 მილის სიგრძის ნავთობსადენის მშენებლობა, რომელსაც პენსილვანიის ნავთობი უილიმსპორტამდე უნდა მიეტანა. 1870 წელს აშშ-დან ექსპორტირებული ნავთის 90 პროცენტი "სტანდარდ ოილს" ეკუთვნოდა, ხოლო 1874 წელს ამერიკული წარმოების ნავთმა მთლიანად მოიცვა მსოფლიო და მათ შორის, რუსეთის ბაზარიც.

"სტანდარდ ოილის" ერთპიროვნული ლიდერობა, როგორც აშშ-ს შიდა, ისე გარე ბაზარზე 1911 წლამდე გაგრძელდა. ამ წელს კი იგი სასამართლო გადაწყვეტილებით დაიშალა, როგორც ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის უხეშად დამრღვევი კომპანია.

## ნავთობმრეწველობის დასაწყისი ბაქოში, ნობელები, როტშილდები

1870 წლიდან დაწყებული სერიოზული ამბები ხდებოდა რუსეთის იმპერიის სამხრეთ-დასავლეთ ფლანგზე, ბაქოში. საქმე ისაა, რომ ლუდვიგ ნობელმა, რომელმაც საიმპერიო ხელისუფლებისაგან იარაღის წარმოებაზე დიდი შეკვეთა მიიღო, თავისი ძმა რობერტ ნობელი კავკასიაში მიავლინა სათოფისკონდახე კაკლის მასალის მოსაძიებლად. სწორედ ამ მოგზაურობის დროს ნახა პირველად რობერტ ნობელმა პრიმიტიული ნავთობმომპოვებელი და გადამამუშავებელი მოწყობილობები ბაქოში და, კაკლის [illegible]

[illegible]

ლუდვიგ ნობელი რომ ჯონ როკფელერის გაქანების კაცი იყო, სულ მალე გამოჩნდა. მან არა მარტო მთლიანად შეცვალა ადგილზე არსებული მომპოვებელ-გადამამუშავებელი დანადგარები, არამედ ბევრი ისეთი ინოვაცია შემოიტანა, რომელიც აქამდე წარმოუდგენელი ჩანდა რუსეთის რეალობაში. სხვა რომ არაფერი, მას ეკუთვნის პირველი ნავთობტანკერის იდეა და მისი განხორციელებაც. ასევე ხის ბარელის იდეაც, რომელსაც ნავთობთან მიმართებაში დღესაც საზომ ერთეულად ვიყენებთ, რომ არაფერი ვთქვათ ტანკერებზე, რომელთა წყალწყვამ დღესდღეობით ასეულ ათასობით ბარელს მიაღწია.

თავიდან ნობელების მიერ ბაქოში მოპოვებული ნავთობი გემით ასტრახანამდე მიჰქონდათ, შემდეგ მდინარე ვოლგით ჩრდილოეთის რომელიმე სარკინიგზო კვანძამდე და ა.შ. ამგვარად გართულებული ტრანსპორტირება პროდუქციას აძვირებდა და არაკონკურენტუნარიანს ხდიდა. ამას ზედ ემატებოდა ის ფაქტი, რომ ბარელის საწარმოებლად ხის მასალა საკმარისი არ იყო და ნობელები იძულებული იყვნენ, აშშ-დან შემოეტანათ.

ბაქოს ჭაბურღილებიდან კი უწყვეტად მოჩქეფდა ნავთობი. მისი ამ რაოდენობის ათვისება რუსეთის შიდა ბაზარს არ შეეძლო მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი შესაძლებლობების გამო. ექსპორტი კი წარმოუდგენელი იყო რუსეთის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პირობებში. ალბათ ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ თბილისში ამერიკული ნავთის შემოტანა უფრო იოლი და იაფი ჯდებოდა, ვიდრე ბაქოსი.

იმ დროისათვის კავკასიაში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ზრუნვა გრაფ ვიტეს კომპეტენციაში შედიოდა. იგი ამ პერიოდში იმპერიის სარკინიგზო დეპარტამენტის სამხრეთ ზოლს ხელმძღვანელობდა და კარგად მოეხსენებოდა, როგორც ამ თვალსაზრისით არსებული ვითარების, ისე სარკინიგზო ტრანსპორტზე რეგიონში გაზრდილი მოთხოვნების შესახებ. სწორედ მან დაუჭირა მხარი ევროპაში ცნობილი მეწარმის, ბარონ ალფონს როტშილდის მიერ კავკასიაში სარკინიგზო არტერიის დაფინანსების საკითხს.

ბარონ როტშილდს უკვე ჰქონდა ევროპაში რკინიგზების მშენებლობის დაფინანსების გამოცდილება და ნავთობის მზარდი ბიზნესიც არ დარჩენია ყურადღების მიღმა. ამის გარდა, იგი რუსეთის საიმპერატორო კარის ერთ-ერთი კრედიტორიც იყო. ასეა თუ ისე, ბაქოდან შავი ზღვის პორტ ბათუმამდე რკინიგზის მშენებლობა 1883 წელს დამთავრდა. 1886 წელს ძმებმა როტშილდებმა შექმნეს კასპიისა და შავი ზღვის ნავთო- [illegible] 10 წლის შემდეგ) მწყობრში ჩადგებოდა ბაქო-ბათუმის 940 კმ. სიგრძის ნავთობსადენი. ეს უკვე ძალზე სერიოზული განაცხადი იყო.

მართლაც, თუ 1874 წელს ბაქოში წლიურად 600 000 ბარელი ნავთობი იწარმოებოდა, 10 წლის შემდეგ ბაქოს წარმადობა იმდენად გაიზარდა, რომ წლიურ 10,8 მილიონ ბარელს შეადგენდა. 1888-1902 წლებში, ანუ რკინიგზისა და ნავთობსადენის ამოქმედების შემდეგ, რუსეთის წილი ნავთობის ექსპორტში 22 პროცენტიდან 29 პროცენტამდე გაიზარდა აშშ-ს ექსპორტის შევიწროვების ხარჯზე, რომელიც იმავე პერიოდში 78 პროცენტიდან 71 პროცენტამდე შემცირდა. თუმცა, ასეთ წარმატებას თავად ლუდვიგ ნობელი ვერ მოესწრო, ვინაიდან იგი ნავთობსადენის მშენებლობის დამთავრებამდე გარდაიცვალა და მემკვიდრეებს დაუტოვა საქმე, რომელსაც თანამედროვეებმა XIX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბიზნესი უწოდეს, თავად ლუდვიგ ნობელი კი ნავთობის მეფედ აღიარეს.

ბაქოს ნავთობის ტრიუმფალური სვლა ამით არ დამთავრებულა. როტშილდების ინტერესი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისაკენ იყო მიმართული, მაგრამ არ იცოდნენ, როგორ გაეტანათ ბაქოს ჭარბი ნავთობი აღმოსავლეთის ამ მზარდ ბაზარზე, სადაც მხოლოდ როკფელერის "სტანდარდ ოილი" მოქმედებდა.

მალე ისინი დაუკავშირდნენ ლონდონის ერთ-ერთ წარჩინებულ მეწარმეს, მარკუს სამუელს, რომელმაც ტრანსპორტირების საკითხი მალე მოაგვარა. კერძოდ, მან შეუკვეთა რამდენიმე ტანკერი, რომლებსაც სუეცის არხის გავლით უნდა მიეტანათ ბაქოს ნავთობი ბანკოკამდე, სადაც მარკუს სამუელს ჰოლანდიელი კომპანიონი "დაჩი" ჰყავდა. ეს გზა უფრო მოკლე იყო, ვიდრე ის, რომლითაც მოძრაობდნენ "სტანდარდ ოილის" ნავთობტანკერები, კერძოდ, აფრიკის კეთილი იმედის კონცხის შემოვლით. უკვე 1902 წლისათვის სუეცის არხის გავლით მოძრავი ტანკერების 90 პროცენტი მარკუს სამუელს ეკუთვნოდა და გადატანილი ნავთობის უდიდესი ნაწილი ბაქოდან მოდიოდა.

ბაქოს ნავთობის კონკურენცია იმდენად შემაწუხებელი იყო, რომ როკფელერმა გადაწყვიტა, ნობელებთან და როტშილდებთან მოლაპარაკება ეწარმოებინა საექსპორტო ბაზრის განაწილების თაობაზე. მან ბაქოს მენავთობეებს საერთაშორისო ბაზრის 25 პროცენტი შესთავაზა. მხარეებმა შეთანხმებაც დადეს, თუმცა ეს შეთანხმება ძალაში არ [illegible] უცხოური ინვესტიციები, აქტიურად ვითარდებოდა როგორც მომპოვებელი, ისე გადამამუშავებელი მრეწველობა და, რაც მთავარია, ვითარდებოდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, რომელსაც პროდუქცია შიდა თუ საექსპორტო ბაზრებამდე უნდა მიეტანა. რეგიონის განვითარების ტემპები ბევრად აღემატებოდა იმპერიის საშუალო მაჩვენებელს. ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად, ვითარდებოდა საზოგადოებრივი ურთიერთობებიც, თუმცა, სამწუხაროდ, არა ევოლუციური, არამედ რევოლუციური გზით.

ბაქო და ბათუმი გადაიქცა რუსი და არარუსი ეროვნების რევოლუციონერთა ნამდვილ სამჭედლოდ. კალინინმა, ვოროშილოვმა და სტალინმა, სხვა მრავალთან ერთად, სწორედ ბაქოსა და ბათუმში მიიღეს რევოლუციური ნათლობა. აქ იბეჭდებოდა რევოლუციური გაზეთი "ისკრაც." რევოლუციური მოძრაობის გააქტიურებამ და საიმპერიო კარის უსუსურობამ, მოეძებნა ვითარების სტაბილიზაციის სწორი გზები, ერთ დროს აყვავებული რეგიონული ეკონომიკა სრულ რეგრესამდე, ხოლო თავად იმპერია და საიმპერატორო ოჯახი დაღუპვის კარამდე მიიყვანა.

რევოლუციური და, განსაკუთრებით, ანტისემიტური მოძრაობით შეშინებულმა როტშილდებმა, რომლებიც რუსეთის იმპერიის ძირითადი კრედიტორებიც იყვნენ, გადაწყვიტეს, თავისი წილი გაეყიდათ. მყიდველიც გამოჩნდა: ეს იყო "როიალ დაჩ შელი," რომელსაც რუმინეთის ნავთობის წარმოების (აღმოჩენილი იქნა 1906 წელს) 17 პროცენტი და შორეული აღმოსავლეთის (ბრუნეის) - 53 პროცენტი ეკუთვნოდა. "როიალ დაჩ შელი" 1911 წელს, როტშილდების წილის შესყიდვის შემდეგ, რუსეთის ნავთობის მრეწველობის 29 პროცენტის მფლობელი გახდა.

"როიალ დაჩ შელის" დირექტორმა დეტერდინგმა კარგად იცოდა, რამდენად სარისკო იყო ეს გარიგება, მით უმეტეს, რევოლუციის შემდეგ, მაგრამ მას ღრმად სწამდა, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება მალე დამარცხდებოდა, მანამდე კი რუმინეთისა და ბრუნეის ნავთობწარმოებით იმედოვნებდა ბაქოში არსებული რისკის დაბალანსებას. ეს გარიგება, ფაქტობრივად, სამომავლო გარიგება იყო.

ოქტომბრის რევოლუციის წინ ბაქოს ნავთობწარმოება თითქმის დანგრეული იყო. XIX-ს მიწურულს დაწყებულმა მრავალწლიანმა რევოლუციურმა მოძრაობამ შეაფერხა ინვესტიციების შემოდინება, რაც სისხლხორცეულად აუცილებელი იყო როგორც მომპოვებელი, ისე გადამამუშავებელი წარმოების ტექნოლოგიური თვალსაზრისით გადასახალისებლად.

ამიტომაც 1904-1914 წლებში, ანუ პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ რუსეთის, ანუ ბაქოს ნავთობის წილი მსოფლიო ექსპორტში 31 პროცენტიდან 9 პროცენტამდე დაეცა. ამ დროს მსოფლიო ბაზარზე მიედინებოდა არა მარტო ამერიკული, არამედ ბრუნეის (ექსპლუატაციაში 1891 წლიდან შევიდა), რუმინული (1906 წლიდან), სპარსული (1908 წლიდან) და მექსიკური (1910 წლიდან) ნავთობი, რომელიც უმტკივნეულოდ ითვისებდა ბაქოსა და გროზნოს ნავთობის წილს მსოფლიო ბაზარზე.

## ბაქოს ნავთობი და საბჭოთა ხელისუფლება

ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება მიხვდა, რომ უცხოური ინვესტიციების გარეშე დანგრეულ ეკონომიკას, მით უმეტეს, ნავთობმრეწველობას, რომელიც ამ ეკონომიკის საფუძველი უნდა ყოფილიყო, ვერ აღადგენდა და ლენინმა 1921 წელს, უცხოური კაპიტალის მიზიდვის მიზნით, ახალი ეკონომიკური პოლიტიკა გამოაცხადა. იმავე წელს საგარეო ვაჭრობის კომისარმა კრასინმა ლონდონში ხელი მოაწერა რუსეთ-ინგლისის სავაჭრო შეთანხმებას, რომელიც ბაქოს ნავთობსაც შეეხებოდა.

"როიალ დაჩ შელის" დირექტორი დეტერდინგი საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სასტიკი წინააღმდეგი იყო და შეეცადა, ერთიანი ფრონტი შეექმნა საბჭოთა ბაქოს ნავთობის ექსპორტის წინააღმდეგ. მაგრამ საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომისარმა კრასინმა თავისი ენერგიული და დიპლომატიური ქმედებით შესძლო ნავთობკომპანიების ერთიანი ფრონტის გარღვევა და მალე ბაქოს ნავთობი, "როიალ დაჩ შელის" გვერდის ავლით, საერთაშორისო ბაზარზე გავიდა.

1929 წელს რუსული ნავთობპროდუქტების კომპანია მეოთხე მიმწოდებელი იყო დიდი ბრიტანეთის მთელ იმპერიაში. 1921 წლიდან დაწყებული 1929 წლამდე ბაქოს ნავთობის ექსპორტიდან მიღებული მყარი ვალუტა საბჭოთა კავშირში უწყვეტად შეედინებოდა.

1929 დაიწყო მსოფლიო ეკონომიკის დიდი დეპრესია, რასაც მოჰყვა ნავთობზე მოთხოვნილების კატასტროფულად დაცემა. ნავთობკომპანიებმა გასაღების ბაზრებისათვის ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გამართეს. საბედნიეროდ, ეს პერიოდი საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის პროგრამას დაემთხვა. ეს იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა ნავთობის მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი ისევ შიდა ეკონომიკის ზრდას ხმარდებოდა.

ამგვარად, ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან ბაქოს ნავთობმა უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა როგორც იმპერიული რუსეთის, ისე საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განვითარებასა და ექსპორტში. ამიტომ, როგორც პირველი, ისე მეორე მსოფლიო ომების დროს მოწინააღმდეგეთა უმთავრესი დარტყმა სწორედ სამხრეთ ფრთაზე, ბაქოსა და გროზნოს ნავთობის ხელში ჩაგდებისაკენ იყო მიმართული.

ამიტომ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან საბჭოთა ხელისუფლებამ მიზანშეუწონლად ჩათვალა, საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მტრული სამხედრო ბლოკის, ანუ NATO-ს წევრი თურქეთის (NATO-ს წევრი 1952 წლიდან) საზღვრიდან სულ რაღაც 500 კმ-ში მდებარე ბაქოს ნავთობზე ყოფილიყო დამოკიდებული. მით უმეტეს, რომ უკვე აღმოჩენილი იყო ურალისა (თათრეთისა და ბაშკირეთის) და დასავლეთ ციმბირის ნავთობის საბადოები.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ბაქოს ნავთობის საბადოებში ინვესტირებამ თანდათან იკლო და ბაქოს ნავთობმა პოზიციების დათმობა დაიწყო. 80-იანი წლების შუა ხანებში, გორბაჩოვის გარდაქმნების დაწყებასთან ერთად, თანდათან იმატა საერთაშორისო ნავთობკომპანიების ინტერესმა საბჭოთა ენერგორესურსების მიმართ. საბჭოთა ეკონომიკა უმძიმეს მდგომარეობაში იყო. ინვესტიციებისა და ახალი ტექნოლოგიების გარეშე საბჭოთა ეკონომიკას ზოგადად, და კერძოდ, ნავთობისა და გაზის მრეწველობას, განვითარების შანსი არ ჰქონდა. არადა, საბჭოთა კავშირს სხვა კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა არ გააჩნდა. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა, თავისი საზღვრები თანდათან გაეხსნა საერთაშორისო ნავთობკომპანიებისათვის. იმავდროულად, საბჭოთა ფუნქციონერები ცდილობდნენ, ნავთობკომპანიების წარმომადგენელთა ინტერესი რუსეთის ციმბირის საბადოებისაკენ მიემართათ. ნავთობკომპანიების წარმომადგენელთაგან ბევრს მართლაც სჯეროდა მათი მტკიცება, რომ ბაქოში ენერგორესურსების მარაგები მთლიანად ამოწურული იყო.

## სტივ რემპი და ბაქოს ნავთობის დაბრუნება

ბაქოს ნავთობის დაბრუნება საერთაშორისო ბაზარზე შოტლანდიური კომპანია "ARAMCO"-ს პრეზიდენტის, სტივ რემპის სახელთან არის დაკავშირებული. სტივ რემპს სჯეროდა, რომ ბაქოს რესურსები ამოწურული არ იყო. მან თავისი მრავალჯერადი მოგზაურობით ბაქოსა და რეგიონში მოამზადა ნიადაგი გარიგებებში ამჟამად მონაწილე ნავთობკომპანიების შემოსვლისა და "საუკუნის კონტრაქტის" დადებისათვის 1994 წელს. "საუკუნის კონტრაქტის" დადებისთანავე დღის წესრიგში დადგა რესურსების ტრანსპორტირების საკითხი.

XX-ს ბოლოს პოლიტიკური ვითარება და ძალთა ბალანსი რეგიონში ბევრად განსხვავდებოდა იმ რეალობისაგან, რომელიც არსებობდა ნობელებისა და როტშილდების დროს. რუსეთის, თურქეთისა და ირანის გარდა, კასპიისპირეთის რეგიონზე სერიოზული გავლენის მოხდენა ჩინეთსაც შეუძლია. ამასთან ერთად, კასპიისპირეთის ქვეყნებს კასპიის ზღვის შელფის რესურსების გაყოფისა და ტრანსპორტირების საკუთარი პრიორიტეტები აქვთ. რეგიონის ქვეყნების მხრიდან წინააღმდეგობის მოხსნის მიზნით, აშშ-მ, როგორც დაინტერესებულმა მხარემ და მთავარმა კრედიტორმა, ბაქოსა და საზოგადოდ, კასპიისპირეთის ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების რამდენიმე პარალელურ მარშრუტს დაუჭირა მხარი. ამ მარშრუტებიდან ერთ-ერთი საქართველოზეც უნდა გავიდეს, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის უშიშროების, სტაბილურობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის.



კასპიის ზღვა ორი არხით ყოფილა დაკავშირებული არალის ზღვასთანაც. სწორედ ამ სავარაუდო არხების ზოლში არის განთავსებული მნიშვნელოვანი ენერგორესურსები.

# მხიარული ფანკი ინგლისიდან

## თბილისის ჯაზ-ფესტივალი ფინალს უახლოვდება










ბესო გულაშვილის ფოტოები

ვერა ნეფარიძე

უკან მოტოვებული კულმინაციის (ელ ჯეროს კონცერტი) მიუხედავად, ფესტივალს ხიბლი არ დაუკარგავს. ბევრისთვის კი, შესაძლოა, პირიქითაც იყოს: დენის როლინსის წუხანდელი კონცერტი "ჯოიში", ნამდვილი საფესტივალო განწყობით გამოირჩეოდა.

"რაც უნდა მოხდეს, დარწმუნებული ვარ, დღევანდელი შოუ ძალიან კარგი იქნება", – თქვა ინგლისელმა ტრომბონისტმა კონცერტამდე რამდენიმე საათით ადრე. მუსიკოსმა დამაიმედებელი პასუხი იმ ჟურნალისტებს გასცა, ვისაც უამინდობის გამო კონცერტის ჩაშლის (ვინაიდან კონცერტი ღია ცის ქვეშ იყო დაგეგმილი) შეეშინდა. მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა: ზაფხულის წვიმა ფანკით გახურებული ახალგაზრდობის გასაგრილებლად საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა.

სამწუხაროა, რომ ინგლისელ ტრომბონისტს მხოლოდ "ჯოის", საფესტივალოდ მცირერიცხოვანმა აუდიტორიამ (რადგანაც ღამის კლუბი მეტ აუდიტორიას ვერ დაიტევდა) მოუსმინა. სამაგიეროდ, წუხანდელი კონცერტით მეტად კმაყოფილი დარჩა ჯაზ-ფესტივალის სტუმართა ის ნაწილი, ვისაც აღარ ჰქონდა იმედი, თუ ტანია მარიასა და ელ ჯეროს კონცერტების შემდეგ ფესტივალზე კიდევ რაიმე გააოცებდა.

დენის როლინსის შესახებ თბილისში თითქმის ძალიან ცოტას თუ ჰქონდა ინფორმაცია. "ისთერნ პრომოუშენის" გავრცელებული ცნობები კი, ძირითადად, გვახსენებდა იმ ცნობილი მუსიკოსებისა თუ ჯგუფების სახელებს, ვისთანაც ინგლისელი ტრომბონისტი მუშაობდა. ესენი კი არიან: როი აიერსი, მარკუს მილერი, ერიკ ბენეტი, US 3, ტომ ჯონსი, Brand New Heavies, ერიკა ბადუ, ჯორჯ კლინტონი. როდესაც ამ სიაში Blur და Cyprus Hill-იც ამოვიკითხე, მივხვდი, დენის როლინსის გამოსვლის სახით, წინ ძალიან საინტერესო მუსიკალური საღამო მელოდა. საბედნიეროდ, მოლოდინს არ გავუწბილებივარ: "ჯოიში" მივხვდი, რატომ იზიდავს ერთნაირად დენის როლინსი სხვადასხვა მუსიკალური მიმართულების მუსიკოსებს. ნიჭიერი ტრომბონისტის, კომპოზიტორის, პროდიუსერის და არანჟირების ოსტატის ხელში ერთი შეხედვით, მეორეხარისხოვანი ტრომბონი, მეტად თანამედროვედ ჟღერს (სხვათა შორის, მას ბრიტანეთში ყველაზე სექსუალური ტრომბონისტიც შეარქვეს).

თავად მუსიკოსს, რომელიც ერთნაირი ინტერესით მუშაობს ფანკში, ჯაზში, რიტმ-ენდ-ბლიზსა და როკში, უჭირს გამოარჩიოს რომელიმე მუსიკალური მიმდინარეობა: "ჩემთვის მთავარია, გულით ვიგრძნო მუსიკა". ნათქვამის საილუსტრაციოდ როლინსმა გაიხსენა Blur-თან მუშაობის პერიოდი: "არსებობს ასეთი სტერეოტიპი: როდესაც პუბლიკა სცენაზე შავკანიანს ხედავს, რატომღაც მისგან მხოლოდ ჯაზს ან რიტმ-ენდ-ბლუზს ელის. Blur-თან თანამშრომლობამ, იმის გარდა, რომ ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, საშუალება მომცა, საკუთარი თავი როკ-მუსიკაშიც მომესინჯა". დენის როლინსის ექსპერიმენტებმა არაჩვეულებრივად ჩაიარა – ჯგუფის ბრიტანული ტურნეს წყალობით, როლინსი თანამედროვე ბრიტ-პოპის მსმენელმა გაიცნო.

რაც შეეხება თბილისურ პუბლიკას, ტრომბონისტმა მათზე არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა. "არ გავჩერდები, ვიდრე ხალხს არ ვაცეკვებ", – "დაემუქრა" როლინსი კონცერტამდე ორგანიზატორებს. მაგრამ, სულ ტყუილად: "ჯოიში" ისედაც საცეკვაოდ შეკრებილ მელომანებს განსაკუთრებული ძალისხმევა არ დასჭირვებიათ. ფანკის პირველივე რიტმებმა შედეგს მიაღწია: კონცერტის დასასრულისათვის სკამზე ჯდომა, თითქმის, შეუძლებელი იყო და ევროპელების შეფასება, რომ "დენისმა კარგად იცის, როგორ გადასცეს მსმენელს ფანკი", - უტყუარი აღმოჩნდა.

მუსიკოსმა წინასწარ გაგვაფრთხილა, რომ კონცერტზე დაკვირვებული მსმენელი აუცილებლად შენიშნავდა ჯეიმს ბრაუნისა ზეგავლენას; როგორც აღმოჩნდა, როლინსისთვის არც Blur-თან და Cyprus Hill-თან თანამშრომლობას ჩაუვლია უკვალოდ: როლინსის მუსიკაში იოლად იგრძნობდით როკ-მუსიკისა და დრამ-ენდ-ბეისის რითმებს.

დენის როლინსი თოთხმეტი წლიდან უკრავს. მაშინ მის არჩევანზე, ხელში აეღო ტრომბონი, უფროსი ძმის ზეგავლენამ იმოქმედა. ამჟამად, ეროლ როლინსი დენისის ჯგუფში Badbone&Co დასარტყამ ინსტრუმენტზე უკრავს. ჯგუფი როლინსმა თავისუფალი მუსიკოსის სტატუსის მობეზრების შემდეგ, 2000 წელს შექმნა. აღიარება კი, მანამდე, Doncaster Youth Jazz Association-ში ცნობილ ჯაზმენებთან წარმატებული თანამშრომლობისას მოიპოვა. "დენისმა აღაფრთოვანა ახალგაზრა თაობა და მუსიკოსები, როდესაც უჩვენა, თუ როგორ შეიძლება იქცეს ერთი შეხედვით, მეორე პლანზე მდგომი ინსტრუმენტი – ტრომბონი, წამყვან ინსტრუმენტად" – ამ ინსტრუმენტით როლინსმა თბილისელი ახალგაზრდებიც მოხიბლა. განსაკუთრებით მის შესაძლებლობებში როლინსმა ქართველები მაშინ დაარწმუნა, როდესაც ჯიმი ჰენდრიქსისა და "ქვინის" ცნობილი მელოდიები შეასრულა. ამათ გარდა, მის საკონცერტო პროგრამაში იყო კომპოზიციები ჯგუფის ერთადერთი და მომავალი ალბომებიდან. მთლიანობაში კონცერტი მართლა დაუვიწყარი გამოვიდა. როლინსის გარდა "ჯოის" სცენაზე წუხელ კიდევ ერთი სტუმარი, რუსული ჯაზის პატრიარქი (როგორც მას მაია ბარათაშვილმა უწოდა), პიანისტი იგორ ბრილი გამოვიდა. ჯაზ-ფესტივალის წუხანდელი დღე, რომელიც "ნესკაფეს" დამსახურება იყო, ნამდვილად იძლევა ოპტიმიზმის საბაბს, მითუმეტეს, დღეს კიდევ სიამოვნება გველოდება. წლევანდელ ფესტივალს დღეს მხიარული ამერიკელი საქსაფონისტი, ალფრედ "პი ვი" ელისი დახურავს.

# 25 წლის შემდეგ ელისო ვირსალაძე ამერიკას ეწვევა

## რიხტერი მის შესრულებულ შუმანს „შეუდარებელს" უწოდებდა

თამარ სუხიშვილი

"ის მარტო შესანიშნავი ვირტუოზი მუსიკოსი არ არის. იგი იშვიათი გრძნობით უკრავს. მისი უჩვეულო ტექნიკით შესრულებული ინტერპრეტაციები გულწრფელობასა და უშუალობას ასხივებს. სვიატოსლავ რიხტერი ამ ქალბატონის მიერ შესრულებულ შუმანს "შეუდარებელს" უწოდებდა, მის მოცარტს - "დიდებულს", ვირსალაძის შესრულებული შოპენი კი სხვა პიანისტებისთვის სანიმუშოდ გამოდგებოდა.

ალბათ, მიხვდით, რომ ამ ციტატაში ცნობილ ქართველ პიანისტზე, ელისო ვირსალაძეზეა საუბარი. "ვირსალაძე უდიდესი პიანისტია, რომლის შესახებაც ამერიკაში მუსიკის ბევრმა მოყვარულმა არაფერი იცის (სამწუხაროდ)," - წერს ამერიკული პრესა, ხოლო ამერიკული პუბლიკა მოუთმენლად ელოდება მის გასტროლებს შეერთებულ შტატებში, სადაც 25-წლიანი პაუზის შემდეგ არ მოუსმენიათ პიანისტისთვის, რომელსაც რუსეთში მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად მიიჩნევენ. "ეგ არაფერი, - ამბობს ელისო ვირსალაძე, - ანალოგიური პრობლემები ხომ დასავლელ ხელოვანებსაც ჰქონდათ, ისინი ისე ჩადიოდნენ გასტროლებზე რუსეთში, რომ რუსმა მსმენელმა მათ შესახებ არაფერი იცოდა."

ელისო ვირსალაძეს ყოველთვის მოკრძალებულად უჭირავს თავი - საოცარი კონტრასტია, თუ გავიხსენებთ მის შესრულების მანერას. ინსტრუმენტთან მუსიკოსი ტემპერამენტით სავსეა, იმპულსური და ძლიერი. "ხშირად ვდირიჟორობდი ჩაიკოვსკის პირველ კონცერტს, ხან გილელსი უკრავდა, ხან სხვა გამოჩენილი მუსიკოსი, მაგრამ ელისო ყველაზე კარგად ასრულებს," – ამბობს რუსი დირიჟორი იური ტემირკანოვი.

ტემირკანოვი, რომელიც 30 წელზე მეტია იცნობს პიანისტს, ელისოს "ძველი სტილის" ადამიანს ეძახის და ეს დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ერთგვარ კომპლიმენტად მოიაზრება. "ცნობილი პიანისტისთვის არაფერს ნიშნავს სახელი და წარმატება", - ამბობს ტემირკანოვი. მას ჩანაწერების გაკეთება არ უყვარს, არადა, ეს ხომ დღეს მუსიკალური კარიერის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ელისო ფიქრობს, რომ ჩაწერილი მუსიკა თითქოს ქარხნული წესით დამზადებულს ემსგავსება. ელისო ვირსალაძე სერიოზულადაა შეშფოთებული იმით, რომ თანამედროვე ახალგაზრდა შემსრულებლები ზოგჯერ ფირფიტებს ჰგვანან.

ცნობილი პიანისტი ერთ სეზონზე 40-ზე მეტ კონცერტს არ მართავს, მსმენელს კი განუმარტავს, რომ თუ უფრო ხშირად დაუკრავს, მანქანას დაემსგავსება.

დღეს მუსიკოსებს არ ულხინთ, რუსეთში კონკურსების ლაურეატებსაც კი აღარა აქვთ პრივილეგიები. ამიტომაც ელისო ვირსალაძეს არც თანამედროვე მუსიკოსთა პრაგმატულობა უკვირს, მაგრამ ისიც კარგად ესმის, რომ ეს ყველაფერი მუსიკას აღარიბებს.

"ძალიან ძნელია რაღაცეებზე უარის თქმა, მაგრამ, როგორც ხელოვანი, მხოლოდ მაშინ გადარჩები, როცა შენს საქმეზე უსაზღვროდ ხარ შეყვარებული", - ამბობს პიანისტი.

გასაკვირი არცაა, რომ ესოდენ პრინციპული და თავისი საქმის უსაზღვროდ მოყვარული ელისო



*ელისო ვირსალაძე თავის მოსწავლეებთან - მარია მასიჩევასთან და იაკობ კაცნელსონთან ერთად*

ვირსალაძე ვერც ჩაიკოვსკის საერთაშორისო კონკურსის შედეგებს შეეგუა და წელს საანგარიშო დოკუმენტის ხელმოწერაზე უარიც კი განაცხადა. ჩაიკოვსკის კონკურსი ხომ, როგორც ამბობენ, უკვე კარგა ხანია წინასწარი სცენარის მიხედვით იგეგმება: ფინალში ძლიერნი არ დაიშვებიან, მხოლოდ ის ხალხი გადის, ვინც ჟიურის აწყობს. "შესაძლოა, ჩემი გადაწყვეტილება სასაცილოდაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ არ ძალმიძს ხელი მოვაწერო იმას, რასაც ბოლომდე არ ვეთანხმები," – დაუფარავად განუცხადა გაზეთ "იზვესტიას" ჟურნალისტს ელისო ვირსალაძემ.

ქართველი პიანისტი, შეიძლება ითქვას, ერთადერთი მუსიკოსია ხსენებული კონკურსის ჟიურის წევრებს შორის, რომელსაც გულწრფელად აწუხებს ნიჭიერი ახალგაზრდების ბედი და კიდევ ის, რომ ფინალში ნამდვილი ტალანტი არ გამოვლენილა. "მუსიკოსი მარტო კეთილსინდისიერი მოსწავლე არ უნდა იყოს, არ შეიძლება პრემია მარტო იმის გამო მიანიჭო, რომ ახალგაზრდა, ასე თუ ისე, სუფთად იღებს ნოტებს და ორკესტრთან მუშაობის გამოცდილება აქვს." ამ შემთხვევაში ელისო ვირსალაძე კონკურსის გამარჯვებულ იაპონელ პიანისტს გულისხმობს და მიიჩნევს, რომ პირველი პრემია საერთოდ არ უნდა გაცემულიყო.

ე.წ. "ძველი სტილის" მუსიკოსი, მართალია, არ ეთანხმება გარკვეულ წრეებში გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რუსული საშემსრულებლო სკოლის დონე საგრძნობლად დაქვეითდა, მაგრამ შეშფოთებულია იმით, რომ რუსულ მუსიკალურ საზოგადოებაში ძველი ცრურწმენები ისევ ცოცხლობს. მაგალითად, უცხოელ მონაწილეებთან დამოკიდებულება საბჭოური პერიოდის მერე თითქმის არ შეცვლილა. ამას დიმიტრი ბაშკიროვის ჟიურის წევრად მოწვევა და მერე რაღაც აბსურდული მიზეზის გამო ამ გადაწყვეტილების შეცვლაც მოწმობს.

ეს ყველაფერი მუსიკალური კულტურის საზიანოდ რომ არ ხდებოდეს, უბრალოდ, სასაცილო იქნებოდა.

12 ივლისს ელისო ვირსალაძე ნიუპორტის მუსიკის ფესტივალზე შუმანით გახსნის გალა კონცერტს. როგორც გაირკვა, ფესტივალის აღმასრულებელ დირექტორს, მარკ მალკოვიჩ III-ს 70-იანი წლებიდან მოყოლებული სურდა ვირსალაძის ამ ფესტივალზე დაპატიჟება, მაგრამ აშშ-საბჭოთა კავშირის დაძაბული ურთიერთობების პირობებში ეს ვერ მოხერხდებოდა. წლეულს მალკოვიჩს დიდი ხნის ოცნება აუსრულდა. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია ჩვენს საყვარელ პიანისტს დიდი წარმატება ვუსურვოთ.

# რა სარგებლობა მოაქვს ნარჩენებს

## სალონში ნანა და ლეილა გოგიბერიძეების გამოფენა გაიხსნა

თამარ მურვანიძე

როგორ უნდა შექმნა ხელოვნების ნიმუში ნარჩენებისგან და, საერთოდ, რა სარგებლობა მოაქვს ნარჩენებს? ხელოვნურ ნარჩენებს ვგულისხმობ, თორემ ბუნებრივი ნარჩენები რომ მცენარეთა მასაზრდოებელ ნეშომპალად იქცევა, ეს ხომ ყველამ კარგად იცის. თურმე, იმ ხელოვნური ნარჩენებისგანაც კი, რომლებიც გარემოს აბინძურებს და რომელთა გაუვნებელყოფა ეკოლოგიური სამსახურების დიდი ფიქრის საგანს წარმოადგენს, შეიძლება შექმნა რაღაც ღირებული, ისეთი, რაც ადამიანის ესთეტურ და ყოფით მოთხოვნილებებსაც დააკმაყოფილებს. დღეს გამოუსადეგარი ნაგლეჯების, ნაკუწებისა თუ სხვა წვრილმანებისაგან ინსტალაციებისა თუ კომპოზიციების დამზადება, შეიძლება ითქვას, მოდაშიც კი შემოვიდა. არცაა გასაკვირი. ამისათვის ხომ არ არის საჭირო ძვირადღირებული მასალა, მთავარია, გქონდეს სურვილი, დიდი ფანტაზია, კიდევ უფრო მეტი ნიჭი და, რა თქმა უნდა, ხელმარჯვეც უნდა იყო...

ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე ხუთსართულიანი სახლის პირველ სართულზე მოთავსებული პატარა საგამოფენო დარბაზის არსებობის შესახებ თბილისში ბევრმა არ იცის. არადა, ეს სალონი, აგერ უკვე რამდენიმე წელია, გაიხსნა და დროდადრო საკმაოდ საინტერესო გამოფენებს სთავაზობს სტუმრებს. გუშინ ამ მყუდრო სალონში თავისი მასპინძლების, დების ნანა და ლეილა გოგიბერიძეების ნამუშევრები გამოიფინა. სალონში წარმოდგენილი ფერადოვანი კომპოზიციები, ღამისნათურები, ყურძნის მარცვლებით, ყვავილებითა და ფოთლებით მორთული კალათები, ლითონის ბადისაგან დამზადებული ჩარჩოები, სარკეები ნამდვილად დაამშვენებდა ნებისმიერ ინტერიერს – კლასიკურსაც და თანამედროვესაც. მთავარია, სახლისა თუ სამუშაო კაბინეტის მორთულობა გემოვნებით შეარჩიო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დამთვალიერებელს ნამუშევრების შეძენაც შეუძლია.

დები – ნანა და ლეილა გოგიბერიძეები მხატვრები არ არიან. ქალბატონი ნანა მუსიკოსია, ქალბატონი ლეილა - ინგლისური ენის სპეციალისტი. სხვადასხვა სახის ნარჩენებისა და ხმელი ფოთლებისა თუ ტოტებისაგან კომპოზიციების შექმნა, ხელნაკეთის ნივთების დამზადება მათ ბავშვობიდან იტაცებდა, როგორც თვითონ ამბობენ, შინაგანად ჰქონდათ ამის მოთხოვნილება და თანდათანობით ბავშვური გატაცება სერიოზულ ინტერესში გადაიზარდა.

ნანა გოგიბერიძისთვის ეს პირველი გამოფენა არ არის, მას თავის მეგობართან ერთად სხვა გამოფენებიც ჰქონია, მისმა დამ კი თავისი ნამუშევრები პირველად გამოიტანა მნახველის წინაშე. როგორც ქალბატონმა ნანამ გვითხრა, ლეილას აფიშირება არ უყვარს. ამიტომ ეს გამოფენაც, რომელიც ნანა და ლეილა გოგიბერიძეების რამდენიმე თვის წინ გარდაცვლილი დის ხსოვნას ეძღვნება, ყოველგვარი ზედმეტი ცერემონიების გარეშე გაიხსნა, მის ორგანიზატორებს არც აფიშები დაუმზადებიათ და არც მოსაწვევები დაურიგებიათ, სალონში ძირითადად ნაცნობ-მეგობრები მოიწვიეს, მაგრამ აქ მაინც ბევრი ხალხი შეგროვდა. სტუმრებს შორის მრავლად იყვნენ საღამოობით ვაკის ქუჩებში მოსეირნენიც, რომლებმაც თავიდან უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო შეიჭყიტეს ხალხით გავსებულ სალონში, ემანდ არაფერი გამოგვეპაროსო და არც უნანიათ.

მასალა, რომელიც დებმა თავიანთი ნამუშევრების დასამზადებლად აირჩიეს, საკმაოდ მრავალფეროვანია. ზოგი მასალა ხელოვნურია (ლითონი, მძივები...), მაგრამ, როგორც მასპინძლებმა გაგვიმხილეს, ძირითადად მაინც ტყეში მოპოვებულ ბუნებრივ ნარჩენებს იყენებენ, ყვავილებს, ხის ტოტებს, მცენარეთა ნაყოფებს, ნიჟარებსაც, მოკლედ, ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებათ და რასაც შეაგროვებენ, საგულდაგულოდ ამუშავებენ და კომპოზიციებიც იქმნება. ამისათვის მათ საკუთარი გასაიდუმლოებული ტექნოლოგია აქვთ. ყველაზე საოცარი ის არის, რომ მათ კომპოზიციებში ძნელად თუ გაარჩევ ერთმანეთისაგან ხელოვნურსა და ბუნებრივს. ბევრმა დამთვალიერებელმა ხელითაც კი მოსინჯა ქოთნებში ჩალაგებული მოცვი თუ სხვა კენკროვანები, ამაში რომ დარწმუნებულიყო.

სტუმრების პირველი შთაბეჭდილება, რომელიც დამთვალიერებელს ამ ნამუშევრების ნახვისას გაუჩნდება, აღფრთოვანებაა (ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე). სალონში წარმოდგენილი ნაკეთობებით აღტაცებულნი დარჩნენ ისინიც კი, ვისაც ხელოვნური ყვავილები არასოდეს ჰყვარებია.

გამოფენა ფალიაშვილის 84ა-ში ერთ კვირას გასტანს.

# დავით ოქიტაშვილმა აჭარელ კოლეგებს იდეა შესთავაზა

## შეხვედრა აჭარის წარმომადგენლობაში

ნანა ბასილაშვილი

ქართულ შოუ-ბიზნესში, შესაძლოა, ახალი სკანდალი აგორდეს. მომავალი წლიდან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გამართული ყველა კონცერტი თუ სანახაობა აჭარის კულტურის სამინისტროში ე.წ. ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე გაიმართება. ამ იდეის ავტორი დავით ოქიტაშვილი გახლავთ.

ოთხშაბათს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობაში მორიგი შეხვედრა გაიმართა.საუბარი უკანასკნელი 7-8 წლის განმავლობაში აჭარის კულტურის ცხოვრებას და მასთან დაკავშირებულ პრობლემას ეხებოდა. თბილისსა და ბათუმს შორის კულტურული პროგრამების სამომავლოდ განვითარების შესახებ პარლამენტის წევრმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა (წარმომადგენლობის მუდმივმა მასპინძელმა), თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა დავით ოქიტაშვილმა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილემ ამირან კიღურაძემ ისაუბრეს. "ზოგიერთ ჩვენს პოპულარულ მომღერალს ბათუმსა და ქობულეთში კონცერტის გამართვა მხოლოდ ზაფხულში ახსენდება. ეს საკითხი სერიოზულადაა განსახილველი", - აღნიშნა დავით ოქიტაშვილმა. ზემოთ აღნიშნული სამსახურები ახლა სწორედ ამ საკითხით არიან დაკავებულნი.

თბილისის პოპულარული ესტრადა ზაფხულობით დასასვენებლად გამგზავრებულ თავიანთ ფანებს თან მიჰყვებიან და კონცერტებს იქ უმართავენ ხოლმე, ამიტომაც აჭარის სტუმრები "ცოცხალი" მუსიკის ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივიან. თბილისისა და აჭარის კულტურის სამსახურებმა გადაწყვიტეს სწორედ ამ კონცერტების გემოვნებიანობაზე, ხარისხსა და ორგანიზებულობაზე იზრუნონ. "ჩვენთან უამრავი უცხოელი ტურისტიც ისვენებს, იქ გამართული სპონტანური კონცერტები ქართული კულტურის ერთგვარ სახეს ქმნის. ჩვენი სურვილია ყველაფერი გაცილებით ორგანიზებულად გაკეთდეს. თბილისსა და ბათუმს შორის ამ მხრივ რაღაც ფორმები უნდა გამოიძებნოს", - აღნიშნა ამირან კიღურაძემ. როგორც ჩანს, ეს ფორმები უკვე გამოიძებნა. მომავალი წლიდან აჭარაში კონცერტის, გამოფენის, თეატრალური სანახაობისა, თუ სხვა ღონისძიების გამართვის მსურველები თავიანთი გადაწყვეტილებების შესახებ თბილისში კულტურის სამმართველოს სამსახურს, აჭარის წარმომადგენლობას და ბათუმში კულტურის სამინისტროს შეუთანხმებენ. ოღონდ, მათი თქმით, ეს იქნება ზეპირი შეთანხმება ყველანაირი ლიცენზიების, სანქციებისა და ხელშეკრულებების გარეშე. "წინააღმდეგი ვარ მონოპოლიზაციისა, არავინ არავის არ შეზღუდავს, არანაირი ცენტრალიზებული სისტემა არ შეიქმნება. ასე, უბრალოდ მივაღწევთ იმას, რომ აღმოვფხვრით თვითნებურ გასტროლებს", - განაცხადა დავით ოქიტაშვილმა.

ჰამლეტ ჭიპაშვილმა და აჭარის კულტურის მინისტრის მოადგილემ ბათუმის კულტურული ცხოვრების წინსვლაზე და ამ სფეროში სხვადასხვა მიღწევებზე ისაუბრეს. უახლოეს მომავალში ბათუმის ბავშვთა ოპერისა და ბალეტის თეატრი, მოსკოვში წარმატებული გასტროლების შემდეგ, იტალიაში მიემგზავრება. ორასკაციანი ჯგუფი (მათი გამგზავრებისათვის საჭირო ყველა ხარჯს აჭარის ხელისუფლება თავის თავზე იღებს) იტალიაში რამდენიმე სპექტაკლს წარმოადგენს. ამირან კიღურაძემ თბილისელ საზოგადოებას, აგრეთვე, ამცნო იმის შესახებაც, რომ ბათუმში სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი შეიქმნა. შეხვედრას ესწრებოდნენ ბათუმის თოჯინების თეატრის დირექტორი არჩილ მამულაძე და ამავე თეატრის რეჟისორი, რევაზ ბაინაბიშვილი. მათი უშუალო დახმარებით თურქეთის ქალაქ ორდუსის თოჯინების თეატრში სპექტაკლი "პეპი გრძელი წინდა" დაიდგა.




სატელეფონო კავშირი
8-07
www.online.ge

## ორშაბათი 8.07

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა. 07.30 ფიფქია. 08.00 60 წუთი. ჩვენი ეზო. 08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით". 09.50 ველური ბუნება. 10.40 გრენდაიზერი. 11.10 სერიალი "ოცნების კოშკები". 12.00, 15.00 კურიერი. 12.15 მულტსერიალი . 13.30 მხ. ფილმი . 15.20 მხ.ფილმი. 17.05 ლუისი და კლარკი. 18.00, 21.00, 02.00 კურიერი. 18.20 გრენდაიზერი. 18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები". 19.15 სასამართლო დარბაზი. 19.50 სერიალი "ოცნების კოშკები". 22.00 "კომუნიკატორი". 22.50 კურიერი. 00.05 მხ.ფილმი "ლარა კროფტი - სამარხების მძარცველი" მთ.როლებში: ანჯელინა ჯოლი, დენიელ კრეიგი

### პირველი არხი

07.30 ალიონი. 17.15 50/50 . 18.00 "ვესტნიკი". 18.20 სერიალი "გოგონები ქარში". 19.00 ვიდეოპატრული. 19.10 ენერგია. 19.40 ბასტი-ბუბუ. 20.00, 22.50 მოამბე. 20.55 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი". 21.45 "ვარსკვლავები" - მ.ქერი. 23.35 სერიალი "ძილის წინ". 23.55 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე". 00.15 ქართ. ფილმი "მაცი ხვიტია"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე. 19.10 იყო და არა იყო რა. 19.30 მხ. ფილმი "სკარლეტი" . 20.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის". 22.10 მხ. ფილმი "სამი მუშკეტერი" 1-ლი ნაწილი

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი". 10.15 მულტფილმი "დიდი გამომძიებელი". 11.45 მუსიკალური კოლაჟი. 12.30 ვარსკვლავები გვაცნობენ. 13.30 ექიმი გვირჩევს. 14.30 დოკ. ფილმი "თანამედროვე ევროპა". 15.20 კომპიუტერის შემსწავლელთა კურსები. 18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი. 19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი. 19.30 ექსტრაორდინალური. 20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი. 20.40 პირველი ნაბიჯები. 21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები. მარიკა ხიდურელის საავტორო გადაცემა. 22.30, 00.15 ინდური კინოს მოყვარულებს. მხ. ფილმი

### იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია. 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი. 08.15, 20.15 აღსავალი. 08.20, 10.05, 12.00, 20.20, 21.50, 23.55 მუსიკა. 08.25 მხ.ფ. "ღამის მოჩვენებანი". 10.15 მხ.ფ. "სახიფათო სიმართლე". 20.25 მხ.ფ. "პარტნიორები" . 22.00 მხ.ფ. "ბედის ბორბალი"

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა". 08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა". 11.00 "მო" განმეორებით. 13.00 ინფორმატორი. 13.35 სარეკლამო ათეული. 15.00 მხ.ფილმი. 17.30 "სწ.მედია" მხ.ფ. "ბუნების ძალები". 19.00 მუსიკა. 20.00 ჩაძიროგანა. 22.00 ევროპული ათეული. 23.00 უცნობი. 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "სიყვარული მდელოებზე". მთ. როლში მიშელ სერო. 01.45 "ღამურა" მხ.ფ. "ქვეყნიერების აღსასრული" მთ. როლებში: არნოლდ შვარცნეგერი, გაბრიელ ბირნი. 03.20 ნონ-სტოპი.

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "ფლაგერი" . 13.30 მხ.ფ. "ქვის რომანი". 15.10 მხ.ფ. "ნილოსის მარგალიტი". 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს". 17.15 მხ.ფ. "რაზმი "ზღვის კატები". 19.20 სპექტრი. 21.00 სერიალი "ჩრდილოეთი სამხრეთი". 21.50 მხ.ფ. "დროის პატრული"

### მეცხრე არხი

12.00 ინდ. მხ.ფილმი . 14.30 მხ.ფ. "ადამიანი რკინის ნიღაბში". 16.40 მხ.ფ. "იურული პერიოდის პარკი 2" . 18.50 მხ.ფ. "პრეზიდენტის თვითმფრინავი" . 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს". 21.00 მხ.ფ. "ჩლუნგი და უჩლუნგესი". 22.30 მხ.ფ. "უკანასკნელი მოჰიკანი". 00.20 მხ.ფ. "ინტერვიუ ვამპირთან"

### მეცხრე არხი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები". 09.20, 12.20, 20.50, 22.00, 23.45 მუსიკა. 09.35 მულტფილმი "აბა დამაცადე". 10.00, 15.00 "დილა". 11.20, 14.05, 18.05 დისქავერი . 12.30 გადაცემა "საუბრები სტუდიაში". 13.20 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური". 16.20 მხ.ფილმი "სინბადი და ვეფხვის თვალი" მთ. როლში პატრიკ ვეინი. 19.00 მაცაცერა. 19.10 მულტფილმი "აბა დამაცადე". 19.30 მსოფლიო ფეხბურთი. 20.00 სად? რა? როდის?. 21.10 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური". 22.10 მხ.ფ. "იდეალური სასიძოები". მთ. როლებში კეტი ბეიკერი, რაინ სილვერი. 00.05 მხ.ფ. "თავისუფლების მწვერვალები". მთ. როლებში ედრინ ბრუდი, ბენფოტესი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი. 09.30 "Улово". 10.00 სათავგადასავლო ფილმი "ჯორჯის კუნძული". 11.25 "პერსონა". 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება. 12.15 "ყველანი ვართ პატარები". 12.25 კომედია "ძუნწი". 14.00 თრილერი "ტურბულენტობა". 16.15 მულტფილმი "ველური გედები". 17.10 კომედია "ტრაგიკული ფანტოცი". 19.20 სათავგადასავლო ფილმი "ადამიანი რკინის ნიღაბით". 21.25 დოკუმენტური ფილმი. 22.30, 00.20 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი". 22.50 დოკუმენტური ფილმი . 00.50 მელოდრამა "ლოლიტა". 03.30 მხატვრული ფილმი "იმედის გაელვება"

### VII არხი

18.00, 19.50,22.30,01,55 ანონსი. 18.05,21.50 ამინდის პროგნოზი. 18.15 მუსიკალური ტაიმაუტი. 18.30 "სახლიდან გაუსვლელად". 19.00 "აჩიკუდა". 19.45 "ლა-ლა-ლა". 20.20 "საყვარელი ფილმი" - "ჟანდარმი სენ ტროპედან" საფრანგეთი. 1995 წელი. კომედია. რეჟისორი - ჟან გიურო. როლებში: ლუი დე ფიუნესი, მიშელ გალაბრიუ. 22.00 "ავტოტრეკინგი". 22.55 "სახლიდან გაუსვლელად". 23.25 მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. "ეს მე არა ვარ, ის არის" საფრანგეთი. 1979 წელი. კომედია. რეჟისორი - პიერ რიშარი. როლებში: პიერ რიშარი, ვალერი მერესი.. 00.55 "სახლიდან გაუსვლელად". 01.40 მუსიკალური ტაიმაუტი. 02.15 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.45 х.ф. "ТЕТЯ МАРУСЯ" 2-я серия. 09.00, 11.00, 15.00 Новости. . 09.10 Армейский магазин. 09.40, 14.30 Дисней-клуб. 10.05 сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО". 11.10 "Непутевые заметки". 11.30 Пока все дома.. 12.05 Док. фильм. 12.35 х.ф. "ЛЮБОВЬ ПО ЗАКАЗУ". 14.15 "ЕРАЛАШ". 15.10 Живая природа. 16.10 "Большие радители". 16.40 Сами с усами. 17.10 х.ф. БЕГЛЕЦ". 18.05 "ВЫСТРЕЛ В СПИНУ". 19.50 х.ф. "АБСОЛЮТНАЯ ВЛАСТЬ". 22.00 Времена. 23.05 х.ф. "ГОЛЫЙ ПИСТОЛЕТ 33 1/3". 00.35 «На футболе» с Виктором Гусевым. 01.25 х.ф. "БЕГИ"

### РТР

07.20 Фильм "ДОДУМАЛЬСЯБ ПОЗДРАВЛЯЮ!". 08.40 "Верните рекса". 08.55 "ПОВЕЛИТЕЛЬ ЗВЕРЕЙ". 09.50 Русское лото. 10.40 "ТВ-Бинго шоу". 11.10 "КОРОЛЕВА КРАСОТЫ ИЛИ ОЧЕНЬ ТРУДНОЕ ДЕТСТВО". 11.40 Сам себе режиссер. 12.35 "Городок". 13.05 х.ф. "КУРЬЕР". 15.00 Вести. . 15.20 Вокруг света. 16.10 Диалоги о животных. 17.15 "Ха". 17.25 "ВСТРЕТИМСЯ НА ТАИТИ". 19.00 "БАДДИ". 21.00 Вести недели. . 21.55 Аншлаг. 23.00 х.ф. "ПАЛЬМЕТТО" . 01.15 Спорт за неделю. 02.15 "Твин-пикс"

### НТВ

07.05 Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО" . 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня.. 09.15 фильм "ПЯТНАДЦАТИЛЕТНИЙ КАПИТАН". 10.30 На старт!. 11.20 х.ф. "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 12.25 "Растительная жизнь". 13.25 фильм "ПОЕЗД ВНЕ РАСПИСАНИЯ". 15.05 Вкусные истории.. 15.25 Все сразу!. 16.00 Своя игра.. 17.25 Ток-шоу "Принцип "Домино". 18.30 Очная ставка. 19.00 Шоу Елены Степаненко.. 20.30 фильм "ИДЕАЛЬНАЯ ПАРА". 21.40 фильм "КИКБОКСЕР-3". 23.35 Что? Где? Когда?. 01.00 Фильм "ЧЕЛОВЕК ИЗ ПЕПЛА". 01.55 Пепси-чарт.

# როგორი ბაღი მოსწონდა კურდღელ პიტერს

## ყვავილების მსოფლიო დონის შოუ პიკს აღწევს

თამარ ბაბუაძე

ოზონის ხვრელის გაფართოება, გრენლანდიის დადნობა, "ელ ნინიოს" შტორმი და, საერთოდ, ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხე არაფერ შუაშია. უკვე 13 წელია ბრიტანეთი და კერძოდ, ჰემპტონ კორტი ყოველ ზაფხულს ულამაზესი ყვავილებით, ტკბება – ისე, უბრალოდ, მცენარეების და სიმწვანის სიყვარულით.

ჰემპტონ კორტის შოუ მსოფლიოს მებაღეობაში უდიდესი მოვლენაა. ამ ერთკვირიან ღონისძიებაზე, როცა ზაფხულს მთელი ძალები უკვე მოკრებილი აქვს, მებაღეობის "აკადემიური" წლის შუა ხანს აღნიშნავენ და ცნობისმოყვარე დამთვალიერებლებისა და ექსპერტებისთვის ახალ, ლამაზ და უცხო მცენარეებს წარმოადგენენ.

წელს, ეს ყველაზე "მწვანე", ყველაზე მშვიდობიანი და ყველაზე ლამაზი აქცია 2 ივლისს გაიხსნა და 7 ივლისს იხურება. ძნელი სათქმელია, ესეც ფეხბურთის ჩემპიონატის ბრალია, თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ჰემპტონ კორტის წლევანდელ გამოფენას მთლიანად იაპონური თემატიკა განსაზღვრავს – ბაღში სამურაები დასეირნობენ, ისმის იაპონური მუსიკა, გეიშები იაპონური ჩაის ცერემონიას მასპინძლობენ. დამთვალიერებელი კი მართლაც ბევრია. პრინცი უილიამის ჩათვლით, ყველას სურს, ეგზოტიკურად მორთული ბაღების სილამაზით ყოველდღიურობა დაივიწყოს. და, რაც მთავარია, ჰემპტონ კორტში ბაღების ყოველწლიურ მოდას აყოლილი ცნობისმოყვარეები იკრიბებიან. იქ ხომ ბაღის წლის ტენდენციები და სტილი იკვეთება. და მდიდარი ბრიტანელებიც, რომელთაც ეზოებისა და ვერანდების განახლება-გალამაზება სურთ, კონსულტაციებს ყვავილების მოდის (ასეთი ფენომენიც არსებობს) ექსპერტებისგან სიამოვნებით იღებენ. სანამ 2002 წლის ჰიტებს გადავხედავდეთ, თავად ჰემპტონ კორტზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

ამ სასახლეს მებაღეობის კულტურის დიდი ისტორია თავად აქვს. ამიტომ "მწვანე" შოუს გასამართად ის ყველაზე შესაფერისი ადგილია. საუკუნეების განმავლობაში ბრიტანელმა მონარქებმა იქ სხვადასხვა სახის ბაღები შექმნეს, მათ შორის, ჰენრი მერვემ, უილიამ მესამემ, მერი მეორემ და დედოფალმა ვიქტორიამ. შედეგად, სასახლეს გარშემო ულამაზესი ბაღები აკრავს, ნახევარ მილზე გადაჭიმული ყვავილების ლაბირინთით. იქვეა Great Vine (დიდი ვენახი) – ყველაზე დიდი და ძველი, რომელიც ოთხი ორანჟერეისგან შედგება.

ანუ, ჰემპტონ კორტზე გარემო ისეთია, ყვავილებს ჭეშმარიტად რომ ეკადრებათ. წელს იქ ოცი ათასამდე ცალ-ცალკე შოუ ეწყობა. მცენარეების ყიდვის გარდა, დამთვალიერებლები 15 ათასამდე სენდვიჩს ანადგურებენ, ზედ 7 ათასამდე ნაღებიან ჩაის და 3 ათასამდე ბოთლ შამპანურს აყოლებენ. სპეციალურად ღონისძიებისთვის, გალიებში კეტავენ ბაღის ბინადრებს – ირმებს, რომლებიც წლის დანარჩენ დროს ჰემპტონ კორტზე თავისუფლად დასეირნობენ. ახლა კი თქვენს წინაშეა, 2002 წლის მებაღეობის მოდური ტენდენციები, დავარქვათ ასე – მცენარეების Haute Couture-ებისგან.

პირველად ანტონიო გაუდის ბაღში შევისეირნოთ (რიჩმონდის კოლეჯის დიზაინერ მოია დრამონდის ქმნილება). როგორც უკვე მიხვდით, ის ბრწყინვალე ესპანელი არქიტექტორის ნამუშევრებით არის შთაგონებული და გაუდის დაბადებიდან 150 წლისთავის იუბილესთვის შეიქმნა. ამიტომ ბაღში ფერადი შუშა, კერამიკა, მოზაიკა, ხვიარა ყვავილები ჭარბობს, იქვეა ციტრუსის, ზეთისხილის ხეები და დიდფოთლება პალმები – ანუ აქ არის ყველაფერი, რათა თავი ესპანურ ვილაში იგრძნოთ, სადმე ბარსელონასთან ახლოს.

ალბათ, გახსოვთ დიდყურება კურდღელი პიტერი, რომელიც ლამაზბაღიან პატარა სახლში ცხოვრობდა. წელს ის ასი წლის გახდა. ჰემპტონ კორტზე წარმოდგენილი ბაღი კი მცენარეებით, ბოსტნეულით და წიგნის ილუსტრაციების რეალობაში გადმოტანით სწორედ კურდღელ პიტერის ზღაპარს ჰყვება (საუბარია ბეატრის პოტერის წიგნისთვის დახატულ ილუსტრაციებზე). ანუ პიტერის ბაღში პატარა ხის სახლია ჩადგმული, ზღურბლთან ჭუჭყიანი ბოტები ყრია, იქვე ხის ურიკაა მიყუდებული, ბოსტნეულის და ყვავილების რიგებს შორის წვრილი ბილიკია გაყვანილი, რა თქმა უნდა, იქვეა პატარა გუბურაც. ანუ, შექმნილია ზუსტად ისეთი სიტუაცია კურდღელი პიტერი დიდი სიამოვნებით რომ იცხოვრებდა.

პიტერის შემდეგ მცენარეების მოყვარულ, მაგრამ პატარა ეზოს მფლობელ წყვილებს მივხედოთ. ასეთ ოჯახებს მყუდრო და თან მოდური ბაღის მშვენიერ მოდელს სთავაზობს დიზაინერი კარენ პასი. ამ ბაღის ღობე ქვით ნაშენი და მკვეთრი ვარდისფერია (შეგიძლიათ, რომელიმე სხვა მყვირალა, მაგრამ სასიამოვნო ფერი გამოიყენოთ) კედლებს გასწვრივ ყვავილების ზოლი გაჰვება, მიწა მოკირწყლულია, შუაგულში ფართოფოთლებიანი მცენარე დგას, კუთხეში კი – წყლის მცენარეებით გალამაზებული გუბურა. შეზლონგებსა და ყვავილებს შორის ბილიკს სურნელოვანი სანთლები ალამაზებს...

მას კი, ვისაც დიდი ეზო აქვთ და თან თანამედროვე სტილს ანიჭებს უპირატესობას, დიზაინერ ჯეინ მუნის ბაღში გასეირნება მოუნდებათ. ის მთლიანად ოჯახურ გარემოზეა გათვლილი და ცდილობს, ყველას დაანახოს, თუ როგორ შეიძლება ცხოვრების თანამედროვე სტილმა ბაღშიც იჩინოს თავი. ამ მიზნის განსახორციელებლად, ეზო სახლის პრინციპით არის მოწყობილი – დაყოფილია პასტელის ფერის კედლებით, რომელზეც ხვიარა მცენარეები იზრდება, მოწყობილია მეტალის ბოძებისა და ფერადი შუშებისგან დამზადებული ღია ოთახებიც, სადაც ასევე მეტალის სკამები და მაგიდა დგას, მწვანე, თმაშეკრეჭილ მინდორს ქვის დიდი ფილები ცვლის...

საინტერესოა ნატურალური აბსტრაქციის და ვასილი კანდინსკის ნამუშევრების შთაგონებით შექმნილი ბაღიც. კანდინსკის ნახატები, ძირითადად, ფერითა და ფორმით საუბრობენ. სწორედ ეს დეტალებია გამოყოფილი ამ ბაღშიც. იქ თეთრი ქვისგან გამოთლილი, მარტივი გეომეტრიული ფიგურები ჭარბობს. იქვეა მცენარეების ულამაზესი ფერები, თეთრი კედლები...

როგორც უკვე გითხარით, ჰემპტონ კორტზე 20 ათასამდე ასეთი ბაღია წარმოდგენილი. თითოეული მათგანის მიმოხილვა შეუძლებელია. თუმცა, ცხადია, რომ 2002 წელს მებაღეობის მოდას სამი ძირითადი შტრიხი განსაზღვრავს: ქვის ფორმები, ბუნებრიობა და ველური მცენარეები. ამ სიმწვანით ჰემპტონ კორტის სტუმრები კიდევ ორ დღეს დატკბებიან. შემდეგ კი, ალბათ, ეკოლოგიური პრობლემებიც გაახსენდებათ და ოზონის ხვრელიც...



ფოტომოდელები ბაღების ფესტივალზე
REUTERS



ჩელსის ბაღები
REUTERS

### ამბები

## ქართველი გოგონა ლას-ვეგასში სილამაზის კონკურსში მიიღებს მონაწილეობას

**მედია-ნიუსი.** თოთხმეტი წლის სოფიკო აბდუშელიშვილი ლას-ვეგასის საერთაშორისო სილამაზის ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. საერთაშორისო სილამაზის ფესტივალი „პატარა მის ინტერნაციონალი" ლას-ვეგასში ყოველწლიურად იმართება და მასში 3-დან 17 წლამდე ასაკის გოგონები მონაწილეობენ. როგორც საერთაშორისო კონკურსების კოორდინატორმა საქართველოში მაია თავაძემ განაცხადა, კონკურსზე მონაწილის მხოლოდ გარეგნული მონაცემები არ ფასდება; მათ ე.წ. საშინაო დავალებების შესრულებაც ევალებათ. მონაწილეებმა თავი ცეკვაში და სიმღერაშიც უნდა გამოიჩინონ.

სოფიკო აბდუშელიშვილისთვის ეს კონკურსი პირველი არ არის. მან 2000 წელს უკრაინაში გამართულ სილამაზის საერთაშორისო კონკურსში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა ნომინაციაში - საუკეთესო ტოპმოდელი. მაია თავაძის თქმით, თუ ქართველი კონკურსანტი პირველ სამეულში მოხვდება, მასთან ფესტივალის ორგანიზატორები ას ან ორასიათასდოლარიან კონტრაქტს გააფორმებენ, რის შედეგადაც ის ამერიკის სამოდელო სკოლაში ჩაირიცხება. ათეულში მოხვედრის შემთხვევაში კი, სოფიკო აბდუშელიშვილი საქართველოში დაბრუნდება და მას ყოველთვიურად გადაეცემა სტიპენდია 1.500 დოლარის ოდენობით.

სოფიკო აბდუშელიშვილს კონკურსში მონაწილეობა ამერიკელმა პროდიუსერმა ჩარლი სიმ ურჩია, მან ქართველი გოგონა უკრაინაში ყოფნისას გაიცნო და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. სილამაზის ფესტივალი ლას-ვეგასში 19 ივლისს დაიწყება და 28 ივლისამდე გასტანს. კონკურსის ჟიური 20 კაცისაგან შედგება, ჟიურის ერთ-ერთი წევრი მაია თავაძეა.

## „ქართული„ შნიტკე

სამმა ახალგაზრდა ქართველმა ხელოვანმა, რომელიც ამჟამად ესლინგენში ცხოვრობს, ტრიო "დაფიონი" შექმნა და მადრიდში კონკურსის წარმატებით გავლის შემდეგ გერმანული პუბლიკის წინაშე წარდგა. პროგრამა თავისთავად საინტერესოა – ჰაიდნი, ბრამსი, შნიტკე...

ჰოფში გამართული კონცერტის გაშუქებისას გერმანული პრესა განსაკუთრებით აღნიშნავს ალფრედ შნიტკეს ნაწარმოებს. ის ეძღვნება ექიმს, რომელმაც ორჯერ გადაარჩინა. გერმანელი მუსიკათმცოდნეების აზრით, "დაფიონის" მიერ შესრულებული შნიტკე "ბრწყინვალე და სულის შემძვრელი" იყო. "პიანისტმა რუსუდან მეიფარიანმა, ჩელისტმა გიგა ხელაიამ და მევიოლინე ნატო მეიფარიანმა იდუმალი, სასოწარკვეთილი და მაინც უმშვენიერესი მუსიკა გვაჩუქეს."

## UNESCO-ს სიახლეები

მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხას ცხრა ძეგლი შეემატა. მათ შორის, პირველად ავღანეთის ისტორიაში - 65 მეტრიანი ჯამის მინარეთი.

მინარეთი აშენდა 1194 წელს, გჰურიდების დინასტიის ბატონობის დროს. მცენარეული მოტივებით მორთული და წარწერებით დაფარული მინარეთი აღმოსავლეთში მრავალი სხვა მუსულმანური საკულტო ნაგებობისათვის ნიმუშად იქცა.

გერმანიამ წელს ორი ადგილის საერთაშორისო აღიარება შეძლო: ლორელაის კლდე მდინარე რაინთან, ჰაინრიხ ჰაინესა და რიხარდ ვაგნერის შთაგონების საგანი, და ქალაქები შტრალსუნდი და ვისმარი, მე-14 საუკუნის ქალაქების გაერთიანების საუკეთესო ნიმუში. დაცული მემკვიდრეობის სიას შეემატა, ასევე, წმინდა ეკატერინეს ტაძარი ეგვიპტეში, უნგრეთის ღვინის რეგიონი ტოკაიერი, მაჰაბოდჰის ტაძარი ინდოეთში, ბაროკოს არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშები სიცილიაში, მაიას ქალაქი კამფეხე მექსიკის სამხრეთში და პარამარიბოს (სურინამი) ისტორიული ცენტრი.

# მათრახი არ დაგავიწყდეს!

## ლუ ანდრეას-სალომე

ანა კორძაია-სამადაშვილი

*უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში, ალბათ, არცერთ ქალს არ მოუხდენია იმხელა გავლენა გერმანულენოვან ქვეყნებზე, როგორიც პეტერბურგელმა ლუ ფონ სალომემ.*

*მის შესახებ უამრავი თქმულა და დაწერილა: ფრიდრიხ ნიცშეს, რაინერ მარია რილკეს, ზიგმუნდ ფროიდის საყვარელი ქალი და ახლო მეგობარი; მწერალი, ესეისტი, ლიტერატურული კრიტიკოსი. ქალი, რომლისთვისაც ორი რამ იყო მნიშვნელოვანი – მეგობრობა და ჭეშმარიტება, და როცა ნებისმიერი ჭეშმარიტი მეგობრობის საფუძველში ძლიერი ეროტიული ლტოლვა აღმოაჩინა, დაწერა იმ დროისათვის სკანდალური წიგნი "ეროტიკა", რომელიც ათწლეულების განმავლობაში ბესტსელერი იყო დასავლეთ ევროპაში.*

ლუიზა ფონ სალომე დაიბადა 1861 წელს სანკტ-პეტერბურგში, გერმანელი გენერლის, გუსტავ ფონ სალომეს ოჯახში. ექვსი ძმა ჰყავდა, ბავშვობიდან მამაკაცთა გარემოცვაში იყო და მამაკაცებსაც ძალიან უყვარდათ - "ჩემთვის მთელი მსოფლიო ძმებით იყო სავსე".

გენერალმა მამამ საუკეთესო განათლება მისცა, ასწავლა უცხო ენები, მუსიკა – ყველაფერი ის, რაც მისი წრის ქალისთვის აუცილებლად ითვლებოდა. მაგრამ ლუიზა ამით არ დაკმაყოფილდა.

პირველი მამაკაცი, რომელსაც 17 წლის ასაკში ყურადღება მიაქცია და უმალვე განასხვავა აქამდე მის ცხოვრებაში არსებული მამაკაცებისაგან, გახლდათ 42 წლის პასტორი გიიო, რომელიც თავისი ქადაგებებით მთელს პეტერბურგში იყო ცნობილი. ინტელექტუალებისადმი ლტოლვამ იმხანადვე იჩინა თავი: ლუიზა მღვდელმსახურთან ახლობლებისაგან უჩუმრად ფილოსოფიას სწავლობდა. პასტორი გიიო ვერ წარმოთქვამდა სახელს ლუიზა და ლუს ეძახდა – სწორედ ის გახდა მისი "ნათლია", პირველი დიდი სიყვარული და პირველი მსხვერპლი: გიიოს თავდავიწყებით შეუყვარდა თავისი მოსწავლე, ცოლისა და ორი შვილის მიტოვება და ახალი ოჯახის შექმნა გადაწყვიტა. ლუ ფონ სალომემ ის უმალვე მიატოვა.

პირველი ოცი წელი ჩვენმა გმირმა რუსეთში იცხოვრა, შემდეგ დედამ ევროპაში წაიყვანა სამკურნალოდ – სუსტი ფილტვები ჰქონდა. სწორედ ევროპაში გაიცნო ფილოსოფოსი პოლ რე და მისი საუკეთესო მეგობარი, ფრიდრიხ ნიცშე. ლუ 21 წლისა იყო, მამაკაცები კი 32-ის და 38-ისა. ჯერ რემ, შემდეგ კი ნიცშემ ცოლობა სთხოვეს, მაგრამ ლუმ ორივეს უარი უთხრა და სამაგიეროდ არაორდინალური გეგმა შესთავაზა: ერთად ცხოვრება. ის მხოლოდ სულიერ სიახლოვეზე იყო თანხმა და კატეგორიულად განაცხადა, რომ მამაკაცები ან მისი იდეალური მეგობრების სახეს უნდა შეესაბამებოდნენ, ან გზიდან უნდა გაცლოდნენ. "მეგობრობა მარადიულია, ყველაფერი სხვა – წარმავალი", ამბობდა ლუ. ლუს ჩაფიქრებული ჰქონდა პატარა ინტელექტუალური კომუნა, ფილოსოფიური "წმინდა სამება". ფილოსოფოსები დათანხმდნენ.

იმხანად ფოტო გადაიღეს, ალპების ფონზე: ეტლში ნიცშე და რე არიან შებმული, ზედ კი მათრახით ხელში ლუ ზის. თუმცა იდეაც ნიცშეს ეკუთვნოდა და ფოტოგრაფიც მან შეარჩია, ახლობლებმა ეს ლუს ეპატაჟურ გამოსვლად ჩათვალეს – ხაზს უსვამდა, რომ ორივე ფილოსოფოსი მისი მორჩილი იყო. შემდგომში ამ ფოტოგრაფიამ ნიცშეს შემოქმედებაში უცნაური გამოძახილი ჰპოვა: "ქალთან მიდიხარ? მათრახი არ დაგავიწყდეს!"

სამივენი ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ძალიან გაუჭირდათ, მამაკაცებს ეჭვიანობა ღრღნიდათ. პირველი ნიცშე გაიქცა.

"დღეს ჩემი სრული მარტოობა დაიწყო", - უთხრა მან ერთ-ერთ მეგობარს. სასოწარკვეთილმა 10 დღეში დაწერა "ასე ამბობდა ზარატუსტრას" პირველი ნაწილი, და მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ სწორედ ლუ იყო "თავდაპირველი ზარატუსტრა". იმხანად მის თხზულებას მხოლოდ შვიდი მკითხველი ჰყავდა. ექვსი წლის მერე კი ნიცშე გაგიჟდა.

პოლ რესთან ერთად ლუმ ხუთი წელი იცხოვრა, მაგრამ პოლიც უიღბლო აღმოჩნდა: როცა ლუმ განაცხადა, რომ აღმოსავლეთმცოდნე პროფესორს, კარლ ანდრეასს მიჰყვებოდა ცოლად, მან ეს ვეღარ აიტანა, გაიქცა და თავი მოიკლა.

თავის მეუღლეს, კარლ ანდრეასს, ლუმ ერთ-ერთ პირობად ინტიმურ სიახლოვეზე უარის თქმა დაუსახელა. ასეც იყო მათი ქორწინება 43 წლის განმავლობაში - ჯადოსნური ქალი სრულად იმორჩილებდა მამაკაცების ნებას.

ქალბატონ ანდრეას-სალომეს უჩვეულო უბიწობის ხანა დასრულდა მხოლოდ 1892 წელს, როდესაც ბერლინში გაიცნო გეორგ ლედებური, პოლიტიკური მოღვაწე, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ალბათ, მისმა აგდებულმა სიტყვებმა გაამწარა: "ქალი კი არა, გოგო ბრძანდებით."

ცხადია, ქმარი გაბრაზდა, ლედებური მხოლოდ საყვარლობაზე არ დათანხმდა, ლუმ კი ორივე მიატოვა და და პარიზში გაემგზავრა ინტელექტუალური და სექსუალური თავისუფლების მოსაპოვებლად. როგორც იქნა, მასში ქალმა გაიღვიძა – იმპულსურმა, სექსუალურმა, ემოციურმა. სიყვარულის დრო დადგა.

მისი სასიყვარულო ისტორიების კვალდაკვალ ათი წლის განმავლობაში ევროპის გეოგრაფიის შესწავლა შეიძლება. 1897 წელს კი მიუნხენში რაინერ მარია რილკე გაიცნო. რილკე იმხანად 21 წლისა იყო, ლუზე თოთხმეტი წლით უმცროსი. ეს შეხვედრა პოეტის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა: იმდენად მოიხიბლა ამ უჩვეულო ქალით, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში მის ჩრდილად იყო ქცეული. აღმერთებდა ლუს, თავის "დედას, საყვარელს და მკურნალს". 1897-1902 წლებში მთელი მისი შემოქმედება ლუს ეძღვნებოდა. სწორედ მისი რჩევით შეცვალა სახელი "რენე" – ლუს აზრით "რაინერი" უფრო მამაკაცურად ჟღერდა. რილკეს ხელწერა სულ უფრო მეტად ემსგავსებოდა ლუს მტკიცე, მკაფიო სტილს, ის სრულად განიმსჭვალა ქალის ფილოსოფიური, რელიგიური და ესთეტური იდეებით. ერთად იმოგზაურეს რუსეთში (პირველად სამნი იყვნენ ერთად, ლუს მეუღლეც ახლდათ, მერე ორნი წამოვიდნენ). მესამე ერთობლივი მოგზაურობა აღარ შემდგარა. ოთხწლიანი ურთიერთობის შემდეგ ლუმ რილკეც მიატოვა.

1911-ში ლუ ზიგმუნდ ფროიდს შეხვდა. ამ მეგობრობამ 25 წელი გასტანა. ეს სწორედ ის იდეალური მეგობრობა იყო, რომელსაც მთელი ცხოვრება ესწრაფვოდა: მტკიცე, ურყევი, ინტელექტუალური და მრავლისმომცველი. თუმცა ეს სულ არ უშლიდა ხელს მის სასიყვარულო თავგადასავლებს – ამ ქალის საბოლოოდ დაპყრობა ვერავინ შეძლო.

ამიტომ, ჩემთვის უცნაურად ჟღერს ლუ ანდრეს-სალომეს მიერ 1937 წელს წარმოთქმული უკანასკნელი სიტყვები: "მთელი ცხოვრება მხოლოდ ვმუშაობდი. რისთვის?" ნუთუ ამქვეყნიდან ეს ქალიც უკმაყოფილო წავიდა?!



ლუ, პოლ რე, ნიცშე

უიმბლდონი

# უილიამსების ოჯახური ფინალი

სწორედ ასე მონათლა ჩოგბურთის სპეციალისტთა უმრავლესობამ მომავალი ნახევარფინალი, სადაც ერთმანეთს უიმბლდონის პირველ ნომრად განთესილი ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი და ტურნირს შემორჩენილი ერთადერთი ინგლისელი ტიმ ჰენმანი ხვდებიან. თუმცა, ამ ნახევარფინალამდე ორივე ფავორიტმა საკმაოდ რთული ბრძოლა გადაიტანა.

განუთესავი ბრაზილიელის ანდრე სას მეოთხედფინალში გასვლა სენსაციად მოინათლა. ჰენმანმა პირველი სეტი საკმაოდ იოლად, 6:3 მოიგო. ბრაზილიელმა კარგად ითამაშა მეორე სეტში, მეტოქის მოწოდებაც მოიგო და 7:5 გაიმარჯვა. ჰენმანმა ძლიერად ჩაატარა მომდევნო ორი სეტი, 6:4 6:3 გაიმარჯვა და ნახევარფინალში გავიდა. გაცილებით მძიმე ბრძოლა გადაიტანა ლეიტონ ჰიუიტმა, რომლის მეტოქეც გამოცდილი ჰოლანდიელი, ტურნირის 28-ე ნომერი სიენგ შალკენი იყო. ავსტრალიელმა დამაჯერებლად დაიწყო და პირველი ორი სეტი სწრაფად და იოლად, ერთნაირი ანგარიშით 6:2, 6:2 მოიგო. ბელგიელმა ტაქტიკა შეცვალა, ბადესთან ხშირად გადიდდა და მესამე სეტში ტაი-ბრეიკით 7:6 გაიმარჯვა. მოულოდნელი შედეგით დასრულდა მეოთხე სეტი, რომელიც ჰიუიტმა, ფაქტობრივად, უბრძოლველად, 1:6 დათმო. უკანასკნელი, მეხუთე სეტი საოცრად დაძაბული გამოდგა. შალკენი დიდი გაჭირვებით უმკლავდებოდა ავსტრალიელის პირველ მოწოდებებს. საბოლოოდ ფავორიტმა 7:5 გაიმარჯვა და ნახევარფინალში გავიდა. უიმბლდონზე უკვე ბევრს საუბრობენ ნახევარფინალის შესახებ. ფავორიტის დასახელებისგან ბევრი თავს იკავებს. სამაგიეროდ, კატეგორიულია ბორის ბეკერი, რომელიც ჯიუტად ამტკიცებს, რომ დღესაც და ფინალშიც ლეიტონ ჰიუიტი გაიმარჯვებს. ამ პროგნოზის გამო ბეკერს ინგლისში თაყვანისმცემლები საგრძნობლად მოაკლდა, და ეს გასაგებიცაა. ჰენმანი ხომ ბრიტანელთა ერთადერთი იმედია. დაძაბული გამოდგა დანარჩენი ორი მეოთხედფინალი.ტურნირის 27-ე ნიმერმა, ბელგიელმა მალისემ დიდი წინააღმდეგობა გაუწია ჰოლანდიელ კრაიჩეკს და საბოლოოდ დაამარცხა კიდეც.პირველი და მესამე სეტები ბელგიელმა მოიგო (6-,6-2). მეორესა და მესამეში კი კრაიჩეკმა გაიმარჯვა (6-4,6-3). გადმწყვეტ, მეხუთე სეტში მალისეს უფრო გაუმართლა. მან მეტოქის ორი ორმაგი შეცდომის წყალობით 9-7 გაიმარჯვა და ნახევარფინალში გავიდა. მისი მეტოქე არგენტინელი ნალბანდიანისა და ეკვადორელი ლაპენტის სეხვედრაში ირკვეოდა. გამარჯვებულის გამოვლენას აქც ხუთი სეტი დასჭირდა და ყველა ერთნაირი ანგარიშით დასრულდა. ნალბანდიანმა პირველი ორი სეტის მოგების შემდეგ მომდევნო ორი იგივე ანგარიშით დათმო. უკანასკნელ სეტში კი უკეთ ითამაშა და სომხური წარმოშობის არგენტინელი, დავიდ ნალბანდიანი უიმბლდონის ნახევარფინალში გავიდა. კაცთა ტურნირის ნახევარფინალში ურთიერთობას ჰენმან-ჰიუიტის და ნალბანდიან-მალისეს წყვილები გაარკვევენ. ქალთა შორის ერთეულთა თანრიგის ფინალი კი ოჯახური იქნება. დებმა უილიამსებმა, სერენამ და ვენუსმა შესაბამისად მორესმო და ჰენინი დაამარცხეს და ჩემპიონის ვინაობას ერთმანეთში გაარკვევენ. ორივე ამერიკელმა ორ-ორ სეტში გაიმარჯვა.

გაიმართა წყვილთა შეხვედრებიც. ორგანიზატორთა სასიხარულოდ, უიმბლდონს შემორჩა ანა კურნიკოვასა და ჩანდრა რუბინის წყვილი, რომელმაც სამ სეტში 1:6, 7:5 და 6:4 დაამარცხა ლიზა რეიმონდისა და სტაბსის დუეტი. პრინოსილმა და რიკლმა დაძაბულ ოთხსეტიან ბრძოლაში დათმო შეხვედრა კნოვლესნესტორის დუეტთან.


სერენა უილიამსი REUTERS


რიჰარდ კრაიჩეკი REUTERS

კრივი

# მატჩ-რევანში აღარ შედგება

ცნობილმა პუერტორიკოელმა მოკრივემ ფელიკს ტრინიდადმა რინგიდან წასვლა გადაწყვიტა. ტრინიდადი არ დაელოდა მატჩ-რევანშს, რომელიც მას თავის მთავარ მეტოქესთან, ბერნანდ ჰოპკინსთან უნდა ჩაეტარებინა. ჰოპკინსმა მას ნოკაუტით მოუგო და ყველა ფიქრობდა, რომ ტრინიდადი რევანშს აიღებდა, მაგრამ მან ამ მძიმე საქმიდან წასვლის სურვილი გამოთქვა.

ჰოპკინსთან წაგებამდე ტრინიდადს 41 მატჩი ჰქონდა მოგებული, აქედან 34 - ნოკაუტით. მან სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში მოახერხა ჩემპიონის ტიტულის მოპოვება და ახლა შეუძლია, მშვიდად წავიდეს დასასვენებლად.

"ტიტო სპორტიდან ჯანმრთელი და სახელოვანი მიდის. მადლობა ღმერთს, მან კრივით იმდენი ფული შეაგროვა, რომ მთელი ცხოვრება უზრუნველყოფილი იქნება", - განაცხადა ტრინიდადის მამამ, რომელიც, ამავე დროს, მისი მწვრთნელი და მენეჯერიც იყო.

ფორმულა-1

# შუმახერი პენსიაზე მიდის...

თუ წარსულში ცნობილ პილოტს, მსოფლიო ჩემპიონ დეიმონ ჰილს დავუჯერებთ, დღეისთვის ყველაზე პოპულარული და წარმატებული პილოტისთვის, მიხაელ შუმახერისთვის, ეს სეზონი უკანასკნელი უნდა იყოს.

"ჩემი აზრით, შუმახერი აღარ დარჩება ფორმულა 1-ში. ის, ალბათ, წლეულსაც მოიგებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს და სპორტს დაემშვიდობება ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის რანგში", - განაცხადა ჰილმა ინგლისურ "სანთან" საუბარში.

სხვათა შორის, ამგვარ დასკვნამდე მარტო ჰილი არ მისულა. როგორც ცნობილი იტალიური სპორტული გაზეთი "გაძეტა დელო სპორტი" ვარაუდობს, შუმახერი ხუთ ტიტულს დასჯერდება და მეექვსისთვის აღარ იბრძოლებს.

"შუმახერი არ შეეცდება, გაუსწორდეს ფანხიოს რეკორდს და მეექვსედ მოიგოს ტიტული. მისი ქცევა იმაზე მიანიშნებს, რომ გერმანელ პილოტს მობეზრდა სიკვდილთან თამაში და წყნარი ცხოვრება სურს. გარდა ამისა, შუმახერისთვის უმჯობესია, კარიერის ზენიტში მყოფი წავიდეს სპორტიდან. არავინ იცის, იქნება თუ არა "ფერარი" ასე ძლიერი მომავალ წელსაც", – წერს "გაძეტა დელო სპორტი".

რაგბი

# ქართულ-დანიური გაგება

საინტერესოა, როდემდე უნდა გაგრძელდეს ქართველთა დაუდევრობა, უპასუხისმგებლობა თუ, რა ვიცი, კიდევ რა ჰქვია ამას. დიდი ხანია, ქართული კლუბები ევროსარბიელზე დაშვებას ითხოვენ, როგორც იქნა დაუშვეს კიდეც, ჯერჯერობით, მხოლოდ ევროპის რეგიონთა თასზე, მაგრამ...

ორი გუნდიდან ერთ-ერთს, თბილისის რეგიონის გუნდს, ჩრდილოეთ პორტუგალიის რეგიონის გუნდთან ჰქონდა გასვლითი მატჩი და დამარცხდა (25:17). თუმცა, ამჯერად საუბარი აჭარის რეგიონის გუნდზე გვექნება. ზღვისპირელთა მეტოქე იყო დანიის კოპენჰაგენის რეგიონის გუნდი. წესით, ეს შეხვედრა ერთი კვირის წინ დანიაში უნდა გამართულიყო, მაგრამ მიზეზთა გამო ორი თვით გადაიდო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მატჩის გადატანის ინიციატორები ქართველები ყოფილან. ჩვენებურთ, თურმე, ვიზებთან დაკავშირებით შექმნიათ პრობლემები და მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ დროულად ვერ მოაწესრიგეს საბუთები. სათამაშოდ არჩასვლა, ფაქტობრივად, წაგებას ნიშნავს, რასაც ვერც გადაურჩებოდნენ ქართველი მორაგბეები, რომ არა დანიელთა მოწყალება. საქმე ისაა, რომ როგორც კი შეიქმნა იმის საშიშროება, რომ ჩვენებს ფირა (ევროპული რაგბის მმართველი ორგანიზაცია) მატჩში წაგებას ჩაუთვლიდა, გუნდის ხელმძღვანელობამ იმდენი მოიფიქრა, რომ დანიელებს მატჩის გადატანა სთხოვა. თავდაპირველად ისინი უარზე ყოფილან, მაგრამ ბოლოს ქართველთა თხოვნამ გაჭრა, თანაც საქმეში ქართული რაგბის რამდენიმე უცხოელი მეგობარიც ჩაერია, რომელთაც დანიელებს სარაგბო ოჯახის დაუწერელი კანონებისადმი მორჩილებისკენ მოუწოდეს. მოკლედ, ქართველთა თქმისა არ იყოს, ყველაფერი კაცობის ამბავი იყო. დანიელებმაც, თქვენზე ნაკლები რითი ვართო და ფირა-ში უსტარი აფრინეს, მატჩის გადატანაზე ყაბულს ვართო. ასე რომ, აჭარის რეგიონის ნაკრებს 24 აგვისტოს მოუწევს კოპენჰაგენს სტუმრობა და იმედია, მაშინ ისე მაინც გაკეთდება ყველაფერი, როგორც და როცა საჭიროა.

ფეხბურთი

# საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უეფა-ს უსტარი მიიღო

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ გამოამზეურა უეფა-დან 28 ივნისს ტელეფაქსით მიღებული შეტყობინება, რომელშიც უეფა კმაყოფილებას გამოთქვამს სფფ-ს (საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია - რედ.) დაარსების დღიდან მისი საქმიანობითა და მომუშავეთა პროფესიონალიზმით. ტელეფაქსს ხელს აწერს უეფა–ს აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს ხელმძღვანელი ერიხ ჰეპლე. გთავაზობთ ამ ტელეფაქსის ზუსტ თარგმანს:

**პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!**

**1992 წელს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უეფა-ს წევრად მიღების დღიდან, ჩვენს ორგანიზაციებს შორის ურთიერთობა მკვეთრად გაუმჯობესდა. უეფა-ს პროგრამის "EEAB"-ის შექმნის შემდეგ უკეთ გავიცანი და შევაფასე ქართული ფეხბურთი, ქვეყანა და ფედერაციის მენეჯმენტი.**

**ბოლო წლებში ჩვენი თანამშრომლობა უფრო გამყარდა და საკმაოდ წარმატებულიც იყო. კომპანია "ერნსტ ენდ იანგის" რევიზიამ დაადასტურა, რომ სფფ განვითარების სწორ გზას ადგას.**

**მე მაღალ შეფასებას ვაძლევ ფედერაციის მენეჯმენტს ორგანიზაციისა და ინფრასტრუქტურის მხრივ და იმედი მაქვს, ეს პროგრესი მომავალშიც გაგრძელდება.**

**გისურვებთ კონგრესის წარმატებულ და ნაყოფიერ ჩატარებას.**

**გულწრფელად თქვენი**
**ერიხ ჰეპლე,**
**უეფას დახმარების პროგრამის უფროსი მენეჯერი.**

სფფ-ს გენერალური მდივნის თქმით, ეს ფაქსი საკმარისი პასუხია იმ არაკეთილმოსურნეთათვის, რომლებიც ცდილობენ, შეურაცხყონ სფფ-ს დღევანდელი ხელმძღვანელობა. ჩოლარიას თქმით, უეფა-ს მიერ ჩატარებული რევიზიითაც დასტურდება, რომ სფფ-ს არაფერი დაურღვევია, მასში მაღალი დონის პროფესიონალები მუშაობენ და ქართული ფეხბურთი სწორი გზით მიჰყავთ.

# დემეტრაძე ვლადიკავკაზს დაუბრუნდა

როგორც "რია ნოვოსტის" კორესპონდენტი იუწყება, ქართველი ფორვარდი გიორგი დემეტრაძე, რომელიც თითქოს მოსკოვის "ლოკომოტივში" უნდა დამკვიდრებულიყო, თავს ძველ კლუბს, ვლდიკავკაზის "ალანიას" დაუბრუნდა. დემეტრაძის მომთაბარული ცხოვრება სწორედ "ალანიადან" დაიწყო, სადაც ქართველმა თავდამსხმელმა ორი სეზონი ჩაატარა და 1999 წელს რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

დემეტრაძე, როგორც ჩანს, რუსეთში უფრო კარგად გრძნობს თავს, ვიდრე სადმე სხვაგან. ესპანურ "რეალ სოსიედადს" ქართველი ფორვარდი ვერ შეეწყო და ისევ რუსეთს მიაშურა, მაგრამ "ლოკომოტივის" ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა. როგორც რუსული სპორტული პრესა იუწყება, "ალანიამ" "რეალ სოსიედადთან" უკვე მოაგვარა ფეხბურთელის ტრანსფერთან დაკავშირებული ყველა საკითხი და დემეტრაძე თავისი ძველი კლუბის მაისურით უკვე შემდეგ ტურშივე გამოვა, როცა "ალანია" მოსკოვის "ტორპედო ზილს" შეხვდება.

# ქართველებმა წინ წაიწიეს

1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის, მოგვიანებით კი, 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის მოგების შემდეგ საფრანგეთის ნაკრები ფიფა-ს რეიტინგში, სამი წლის განმავლობაში, არავის უთმობდა პირველობას. მაგრამ ახლახან დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ფრანგთა ჩავარდნამ და ბრაზილიელთა ტრიუმფმა მათი ადგილები გაცვალა. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ რეიტინგში კვლავაც ბრაზილია დაწინაურდა.

ოთხი ადგილით ზევით აინაცვლეს ესპანელებმა და ინგლისელებმა, გერმანიის ნაკრებმა კი ერთბაშად ექვსი საფეხურით წაიწია წინ. ყველაზე დიდი პროგრესი თურქეთისა და სამხრეთ კორეის ნაკრებებმა განიცადეს, რომლებიც შესაბამისად ათი და თვრამეტი საფეხურით აღზევდნენ.

ცოტა უცნაურად შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ მუნდიალმა საქართველოს ნაკრებზეც დადებითად იმოქმედა. ჩვენი გუნდი, მაისის რეიტინგთან შედარებით, სამი საფეხურით წინ აღმოჩნდა.

რაც შეეხებათ ჩვენს მეტოქეებს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე მხოლოდ რუსეთის ნაკრებმა განიცადა რეგრესი, შვეიცარიელები და ალბანელები კი კვლავინდებურად იმ ადგილებზე დარჩნენ, სადაც იყვნენ.

| | |
|---|---|
| **1. (2) ბრაზილია** | **852 ქ** |
| **2. (3) არგენტინა** | **784** |
| **3. (1) საფრანგეთი** | **784** |
| **4. (8) ესპანეთი** | **774** |
| **5. (11) გერმანია** | **765** |
| **6. (7) მექსიკა** | **739** |
| **7. (5) პორტუგალია** | **731** |
| **8. (12) ინგლისი** | **728** |
| **9. (4) კოლუმბია** | **725** |
| **10. (6) იტალია** | **720** |
| **11. (13) აშშ** | **712** |
| **12. (22) თურქეთი** | **707** |
| **13. (20) დანია** | **704** |
| **14. (15) ირლანდია** | **699** |
| **15. (9) ჰოლანდია** | **697** |
| **16. (10) იუგოსლავია** | **689** |
| **17. (17) კამერუნი** | **680** |
| **18. (18) პარაგვაი** | **679** |
| **19. (23) ბელგია** | **678** |
| **20. (19) შვედეთი** | **674** |
| **28. (27) რუსეთი** | **644** |
| **55. (58) საქართველო** | **541** |
| **64. (64) შვეიცარია** | **518** |
| **95. (95) ალბანეთი** | **437** |

# კვირას უკრაინის ჩემპიონატი იწყება

მომავალ კვირას სტარტს აიღებს უკრაინის მორიგი ეროვნული ჩემპიონატი. ეს იქნება ქვეყნის პირველი პირველობა ვალერი ლობანოვსკის გარეშე. 9-წლიანი ჰეგემონიის შემდეგ, ეს იქნება პირველი ტურნირი, რომელსაც კიევის "დინამო" გამარჯვებულის რანგში არ დაიწყებს. ახალი ჩემპიონია დონეცკის "შახტიორი". მართალია, დონეცკელები ძალიან გააწბილა კარსტენ იანკერის ცივმა უარმა, რომელიც მან "შახტიორში" გადასვლაზე განაცხადა, მაგრამ უკრაინული კლუბის იტალიელმა თავკაცმა ნევიო სკალამ გუნდში სამხრეთ ამერიკელი სამი ლეგიონერი მოიყვანა, ორი ურუგვაელი: 27 წლის მცველი როდრიგესი და 24 წლის ნახევარმცველი მარსელო სოსა. გუნდის თავდასხმას გააძლიერებს 22 წლის ბრაზილიელი ბრანდაო, რომელმაც "შახტიორთან" 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. კვირას დონეცკელები თავიანთ პირველ მატჩს გამართავენ კიევში, ადგილობრივი "არსენალის" წინააღმდეგ.

უკრაინის ექს-ჩემპიონი კიევის "დინამო" ყველანაირად ცდილობს დაკარგული ტიტულის დაბრუნებას. დედაქალაქელებმა მწვრთნელთა შტაბში კიდევ ერთი ვეტერანი ფეხბურთელი, მიხეილ კუზნეცოვი შეიყვანეს. კიეველებს ახალი შენაძენიც ჰყავთ: შუა ხაზის გასაძლიერებლად მათ 21 წლის მაროკოელი ნახევარმცველი ბადრ კადური შეიძინეს.

"დინამოს" საკმაოდ მძიმე მატჩი ელის ჩემპიონატის დებიუტშივე, ხარკოვში, ადგილობრივ "მეტალისტთან".

# საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის - გერმანიის ნაკრების ბაზაზე მოემზადება

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ეროვნული ნაკრები 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვებას მე-9 შესარჩევ ჯგუფში შეეცდება, სადაც ჩვენი გუნდის მეტოქეები იქნებიან ირლანდიის, რუსეთის, შვეიცარიის და ალბანეთის ნაკრებები. საქართველოს ნაკრები ქვეჯგუფის სასტარტო შეხვედრას 7 სექტემბერს გამართავს შვეიცარიაში ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდთან. ნეიტრალური ქვეყნის წარმომადგენლებს ამ მატჩის გასამართავ ადგილად ბაზელი ჰქონდათ შერჩეული, რის შესახებაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შვეიცარიიდან ოფიციალური შეტყობინებაც მიიღო, თუმცა, შესაძლოა, თამაში სულ სხვა ქალაქში გაიმართოს. როგორც აღმოჩნდა, ამ დღეებში ბაზელი საერთაშორისო სავაჭრო ფორუმს უმასპინძლებს, რის გამოც ქალაქის მუნიციპალიტეტს სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიების სათანადო დონეზე ორგანიზებისთვის არ ეცლება. მატჩისთვის ახალი ადგილი ჯერ არ არის ცნობილი, რაც, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის, ვალერი ჩოლარიას თქმით, ქართულ მხარეს მთელ რიგ პრობლემებს უქმნის. კერძოდ, წინასწარ ვერ ხერხდება შესაბამისი პირობებისა და ადგილმდებარეობის მქონე სასტუმროს დაჯავშნა, საწვრთნელი მოედნის დაქირავება და ასე შემდეგ.

იმის მიუხედავად, თუ რომელ ქალაქში გაიმართება ეს მატჩი, უკვე საბოლოოდ დადგინდა საქართველოს ნაკრების საწვრთნელი შეკრების ჩატარების ადგილი და ვადები. ჩვენი ეროვნული და ოლიმპიური ნაკრები გუნდები 31 სექტემბერს ესტუმრებიან შვეიცარიის საზღვარზე მდებარე გერმანულ ქალაქ რიუიტის საწვრთნელ ბაზას. სხვათა შორის, სწორედ ამ ბაზაზე აწყობს საწვრთნელ შეკრებებს გერმანიის ნაკრები. ჩვენი გუნდები რიუიტში 5 სექტემბრამდე დარჩებიან, შემდეგ კი ავტობუსით გადაინაცვლებენ იმ ქალაქში, სადაც შესარჩევი მატჩების გამართვა მოუწევთ. ვალერი ჩოლარიას თქმით, ეს ვოიაჟი ჩვენს ფედერაციას 100 ათას დოლარამდე დაუჯდება.

აქვე გამცნობთ, რომ რიუიტის ამ ბაზაზე ამჟამად მომზადებას გადის თბილისის "დინამო". დინამოელები ამ ქალაქში ივლისის ბოლომდე დარჩებიან და რამდენიმე საკონტროლო შეხვედრასაც ითამაშებენ. უკვე გადაწყვეტილია, რომ 14 ივლისს საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორი სპარინგ-მატჩს გერმანიის "ფრაიბურგთან" გამართავს.

# სენეგალელი პაპა ბუბა დიოპი მშობლიურ ქალაქში გაქურდეს

მსოფლიოს ჩემპიონატზე მიღწეული წარმატების მიუხედავად, ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები სენეგალში, როგორც ჩანს, მაინც არ არიან ხელშეუხებელნი. საფრანგეთის წინააღმდეგ მატჩში, ერთადერთი გოლის ავტორი პაპა ბუბა დიოპი, მშობლიურ ქალაქ რუფისკეში, დედაქალაქ დაკარის მახლობლად, საზეიმო მიღებისას უმოწყალოდ გაქურდეს. იმ დროს, როდესაც რუფისკეში დიოპს ქალაქის პირველი საპატიო მოქალაქის წოდებას გადასცემდნენ, მოიპარეს მისი ჩანთა, რომელშიც ორი მობილური ტელეფონი, პასპორტი, მანქანის გასაღები და 450 ევრო ჰქონდა.

# აშშ-ს ექს-პრეზიდენტი MTV-ის ეთერში



ბილ კლინტონი კოლუმბიელ მუსიკოს ალვარო როდრიგეზთან ერთად კართაგენაში 28 ივნისს REUTERS

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბილ კლინტონმა MTV-ის ეთერით საქსოფონზე კომპოზიცია შეასრულა და ხუმრობით საკუთარ საცვლებზეც გულღიად ისაუბრა. ეს კლინტონმა 1992 წლის საპრეზიდენტო კამპანიის ფარგლებში გააკეთა. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ექს-პრეზიდენტი MTV-ის ეთერს კვლავ უბრუნდება, მაგრამ გაცილებით უფრო სერიოზულ ამპლუაში – ის შიდსის გლობალური ეპიდემიის შესახებ ისაუბრებს. კლინტონი, რამდენიმე ექსპერტთან ერთად, ერთსაათიან გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ კითხვებს ახალგაზრდები მსოფლიოს 25-ზე მეტი ქვეყნიდან დაუსვამენ. გადაცემის ჩაწერა 11 ივლისს, ბარსელონაშია დაგეგმილი, ეთერში კი 12 ივლისიდან, MTV-ის 30-ზე მეტი არხით გადაიცემა.

კლინტონს გვერდს დაუმშვენებენ პიტერ პიოტი, შიდსის გაეროს პროგრამის ხელმძღვანელი, ბრაზილიის ჯანდაცვის მინისტრი პაულო რობერტო ტეიხეირა და ვიკი ირიჩი, ბრიტანული ფარმაცევტული გიგანტის GlaxoSmithKline-ის წარმომადგენელი.

ამ "გაუგებრობაში" კლინტონი იმიტომ მოხვდა, რომ ის შიდსის საერთაშორისო ფონდის საპატიო თანათავმჯდომარეა. მის შეხედულებებს, MTV-ის ეთერით, 165 ქვეყანაში 382 მილიონი ოჯახი მოისმენს.

# ელტონ ჯონი დოქტორია

სტივენ სპილბერგის გზას ელტონ ჯონიც დაადგა. კოლეჯმა, სადაც მომღერალი მუსიკას ეუფლებოდა, მას დოქტორის წოდება მიანიჭა. ლონდონის მუსიკის სამეფო აკადემიას, 40-წლიანი არდადეგების შემდეგ, ელტონ ჯონი გამოსაშვებ საღამოზე დაუბრუნდა, თანაც, სრული აღჭურვილობით – ქუდითა და გრძელი მანტიით. მას თან დედა ახლდა. "ჩემი შვილი მოსასხამში გამოწყობილი ხშირად მინახავს, მაგრამ ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ის ამ მანტიას ჩაიცვამდა", - აღტაცებას უზიარებდა ჟურნალისტებს "სტუდენტი" სუპერვარსკვლავის დედა.

"კარგი მოსწავლე არასდროს ვყოფილვარ", - აღიარა მომღერალმა, რომელიც აკადემიაში პირველად 11 წლისა მივიდა. უფრო ზუსტად, ამ პრესტიჟულ დაწესებულებაში სწავლის უფლება მან სტიპენდიით მოიპოვა. კვირაში ერთი დღე – დაახლოებით ასეთი იყო 11 წლის მუსიკოსის გრაფიკი, რომელსაც მაშინ ყველა ძველი სახელით – რეჯინალდ დუაითით იცნობდა. თუმცა, ელტონ ჯონმა სწავლას დროზე ადრე დაანება თავი და 40 წლის განმავლობაში სამეფო განათლების მიღება აღარც უფიქრია. მუსიკის აკადემიას ის ყოველთვის სუპერვარსკვლავის რანგში ეწვეოდა ხოლმე. მაგალითად, 1998 წელს ელტონ ჯონი აკადემიის სტუდენტებს შეხვდა და მათ კითხვებს უპასუხა.

დოქტორის წოდების მოპოვება კი მისთვის ნამდვილი პატივია. მით უფრო, რომ აკადემიის 180-წლიან ისტორიაში ამ წოდებას ერთადერთი ადამიანი – სერ კოლინ დევისი ფლობს – ლონდონის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი.

# ბექჰემების საყვარელი წყვილი

ვიქტორია ბექჰემმა სასამართლო წააგო. ანუ, სამახსოვრო ნივთების მაღაზიის მფლობელებმა გამოიყენეს შანსი და ექს-"სფაიზ" გოგონას უსაფუძვლო ბრალდებისთვის სასამართლოში უჩივლეს. საქმე ის გახლავთ, რომ ვიქტორია მათ დევიდ ბექჰემის ყალბი ხელმოწერით დამშვენებული ფოტოს გაყიდვაში ადანაშაულებდა. მაღაზიის მფლობელები, ტიმოთი და გლენის მაქმანუსები ამტკიცებენ, რომ ვიქტორიას ბრალდებების გამო, რომელთა შესახებ აქტიურად წერდა ბრიტანული ბულვარული პრესა, ოჯახურმა ბიზნესმა უდიდესი ზარალი განიცადა. ამიტომ, სასამართლოში საქმე რეპუტაციის შელახვის და ყალბი ბრალდებების განხრით აღიძრა.

ცნობისთვის: დევიდ და ვიქტორია ბექჰემები ბრიტანეთის ყველაზე საყვარელი წყვილია და მედიის ყურადღების ცენტრიდან თითქმის არ გამოდიან. თუნდაც, ხშირ-ხშირი სასამართლოების გამო, მათზე პრესას ინფორმაცია მუდმივად მოეპოვება.

# TV პროგრამა 5 ივლისი

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 კურიერი
08.55 სერიალი „სიყვარულის სახელით"
09.50 კომუნიკატორი
10.40 ბრენდაიზერი
11.10 სერიალი „ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 03.10 კურიერი
18.20 ბრენდაიზერი
18.55 უიმბლდონის ტურნირის მიმოხილვა
19.50 სერიალი „ოცნების კოშკები"
22.00 სერიალი „პოლტერგეისტი"
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. „წითელი პლანეტა" მთ.როლებში: ველ კილმერი, კერი-ენ მოსი
02.00 უიმბლდონის ტურნირის მიმოხილვა

## პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „სიმბა ფეხბურთელი"
10.10 სერიალი „ძილის წინ"
10.25 „მსოფლიოს ველური ბუნება"
11.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი"
12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამბე
12.15 სერიალი „გოგონები ქარში"
12.45, 19.00 ვიდეოპატრული
13.00 „ნაშუადღევს"
14.05 მიამბეთ თქვენზე
14.45 საკვირაო გამოფენა
15.15 მხ.ფ. „პირისპირ"
17.00 გემრიელად მიირთვით ბავშვებო
17.15 50-50
18.00 „ვესტნიკი"
18.20 სერიალი „გოგონები ქარში"
19.10 ჯანმრთელობა
19.40 ბასტი-ბუბუ
20.55 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი"
21.40 რას ფიქრობს ხალხი
23.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.55 დოკ.სერიალი „მეოცე საუკუნე"
00.15 სატელევიზიო სპექტაკლი „უგემური ვახშამი"

## მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი „მტრედის ფრთები"
21.20 აფხაზეთის ტელევიზია
22.10 მხ. ფილმი „ბრძოლა იერუსალიმისათვის"

## ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 21.00 „ვესტი"
10.15, 21.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45, 22.40 პროგრამა „მსოფლიო სპორტი"
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
15.20 კომპიუტერის შემსწავლელი კურსები
18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 გადაცემა „მომავალი"
20.00 გადაცემა „ხვალ - საქართველოს პოლიტიკური ანოტაცია"
21.40 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება
23.40 ძველი კინოკლასიკა მხატვრული ფილმი „დღის დამაზმანი"

## იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 აღსავალი
08.20, 09.55, 12.10, 20.20, 22.05, 00.45 მუსიკა
08.25 მხ.ფ. „ვნების ალი"
10.05 მხ.ფ. „აირისი"
20.25 მხ.ფ. „მებობრების წრეში"
22.15 მხ.ფ. „მალჰოლანდის ქუჩა"

## პირველი სტერეო

07.15 „მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა „ტოროლა"
11.00 „მუსიკალური ათეული" განმეორებით
11.45 „ჩაძირობანა" განმეორებით
13.30 მხ. ფილმი
15.10 მუსიკა
17.25 „სწ.მედია" მხ.ფ. „მენსვილდ - პარკი"
19.00 მუსიკა
20.00 მო
22.00 რუსული ათეული
23.00 „პაპარაცები"
00.00 „ბრავო" მხ.ფ. „ქალთა ბრძოლა". მთ. როლებში მიშელ როდრიგესი, ჯამი ტირელი
01.40 „ღამურა" მხ.ფ. „დამნაშავე" მთ. როლებში ბილ პულმანი, გაბრიელ ანვარი
03.35 ნონ-სტოპი

## კავკასია

12.00 მხ.ფ. „მთელი სამყაროც ცოტაა"
14.10 მხ.ფ. „პატივმოყვარეობის კოცონი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს"
17.15 მხ.ფ. „დასაფლავება"
19.20 საექტრი
21.00 მხ. ფილმი „ინტუიცია"
22.30 მხ. ფილმი „დიკ ტრეისი"

## მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები"
09.20 მულტფილმი „ალექსი" 24-ე სერია
09.45 მხ.სერიალი „ჰორასი და თინა" 24-ე სერია
10.15, 15.30, 17.10, 18.45, 20.20, 23.50 მუსიკა
10.30 მხ. ფილმი „სიყვარულსა და ომში"
12.20 დოკ. ფილმი „ეს წარმოდგენაა"
13.20, 19.00 დისქავერი
14.45, 21.30 მთავარი თემა
15.40 მხ. ფილმი „გენიალური ბავშვები"
17.45 მულტფილმი „ალექსი" 25-ე სერია
18.15 მხ.სერიალი „ჰორასი და თინა" 25-ე სერია
19.30 მუსიკალური გადაცემა „ბელისიმო"
20.00 ლიმონი და ლიმონათი
21.10 მულტფილმი „ტომი და ჯერი"
22.15 მხ.ფ. „მგზავრი-57" მთ.როლებში ვესლი სნაიპსი, ბრიუს პეინი
00.20 მხ. ფილმი „შემოდგომის ლეგენდები". მთ. როლებში ბრედ პიტი, ენტონი ჰოპკინსი

## აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 სათავგადასავლო ფილმი „მე ვერ ვლაპარაკობ ინგლისურად"
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ისტორიული ფილმი „ფარაონის აკლდამა"
13.55 თრილერი „ჰაერის ქალიშვილი"
16.15 მულტფილმი „მაგიური მარგალიტი"
17.20 მხატვრული ფილმი „თავისიანი უცხოთა შორის, უცხო თავისიანთა შორის"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი"
19.30 „მზე აქ შემიჩერებია"
19.40 მსოფლიო ხელოვნების დიდოსტატები „როდენი"
20.50 ქართული მხატვრული ფილმი „მარადისობის კანონი"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.10, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.05 „ექსკლუზივი"
23.35 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ბურთი და მოედანი"
01.05 დრამა „მარვინის ოთახი"
03.30 მხატვრული ფილმი „8 მილიმეტრი"

## VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საინფორმაციო გამოშვება
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.35 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.45 „აჩიკუდა"
10.10 „სახლიდან გაუსვლელად"
10.35 მოკლედ... სპორტი
10.40 მუსიკალური ტაიმაუტი
11.15 მულტსერიალი
11.30 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
11.35 მუსიკალური ბიორითმი - „ბექსტრით ბოისი"
11.50 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე"
12.15 დისნეი და მისი მეგობრები
12.35 „სახლიდან გაუსვლელად"
13.10 სპორტი
13.15 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.25 სპორტული ინფორმაცია
18.30 „სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 „აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საინფორმაციო გამოშვება
19.40 მუსიკალური ობიექტივი - სტუმარი
20.30 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
20.40 ლათინოამერიკის საფეხბურთო მიმოხილვა
21.05 მოკლედ...სპორტი
21.10 მუსიკალური ტაიმაუტი
21.40 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე"
22.00 „პერიფერია"
22.10 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.20 „კინოკლუბი" - მხ.ფილმი „იჩქარებ, ხალხს გააცინებ" ა.შ.შ. 1998 წელი. მელოდრამა. რეჟისორი - ენდი ტენენტი. როლებში: სელმა ჰაიეკი, მეთიუ პერი.
23.55 პრესის მიმოხილვა
00.10 მუსიკალური ტაიმაუტი
00.30 მოკლედ...საინფორმაციო გამოშვება
00.40 „სახლიდან გაუსვლელად"
01.05 მუსიკალური ბიორითმი - „ბექსტრით ბოისი"
01.25 მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. „საბრინა" ა.შ.შ. 1996 წელი. მელოდრამა. რეჟისორი - სიდნეი პოლაკი. როლებში: ჰარისონ ფორდი, ჯულია ორმონდი.
03.25 პრესის მიმოხილვა

## ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.35, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.25 сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.10 х.ф. "НЕУДЕРЖИМЫЙ"
12.05 "Кошки-мышки"
12.30 "Объектив"
13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВА "ЛУННЫЙ СВЕТ"
14.15 Человек и закон
15.00 "Кто хочет стать милионером?"
16.20 Док. фильм "Дикие штучки"
16.40 "СЕЙЧАС ИЛИ НИКОГДА"
17.55 Большая стирка
20.25 Док. детектив.
21.00 Поле чудес.
22.00 Время.
22.35 х.ф. "ДЕЛОВАЯ ДЕВУШКА".
00.35 "Другое Время"
01.20 х.ф. "АЛЬФОНС"
02.50 х.ф. "СПИСОК ЖЕРТВ"

## РТР

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.20, 21.35, 00.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.30, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 09.10 Дежурная часть
07.30, 08.40, 17.45 Афиша
07.40, 09.30 Дорожний патруль
08.10, 09.40, 17.35 Экспертиза РТР
08.20 Национальный доход
08.25 Вести-спорт
09.15 Мусульмане.
10.10 Док. сериал "Это - голивуд!"
11.00 Сериал "ВЕЧНЫЙ ЗОВ"
12.20 х.ф. "ОБЛОКО - РАЙ"
13.45 Новая "Старая квартира"
14.30 Сериал "БЕТТИ".
15.25 "Что хочет женщина"
16.10 Сериал "дикий ангел"
17.10 "ДРУЗЬЯ-4"
18.20 Пресс-клуб
19.30 Вся Россия
19.50 " Сказки о любви"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 х.ф."ДВОЙНОЙ КАПКАН"
00.40 "УБЕЖИЩЕ"
02.50 Горячая десатка

## НТВ

07.00 Утро на НТВ
09.50 х.ф. "ПОЛИЦЕЙСКИЕ. ДОЛГ ИЛИ ЧУВСТВА"
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 01.00 Сегодня.
11.25 Совершенно секретно
12.20 "Служба спасения".
13.20, 16.40, 19.40 Криминал
13.25, 15.05 х.ф. "ШЕРЛОК ХОЛМС И ДОКТОР ВАТСОН", "ХХ ВЕК НАЧИНАЕТСЯ"
17.30, 20.53 х.ф. "СЛЕД ОБОРОТНЯ"
18.40 Сериал "ГРЯЗНАЯ РАБОТА"
23.35 фильм "УЛЕТНЫЕ ШАЛОПАИ"
01.30 "Все сразу!" ночные развлечения
02.05 фильм "КНОПКА МЕРТВЕЦА"
02.55 Кома


